ევროკავშირი
საქართველოსთვის

The European Union for Georgia

საბერძნეთში ლეგალური მიგრაციის
გზამკვლევი

ICMPD
International Centre for
Migration Policy Development

ENIGMMA
Putting the pieces together
to respond effectively to migration challenges

საბერძნეთში ლეგალური მიგრაციის

გზამკვლევი

ათენი, საბერძნეთი, 2018

პუბლიკაციის სარედაქციო გუნდი:

იოსებ ნანობაშვილი, საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საბერძნეთში;
ნანა აბულაძე, ადვოკატი;
რევაზ კიკნაძე, ადვოკატი;
დიმიტრი ტატარიდი, ადვოკატი;
ანი უძილაური-პაპაპოსტოლუ, თარჯიმანი;
ზურაბ ვაჩეიშვილი, თარჯიმანი;
მაია დევაძე, საელჩოს პირველი მდივანი;
ანდრეას პოტაკისი, საბერძნეთის ომბუდსმენი;
მაგდა საბადელო, მიგრაციის პოლიტიკის განივთარების საერთაშორისო ცენტრი;
ეკატერინე ბუჯიაშვილი, ენის რედაქტორი;
ოთარი ფერაძე, პუბლიკაციის დიზაინერი.

მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრი

Gonzagagasse 1

A-1010 ვენა

ავსტრია

www.icmpd.org

წინამდებარე სახელმძღვანელო მომზადებულია ევროკავშირის მიერ დაფინანსებული და მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრის (ICMPD) მიერ, საქართველოს მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიასთან (SCMI) თანამშრომლობით მართული პროექტის - „მიგრაციის მართვის მდგრადობის ხელშეწყობა საქართველოში (ENIGMMA 2)“ - ფარგლებში. დოკუმენტის შინაარსი გამოხატავს მხოლოდ ავტორთა შეხედულებებს და არ უნდა აღიქმებოდეს, როგორც ევროკავშირის, მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრის, ან მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიისა და მისი წევრი უწყებების მოსაზრება.

გამომცემლობა:

ათენი, საბერძნეთი

სარჩევი

პუბლიკაციის სარედაქციო გუნდი: 2

შესავალი 12

განმარტებები 13

საბერძნეთის რესპუბლიკის კონსტიტუცია 14

2016 წლის N. 4368 კანონის მიხედვით - დაზღვევის არმქონე და მოწყვლადი (დაუცველი) სოციალური ჯგუფების ჯანმრთელობის დაცვის შესაძლებლობები 14

2014 წლის N 4251 კანონი 16

ბინადრობის ნებართვის კატეგორიები 16

მუხლი 8. ბინადრობის ნებართვის მინიჭების ზოგადი წესები 17

მუხლი 9. ბინადრობის ნებართვის განახლების პროცედურა 18

მუხლი 10. მესამე ქვეყნის მოქალაქეზე ბინადრობის ნებართვის გაცემის პროცედურა 19

მუხლი 12. მესამე ქვეყნის მოქალაქის საბერძნეთში მოწვევის პროცედურა დაქვემდებარებულ სამუშაოზე (დაქირავება) დასაქმების მიზნით 19

მუხლი 14. მესამე ქვეყნის მოქალაქის საბერძნეთში მოწვევა სანაოსნო/თევზსაჭერ სამუშაოზე დასაქმების მიზნით 20

მუხლი 15. ბინადრობის ნებართვის მინიჭება და განახლება დარგობრივ სამუშაოზე (შესაბამისი დიპლომის ან კვალიფიკაციის დამადასტურებელი სარწმუნო საბუთის ფლობის შემთხვევაში) დასაქმებული პირისათვის 21

მუხლი 16. ბინადრობის ნებართვის მინიჭება და განახლება იმ პირებისათვის, რომლებიც საბერძნეთში ეწევიან საინვესტიციო საქმიანობას 22

მუხლი 17. მესამე ქვეყნის მოქალაქეებზე საბერძნეთში ბინადრობის ნებართვის გაცემა საგანგებო შემთხვევებში 23

მუხლი 19. ბინადრობის ნებართვის მინიჭება ე.წ. „განსაკუთრებულ გარემოებათა გამო“ (ამ დებულებებში 2017 წლის ცირკულარი № 13-ით შესული ცვილებების ჩათვლით) 24

ბინადრობის ნებართვა საბერძნეთში ხანგრძლივად (სულ მცირე, 7 წელი)მცხოვრები პირებისათვის 26

საბერძნეთთან მჭიდრო კავშირების დამადასტურებელი დოკუმენტები 27

ბინადრობის ნებართვა სეზონური სამუშაოსათვის 28

საბერძნეთში უცხო ქვეყნის საკონსულო სამსახურის მიერ გაცემული პასპორტი, როგორც საბერძნეთში ბინადრობის დამადასტურებელი დოკუმენტი 28

საბერძნეთის საზღვრის მულტივიზებითა და სხვა კანონიერი გზებით გადაკვეთის შემთხვევები..... 29

საბერძნეთთან მჭიდრო კავშირების დადასტურების მოთხოვნა 29

ე.წ. „სპეციალური“ ბინადრობის ნებართვის მფლობელები 29

მესამე ქვეყნის მოქალაქე, რომელიც ითხოვს საერთაშორისო დაცვის ქვეშ მყოფი პირის სტატუსს..... 30

ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის, ან მისი მოქმედების შეჩერების გადაწყვეტილება საზოგადოებრივი წესრიგისათვის შესაძლო რისკების შექმნის მიზეზით 30

ბინადრობის ნებართვის გაცემის შესაძლებლობა, თუ პირის მიმართ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე, ან იგი წარსულში ნასამართლევია 30

საბერძნეთში ლეგალურად ბინადრობის შესაძლებლობა მესამე ქვეყნის მოქალაქეებისათვის, რომლებიც დასაქმებულნი არიან ოჯახებში დამხმარე პერსონალად ან ხანდაზმულთა და არასრულწლოვანთა მომვლელებად 31

ბინადრობის ნებართვა „განსაკუთრებულ გარემოებათა გამო“ მესამე ქვეყნის მოქალაქეებისათვის, რომლებიც დაკავებულნი არიან სამართალდამცველთა მიერ 32

„განსაკუთრებულ გარემოებათა გამო“ ბინადრობის ნებართვის მისაღებად საემიგრაციო კომისიისათვის მიმართვის შესაძლებლობა 32

მუხლი 20. ბინადრობის ნებართვის მიღების სხვა სპეციფიკური მიზეზები 33

მუხლი 21. საბერძნეთში ლეგალურად მცხოვრები მესამე ქვეყნის მოქალაქეების ზოგადი უფლებები..... 34

მუხლი 22. საბერძნეთში ლეგალურად მცხოვრები მესამე ქვეყნის მოქალაქეების მოვალეობები 35

მუხლი 32. ზოგადი დებულებები ბინადრობის ნებართვის მისაღებად მესამე ქვეყნის მოქალაქეების საბერძნეთში სწავლის, მოხალისედ მუშაობისა და სხვა მიზნებისთვის 36

მუხლი 33. ბინადრობის ნებართვის მიღება განათლების მიზნით 37

მუხლი 34. განათლების მიზნით მიღებული ბინადრობის ნებართვის ხანგრძლივობა და მისი განახლების პროცედურა 37

მუხლი 35. ევროკავშირის წევრი სხვა ქვეყნიდან საბერძნეთში სტუდენტის გადმოყვანის პროცედურა სწავლის გასაგრძელებლად 38

მუხლი 37. ბინადრობის ნებართვის მინიჭების დაჩქარებული პროცედურა მაგისტრატურის სტუდენტებისათვის 39

მუხლი 38 - 39. ბინადრობის ნებართვის მინიჭება მოხალისედ (ანაზღაურების გარეშე) მუშაობის შემთხვევაში; ამ კატეგორიის ბინადრობის ნებართვის ხანგრძლივობა და მისი

განახლების პროცედურა 39

მუხლი 44. საბერძნეთში ბინადრობის ნებართვის მიღების პროცედურა პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით 40

მუხლი 45. ბინადრობის ნებართვა სპეციალურ საგანმანათლებლო პროგრამებში მონაწილეთათვის 40

მუხლი 47. ბინადრობის ნებართვა საბერძნეთში სამედიცინო კვალიფიკაციის მისაღებად 40

მუხლი 48. ბინადრობის ნებართვის მიღება ათონის მთის საეკლესიო აკადემიაში სწავლის მიზნით 41

მუხლი 50. ბინადრობის ნებართვა ტრეფიკინგისა და არალეგალური მიგრაციის მსხვერპლთათვის 41

მუხლი 52. ტრეფიკინგისა და არალეგალური მიგრაციის მსხვერპლზე გაცემული ბინადრობის ნებართვის განახლება 42

მუხლი 54. ტრეფიკინგისა და არალეგალური მიგრაციის მსხვერპლთა უფლებები 42

მუხლი 55. ტრეფიკინგისა და არალეგალური მიგრაციის მსხვერპლთათვის ბინადრობის ნებართვის გაცემასა ან განახლებაზე უარის მიზეზები 43

მუხლი 59. მესამე ქვეყნის მოქალაქეების საბერძნეთში ყოფნა სამეცნიერო კვლევის მიზნით 43

სამეცნიერო ორგანიზაციის მიერ მესამე ქვეყნის მეცნიერის/მკვლევარის საბერძნეთში მოწვევის პროცედურა 44

საბერძნეთში ბინადრობის ნებართვის მინიჭება მესამე ქვეყნის მეცნიერის/ მკვლევარისათვის, რომელიც ფლობს ევროკავშირის წევრი სხვა ქვეყნის მიერ გაცემულ ბინადრობის ნებართვას 45

მუხლი 69. მესამე ქვეყნის მოქალაქეთა საბერძნეთის ტერიტორიაზე შესვლა ოჯახის გაერთიანების მიზნით 45

მუხლი 70. ოჯახის გაერთიანების მიზნით ბინადრობის ნებართვის გაცემის მოთხოვნები 46

მუხლი 71. განცხადების ჩაბარების წესები ოჯახის გაერთიანების მიზნით ბინადრობის ნებართვის მიღებაზე და მისი განხილვის პროცედურა 46

მუხლი 72. ოჯახის გაერთიანების მიზნით ბინადრობის ნებართვის გაცემის პროცედურა 47

მუხლი 73. ოჯახის გაერთიანების მიზნით გაცემული ბინადრობის ნებართვის ხანგრძლივობა და განახლების პროცედურა 47

მუხლი 74. ოჯახის გაერთიანების მიზნით ბინადრობის ნებართვის გაცემასა ან განახლებაზე უარის და მისი გაუქმების მიზეზები 48

მუხლი 75. მესამე ქვეყნის მოქალაქის ოჯახის წევრთა უფლებები და ვალდებულებები, რომლებიც ფლობენ ბინადრობის ნებართვას ოჯახის გაერთიანების მიზნით 48

მუხლი 76. მესამე ქვეყნის მოქალაქის ოჯახის გაერთიანების მიზნით ჩამოყვანილი

ოჯახის წევრების ინდივიდუალური ბინადრობის ნებართვა 49

მუხლი 80. ბინადრობის ნებართვა მესამე ქვეყნის იმ მოქალაქეებისათვის, რომლებმაც საბერძნეთში შექმნეს ოჯახი 50

მუხლი 81. ბინადრობის ნებართვები მესამე ქვეყნის მოქალაქის ოჯახის წევრთათვის, რომელიც ფლობს „თანამემამულის სპეციალურ პირადობის მოწმობას“ 50

მუხლი 82. ბინადრობის ნებართვა საბერძნეთის მოქალაქის ოჯახის წევრებისათვის, რომლებიც მესამე ქვეყნის მოქალაქეები არიან 50

მუხლი 83. საბერძნეთში მუდმივი ბინადრობის ნებართვა 51

მუხლი 84. ბინადრობის ნებართვის შენარჩუნების პირობები საბერძნეთის მოქალაქის ოჯახის წევრთათვის, რომლებიც მესამე ქვეყნის მოქალაქეები არიან 52

მუხლი 85. ზოგადი დებულებები საბერძნეთში ბინადრობის მუდმივი და ინდივიდუალური ნებართვების შესახებ 53

მუხლი 86. ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის ან მისი მოქმედების შეჩერების მიზეზები 53

მუხლი 87. ბინადრობის ნებართვის გაცემა საბერძნეთის მოქალაქეების მშობლებსა და არასრულწლოვან და-ძმაზე 54

მუხლი 88. მესამე ქვეყნის მოქალაქეები, რომლებიც საბერძნეთში ლეგალურად ცხოვრობენ, მათ შორის, საერთაშორისო დაცვის ქვეშ მყოფი პირები 54

მუხლი 89. გრძელვადიანი ბინადრობის ნებართვის მიღების პირობები 54

მუხლი 90. გრძელვადიანი ბინადრობის ნებართვის გაცემის პროცედურა 55

მუხლი 92. გრძელვადიან ბინადრობის ნებართვაზე უარი საზოგადოებრივი წესრიგისა ან სახელმწიფო უსაფრთხოებისათვის რისკების შექმნის მიზეზით 56

მუხლი 93. გრძელვადიანი ბინადრობის ნებართვის მოქმედების შეჩერების ან მისი გაუქმების მიზეზები 56

მუხლი 94. ხელახალი გრძელვადიანი ბინადრობის ნებართვის მიღების პროცედურა .. 57

მუხლი 95. წარმოშობის ქვეყანაში დაბრუნების ვალდებულება (მათ შორის, დეპორტაციისა და რეადმისიის გზით) 57

მუხლი 96. გრძელვადიანი ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის, მისი მოქმედების შეჩერების, ან წარმოშობის ქვეყანაში დაბრუნების გადაწყვეტილების გასაჩივრება 58

მუხლი 97. გრძელვადიანი ბინადრობის ნებართვის მფლობელთა უფლებები და ვალდებულებები 58

მუხლი 98. ევროკავშირის წევრ სხვა ქვეყანაში მიღებული გრძელვადიანი ბინადრობის ნებართვით საბერძნეთში ცხოვრების უფლება 59

მუხლი 99. მესამე ქვეყნის მოქალაქის ოჯახის წევრები, რომელიც ფლობს ევროკავშირის წევრ სხვა ქვეყანაში გაცემულ გრძელვადიან ბინადრობის ნებართვას 60

მუხლი 100. ევროკავშირის წევრ სხვა ქვეყანაში მიღებული გრძელვადიანი ბინადრობის ნებართვის საფუძველზე საბერძნეთში ბინადრობის ნებართვაზე უარი, საზოგადოებრივი წესრიგის, სახელმწიფო უსაფრთხოების ან ჯანდაცვისათვის რისკების შექმნის მიზეზით 60

მუხლი 101. ..... ევროკავშირის წევრ სხვა ქვეყანაში მიღებული ბინადრობის გრძელვადიანი ნებართვის საფუძველზე საბერძნეთში ბინადრობის ნებართვის უფლებები და მოვალეობები 60

მუხლი 103. ევროკავშირის წევრ სხვა ქვეყანაში მიღებული გრძელვადიანი ბინადრობის ნებართვის საფუძველზე, საბერძნეთში გრძელვადიანი ბინადრობის ნებართვის მიღება 61

მუხლი 105. გრძელვადიან ბინადრობის ნებართვებთან დაკავშირებული სპეციალური დებულებები 61

მუხლი 107. ბერძნული ენის, ისტორიისა და კულტურის სათანადო ცოდნის აუცილებლობა გრძელვადიანი ბინადრობის ნებართვის მისაღებად 61

მუხლი 108. ე.წ. „მეორე თაობის“ ბინადრობის ნებართვა 62

კანონი N 4251/2014-ის დამატებითი მუხლი „19ა“: ბინადრობის ნებართვის მიღება ე.წ. „ჰუმანიტარული“ მიზეზების გამო 63

კანონი N 4332, 2015 წელი: ცვლილებები საბერძნეთის მოქალაქეობის კოდექსში 65

მუხლი 1. ზოგადი დებულებები 65

მუხლი 2(ა). განცხადების წარდგენა საბერძნეთის მოქალაქეობის მისაღებად, იმ შემთხვევაში, თუ პირი დაიბადა საბერძნეთში და სწავლობს დაწყებით სკოლაში 65

მუხლი 2(ბ). განცხადების წარდგენა საბერძნეთის მოქალაქეობის მისაღებად, იმ შემთხვევაში, თუ პირმა დაასრულა საბერძნეთის საგანმანათლებლო ნებისმიერი დაწესებულების 6 წელი 66

საბერძნეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის 2007 წლის N 106 ბრძანება: ევროკავშირის წევრი ქვეყნების მოქალაქეებისა და მათი ოჯახის წევრების ბინადრობა საბერძნეთში 67

მუხლი 9. საბერძნეთში ბინადრობის ნებართვის გაცემა ევროკავშირის ქვეყნის მოქალაქის ოჯახის წევრებზე, რომლებიც მესამე ქვეყნის მოქალაქეები არიან 68

მუხლი 10. ევროკავშირის ქვეყნის მოქალაქის ოჯახის წევრთა (რომლებიც მესამე ქვეყნის მოქალაქეები არიან) ბინადრობის ნებართვის ხანგრძლივობა 68

მუხლი 11. ევროკავშირის ქვეყნის მოქალაქის გარდაცვალების ან საბერძნეთიდან გამგზავრების შემთხვევაში, ბინადრობის ნებართვის შენარჩუნების პროცედურა მისი ოჯახის წევრებისათვის 68

მუხლი 12. ევროკავშირის მოქალაქესთან განქორწინების, ქორწინების გაუქმების, ან რეგისტრირებული თანაცხოვრების დასრულების შემთხვევაში, ბინადრობის ნებართვის შენარჩუნების პროცედურა მისი ოჯახის წევრებისათვის 69

მუხლი 17. საბერძნეთში მუდმივი ბინადრობის ნებართვა ევროკავშირის ქვეყნის მოქალაქის ოჯახის წევრთათვის, რომლებიც მესამე ქვეყნის მოქალაქეები არიან 71

სასარგებლო ბმულები 72

ძვირფასო თანამემამულეებო!

უკანასკნელ პერიოდში ქართული საზოგადოების საზღვარგარეთ მცხოვრები ნაწილის, ქართული დიასპორის მიმართ საქართველოს მთავრობამ მკაფიოდ გააზრებული და კარგად სტრუქტურიზებული მიდგომა ჩამოაყალიბა.

ქალაქ ათენში საქართველოს საელჩო საზღვარგარეთ მოქმედ იმ ქართულ დიპლომატიურ წარმომადგენლობათა რიცხვს განეკუთვნება, რომელთაც ერგოთ განსაკუთრებული პატივი და პასუხისმგებლობა, რომ ქართულ დიასპორასთან ურთიერთობა ყოველდღიური საქმიანობის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად ჰქონდეთ განსაზღვრული. ამიტომ, ბუნებრივია, საგარეო საქმეთა სამინისტროს ცენტრალურ აპარატთან, მათ შორის, დიასპორასთან ურთიერთობის დეპარტამენტთან ერთად, მუდმივად ვაფასებთ ქართული ემიგრაციის მდგომარეობას, რათა გამოიკვეთოს პრობლემატური თემები და დაიგეგმოს კონკრეტული ღონისძიებები. ამ თვალსაზრისით, სამ ძირითად ამოცანას გამოვყოფდი: ქართული დიასპორის მიმდინარე საკითხების მოგვარება, გრძელვადიანი ამოცანების გადაჭრის დაგეგმვა და დიასპორის სამშობლოსთან კავშირების განმტკიცება.

კარგად მოგეხსენებათ, რომ უკანასკნელ წლებში ქართული დიასპორისათვის საბერძნეთში არაერთი საგულისხმო პრობლემა მოგვარდა. მაგალითად, 2016 წლიდან საბერძნეთმა საქართველოს მიმართ აამოქმედა ე.წ. აპოსტილის კონვენცია, რითაც მნიშვნელოვნად გამარტივდა საბერძნეთის სხვადასხვა უწყებაში წარსადგენი დოკუმენტების დამოწმების პროცედურები და საქართველოს ათიათასობით მოქალაქემ ნათლად იგრძნო შვება ბიუროკრატიული ბარიერების შემცირებისა და ფინანსების დაზოგვის მხრივ; 2016 წლიდან ასევე გადაიჭრა ისეთი უმძიმესი საკითხი, როგორიც არის საზღვარგარეთ გარდაცვლილ თანამემამულეთა შეუფერხებლად გადასვენება სამშობლოში სახელმწიფო ხარჯებით - ქართული ემიგრაციის დიდი წუხილის საგანი წლების განმავლობაში; 2016 წელს საბერძნეთის მთავრობამ გასცა ოფიციალური ნებართვა საბერძნეთის საჯარო სკოლებში ქართული ენის შესწავლის პროგრამის ამოქმედებაზე, ხოლო 2017 წლიდან ეს პროგრამა სრულფასოვნად დაინერგა.

საბერძნეთში არალეგალურად მცხოვრებ საქართველოს მოქალაქეთა პრობლემა ათწლეულებს ითვლის და ის მთავარი საკითხია, რომელსაც უკავშირდება ჩვენი დიასპორის წარმომადგენელთა ყოველდღიური პრობლემების უმეტესობა. საბერძნეთში ლეგალურად მცხოვრები პირის სტატუსის გარეშე, ჩვენს მოქალაქეებს არ ეძლევათ სახელმწიფო ჯანდაცვითა და სხვა სოციალური პროგრამებით განსაზღვრული მომსახურებით სარგებლობის შესაძლებლობა, პრობლემები ექმნებათ განათლების მიღებისა და დასაქმების კუთხით, ვერ ახერხებენ სრულფასოვან ინტეგრაციას ბერძნულ საზოგადოებაში და სირთულეებს აწყდებიან პიროვნული თვითდამკვიდრების პროცესში.

ვფიქრობთ, ამ პრობლემის გადაჭრის მთავარი გზა გახლავთ ადგილობრივი კანონმდებლობის დაცვა საბერძნეთში შემოსვლისა და ბინადრობის შესახებ, თუმცა, როგორც აღვნიშნეთ, ათწლეულების განმავლობაში საქართველოს მოქალაქეები, სხვადასხვა მიზეზის (მათ შორის, პირადი, ეკონომიკური და სხვა პრობლემების) გამო, ბინადრობის წესების დარღვევით იმყოფებიან საბერძნეთში. ამის გათვალისწინებით, ბუნებრივია, საელჩომ თავისი საქმიანობის ძირითად სამიზნედ სწორედ საბერძნეთში არალეგალურად მყოფი ჩვენი თანამოქალაქენი შეარჩია.

შესაბამისად, დავიწყეთ საბერძნეთში მცხოვრებ საქართველოს მოქალაქეთა ლეგალიზაციის ხელშეწყობის ორეტაპიანი პროცესი. პირველ ეტაპზე მომზადდა პრაქტიკული გზამკვლევი, რომელშიც წარმოდგენილია ყოვლისმომცველი ინფორმაცია საბერძნეთის საემიგრაციო კანონმდებლობის შესახებ, შესაბამის პრაქტიკულ იურიდიულ განმარტებებთან ერთად; მეორე ეტაპზე მომზადდება საკანონმდებლო ინიციატივები, რომლებმაც ხელი უნდა შეუწყონ საბერძნეთში ბინადრობის ლეგალიზაციის გამარტივებას საქართველოს მოქალაქეთა კონკრეტული ჯგუფებისათვის. ამ ინიციატივებს, ბერძნულ მხარესთან კოორდინაციით, ავსახავთ საქართველო-საბერძნეთის ურთიერთობათა დღის წესრიგში.

მიმდინარე სამუშაოებში დიდი ენთუზიაზმით ჩაერთო ორგანიზაცია ICMPD (International Centre for Migration Policy Development), რომელიც ყოველმხრივ დაეხმარა ჩვენ მიერ ინიცირებულ პროცესს და კონკრეტული პროექტის სახე მისცა. საელჩოსთან ჩამოყალიბდა საბერძნეთში მოქმედ ქართველ იურისტთა ნებაყოფლობითი ჯგუფი, რომელმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა პროექტის განხორციელებაში, როგორც საბერძნეთის შესაბამისი კანონმდებლობის განმარტების, ისე თავისი მრავალწლიანი გამოცდილების ამ პუბლიკაციაში ასახვის კუთხით. პროექტში მონაწილეობდნენ, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს დიასპორასთან ურთიერთობის დეპარტამენტი, საბერძნეთის სახალხო დამცველის ოფისი, საბერძნეთის საემიგრაციო პოლიტიკის სამინისტრო, ქ. ათენში მოქმედი "ქართველ მიგრანტთა საინფორმაციო ცენტრის" ხელმძღვანელი ბ-ნი ავთანდილ გიუნაშვილი, ასევე ვებ-პორტალის "georgians.gr" ხელმძღვანელი ბ-ნი ბექა ბექაური.

წარმოდგენილი გზამკვლევის მიზანია საბერძნეთის შესაბამისი კანონმდებლობის რთული და სპეციფიკური სამართლებრივი დებულებების მოწოდება სრულყოფილად და, ამასთანავე, იმგვარი ფორმით, რომ გაგიმარტივდეთ ინფორმაციის აღქმა მეტად მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორიცაა: თქვენი ძირითადი უფლებები საბერძნეთში ყოფნისას (იმის მიუხედავად, ლეგალურად იმყოფებით თუ არალეგალურად); სხვადასხვა კატეგორიის ბინადრობის ნებართვის მიღების პროცედურები; ქვეყანაში თქვენი ყოფნის სტატუსიდან გამომდინარე, განათლებისა და ჯანდაცვის მომსახურების მიღების, ასევე, დასაქმების შესაძლებლობები და ა.შ. გზამკვლევის საშუალებით, თვითონ შეაფასებთ, რამდენად შესაძლებელია ლეგალურად მობინადრის სტატუსის მიღება საბერძნეთში თქვენი ყოფნის ხანგრძლივობისა და თქვენს ცხოვრებასთან დაკავშირებული დოკუმენტების მიხედვით; ასევე, რა დამატებითი საბუთები დაგჭირდებათ კონკრეტული კატეგორიის ბინადრობის ნებართვის მისაღებად; საბერძნეთის რომელი სახელმწიფო ინსტიტუტები არიან პასუხისმგებელნი თქვენი განცხადებების განხილვაზე; რა ვადებში და როგორი პროცედურებით მუშავდება წარდგენილი დოკუმენტები და სხვა. მნიშვნელოვანია, რომ გზამკვლევის საშუალებით ზემოხსენებული ინფორმაციის მიღებას შეძლებთ სახლიდან გაუსვლელად, ან სამუშაო ადგილზევე.

ვფიქრობთ, მნიშვნელოვანია ისიც, რომ გზამკვლევი მუდმივად განახლებადი დოკუმენტია. მასში დროდადრო ავსახავთ საბერძნეთის საემიგრაციო კანონმდებლობაში შესულ ცვლილებებს, რომლებსაც შეუძლია გავლენა იქონიოს თქვენს ყოფნაზე ამ ქვეყანაში. გზამკვლევი, გარკვეული პერიოდულობით, უსასყიდლოდ გავრცელდება ბეჭდური სახით. ხელმისაწვდომი იქნება მისი ელექტრონული ვერსიაც - კერძოდ, საგარეო საქმეთა სამინისტროსა და დიასპორული პორტალების ინტერნეტგვერდებზე.

იოსებ ნანობაშვილი
საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საბერძნეთის რესპუბლიკაში

მიგრანტთა და დიასპორის წარმომადგენელთა წვლილი წარმოშობის ქვეყნების განვითარებაში საყოველთაოდ აღიარებულია. შესაბამისად, გასაკვირი არ არის, რომ მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრი (ICMPD) თავის პროექტებში დიდი ხანია განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს დიასპორასთან დაკავშირებულ საკითხებს. მრავალი წელია ICMPD მჭიდროდ თანამშრომლობს საქართველოსა და უცხოეთში არსებულ ქართულ დაწესებულებებთან, ასევე, დიასპორის წევრებსა და დიასპორულ ორგანიზაციებთან, რომლებიც დაინტერესებულნი არიან საქართველოს სახელმწიფოსა და მიგრანტებს შორის დიალოგის ხელშეწყობით.

ძლიერ და ინფორმირებულ დიასპორას დიდი წვლილის შეტანა შეუძლია როგორც წარმოშობის, ასევე საცხოვრებელი ქვეყნის განვითარებაში. ამ მიზნით, ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში - „მიგრაციის მართვის ხელშეწყობა საქართველოში“ (ENIGMMA 2) - შემუშავდა სახელმძღვანელო პრინციპები საბერძნეთის მიგრაციის კანონებისა და რეგულაციების შესახებ, რათა საბერძნეთში მოსახლე ქართული დიასპორის წევრები იცნობდნენ ქვეყანაში ცხოვრების წესებსა და პროცედურებს. 2017 წლის სექტემბრიდან დაწყებული პროექტის ENIGMMA 2-ის ერთ-ერთი ძირითადი მიზანია, მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიასთან მჭიდრო თანამშრომლობით, დახმარება გაუწიოს ქართულ დიასპორას საზღვარგარეთ.

ეს პუბლიკაცია შეიქმნა ENIGMMA 2-ის პროექტის გუნდის ძალისხმევით, ქალაქ ათენში საქართველოს საელჩოსთან და საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს დიასპორის დეპარტამენტთან მჭიდრო თანამშრომლობით. იგი დაეხმარება ქართველ მიგრანტებს, რომ ინფორმირებულნი იყვნენ საბერძნეთში მიგრაციის სფეროში მოქმედი კონკრეტული რეგულაციების შესახებ. გზამკვლევის მეშვეობით, მკითხველი ადვილად აღიქვამს ინფორმაციას მიგრაციის კანონმდებლობაზე და უკეთ გაეცნობა მისთვის საბერძნეთის კონსტიტუციით უზრუნველყოფილ უფლებებს. საკანონმდებლო მექანიზმების ცოდნა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საბერძნეთში მცხოვრები ქართული დიასპორისთვის ლეგალური მიგრაციის უზრუნველსაყოფად. ამგვარად, ეს სახელმძღვანელო პრინციპები მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს არალეგალური მიგრაციის აღკვეთაში და ხელს შეუწყობს ლეგალური მიგრაციის არხების განვითარებას საქართველოსა და ევროკავშირს შორის, რასაც მიზნად ისახავს საქართველოს 2016-2020 წლების მიგრაციის სტრატეგია და ICMPD.

ENIGMMA 2-ის პროექტის გუნდის სახელით, გვინდა, განსაკუთრებული მადლობა გადავუხადოთ მის აღმატებულება საქართველოს ელჩს, იოსებ ნანობაშვილს, ასევე, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს დიასპორასთან ურთიერთობის დეპარტამენტსა და ქართველი იურისტების ჯგუფს საბერძნეთში - ამ სახელმძღვანელო პრინციპების წარმატებულად მომზადებისათვის!

ვიოლეტა ვაგნერი
მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრის
პროექტის კოორდინატორი

შესავალი

წინამდებარე პუბლიკაცია მოიცავს საბერძნეთის რესპუბლიკაში ამჟამად მოქმედ ყველა იმ სამართლებრივ დოკუმენტს, რომლებიც შეეხება უცხო ქვეყნის მოქალაქეთა ფუნდამენტურ უფლებებს საბერძნეთში ლეგალურად თუ არალეგალურად ბინადრობის პირობებში, მათ შორის, ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორიცაა განათლების მიღება, ჯანდაცვის მომსახურება, დასაქმება და სხვა. ამ პუბლიკაციაში თქვენთვის წარმოდგენილია საბერძნეთში ბინადრობის ნებართვის გაცემისა და განახლების პროცედურები, ნებართვის მისაღებად საჭირო დოკუმენტების ნუსხა, ბინადრობის განცხადების განხილვის, ასევე, საბერძნეთის კომპეტენტური სამსახურებიდან მასზე პასუხის მიღების წესები, ბინადრობის ნებართვების კატეგორიები, თითოეული მათგანის მისაღებად საჭირო მოთხოვნები და თქვენთვის საინტერესო სხვა ინფორმაცია.

პუბლიკაცია ეყრდნობა შემდეგ სამართლებრივ დოკუმენტებს: საბერძნეთის რესპუბლიკის კონსტიტუცია; 2014 წლის N4251 კანონი და მასში 2015-2017 წლებში შესული შესწორებები; 2015 წლის N4332 კანონი, რომლითაც საბერძნეთის მოქალაქეობის კოდექსში შევიდა ცვლილებები; საბერძნეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის 2007 წლის N106 ბრძანება და 2016 წლის N4368 კანონი.

ამ სამართლებრივ აქტებში გაერთიანებული თქვენთვის საყურადღებო დებულებები წარმოდგენილია მარტივად აღსაქმელი ფორმით. ნაშრომს თან ახლავს როგორც შესაბამისი იურიდიული განმარტებები - საბერძნეთში მოქმედი ქართველი იურისტების პრაქტიკული გამოცდილების გათვალისწინებით - ასევე, საჭირო ტერმინოლოგიური განსაზღვრებანი.

ვფიქრობთ, ამ პუბლიკაციის მეშვეობით, თითოეული თქვენგანი შეძლებს პასუხის მიღებას საბერძნეთში ყოფნასთან დაკავშირებულ არაერთ კითხვაზე და შესაბამისი ნაბიჯების დაგეგმვას საბერძნეთში ლეგალურად ბინადრობის უფლების მისაღებად.

განმარტებები

1. **მესამე ქვეყანა** - ეს ტერმინი შემოღებულია ევროკავშირის მიერ და აღნიშნავს ნებისმიერ ქვეყანას, რომელიც არ არის ევროკავშირის წევრი.

2. **წარმოშობის ქვეყანა** - პირის სამშობლო, მუდმივი საცხოვრებელი ქვეყანა.

3. **„თანამემამულის სპეციალური პირადობის მოწმობა“** – (Ε.Δ.Τ.Ο. – Ειδικό Δελτίο Ταυτότητας Ομογενούς) ეს საბუთი გაიცემა წარმოშობით ბერძენ პირებზე, რომლებიც თავის ბერძნულ წარმოშობას ამტკიცებენ ბერძენი მშობლების ან აღმავალი ნათესავების (ბებია/პაპა) საშუალებით. ამ საბუთს გასცემს პოლიციის მიგრანტთა დეპარტამენტის თანამემამულეების განყოფილება.

4. **საშუალო განათლების სისტემა საბერძნეთის რესპუბლიკაში** - საბერძნეთის რესპუბლიკაში საშუალო განათლება, რომელიც ორ - დაწყებით და საშუალო ნაწილად იყოფა, სამსაფეხურიანია: დაწყებითი სკოლა - 6 კლასი (Δημοτικό), მომდევნო 3 კლასი (Γυμνάσιο), რაც იძლევა არასრული საშუალო განათლების ატესტატს, და დამამთავრებელი 3 კლასი (Λύκειο).

5. **საბერძნეთში არაკვალიფიციური მუშახელის ზღვრული თვიური ანაზღაურება** - 2017 წლის 1 იანვრიდან თვეში არანაკლებ 684 ევრო, დღგ-ს ჩათვლით.

6. **საერთაშორისო დაცვის ქვეშ მყოფი, ლტოლვილი, ჰუმანიტარული დაცვის ქვეშ მყოფი და გაძევებისაგან დაცული პირები** - პირმა, რომელიც საბერძნეთში ითხოვს თავშესაფარს, შეიძლება მიიღოს ე.წ. „საერთაშორისო დაცვა“. „საერთაშორისო დაცვა“ შეიძლება მოიცავდეს ლტოლვილის ან ე.წ. „ჰუმანიტარული დაცვის ქვეშ მყოფი პირის“ სტატუსს. ლტოლვილის სტატუსი ენიჭება პირს, რომლის წარმოშობის ქვეყანაში დაბრუნება მიზანშეუწონელია განუსაზღვრელი ვადით. ამგვარი სტატუსი მუდმივია. „ჰუმანიტარული დაცვის ქვეშ მყოფი პირის“ სტატუსი ენიჭება მას, ვინც იძულებული იყო, დაეტოვებინა წარმოშობის ქვეყანა, თუმცა ეს მიზეზი არ აიძულებს სამშობლოს განუსაზღვრელი ვადით დატოვებას. ამ სახის სტატუსი ვადიანია და არ არის მუდმივი. „საერთაშორისო დაცვის“ გარდა, არსებობს ე.წ. „გაძევებისაგან დაცვა“, რომელიც გამოიყენება მაშინ, როცა თავშესაფრის მაძიებლის გაძევება წარმოშობის ქვეყანაში მიზანშეუწონელია, თუნდაც დამნაშავე იყოს, ვინაიდან მას სამშობლოში ელის წამება, არაადამიანური მოპყრობა ან სიკვდილი.

7. **დეცენტრალიზებული მმართველობის უცხოელთა და მიგრანტთა სამსახური, ანუ ე.წ. „Διεύθυνση Αλλοδαπών και Μετανάστευσης“** (შემდგომში, ტექსტში დეცენტრალიზებული მმართველობის სამსახური) - კომპეტენტური ორგანო, რომელიც პასუხისმგებელია საბერძნეთში ბინადრობის ნებართვების გაცემაზე.

8. **საბერძნეთის სახელმწიფო დაზღვევა** - საბერძნეთის სახელმწიფო დაზღვევის მისაღებად აუცილებელია, პირს 1 წლის განმავლობაში ლეგალურად ჰქონდეს ნამუშევარი 50 დღე მაინც. 2017 წლიდან საბერძნეთის ყველა სახელმწიფო სოციალური დაზღვევა გაერთიანდა სახელმწიფო სააგენტო ΕΦΚΑ-ში.

9. **საბერძნეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური აპარატი** - შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური აპარატის მიგრანტთა განყოფილება.

10. **დეცენტრალიზებული მმართველობის სამსახური** - შინაგან საქმეთა სამინისტროს უცხოელთა და მიგრანტთა რაიონული სამსახურები.

საბერძნეთის რესპუბლიკის კონსტიტუცია

„ყველას აქვს თავისუფალი განვითარების უფლება და შეუძლია მონაწილეობა საბერძნეთის სოციალურ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში, თუ ამით არ ზღუდავს სხვის უფლებებს და არ ეწინააღმდეგება ქვეყნის კონსტიტუციას ან მორალურ ნორმებს.

ნებისმიერი პირი, რომელიც იმყოფება საბერძნეთის ტერიტორიაზე, ეროვნების, სასაუბრო ენის, აღმსარებლობისა და პოლიტიკური შეხედულების მიუხედავად, სარგებლობს სიცოცხლის, ღირსების დაცვისა და თვისუფლების აბსოლუტური უფლებით.“ (ამონარიდი)

2016 წლის N. 4368 კანონის მიხედვით - დაზღვევის არმქონე და მოწყვლადი (დაუცველი) სოციალური ჯგუფების ჯანმრთელობის დაცვის შესაძლებლობები

(მათ შორის, საბერძნეთში არალეგალურად მცხოვრებ პირთა ზოგიერთი კატეგორიისათვის)

- დაზღვევის არმქონე და მოწყვლად (დაუცველ) სოციალურ ჯგუფებს აქვთ როგორც სახელმწიფო ჯანდაცვაზე წვდომის, ასევე სტაციონარული (საავადმყოფოებში) მკურნალობისა და სამედიცინო მომსახურების უფლება. მათ სტაციონარულ მომსახურებას უწევენ იმ საავადმყოფოებში, რომლებსაც ზედამხედველობას უწევს და აფინანსებს საბერძნეთის ჯანდაცვის სამინისტრო; ასევე: ფსიქიატრიულ სამკურნალო ცენტრებში; ჯანდაცვის სახელმწიფო სისტემის პირველადი სამედიცინო დახმარების დაწესებულებებში; განათლების, მეცნიერებისა და რელიგიის საკითხთა სამინისტროს დაქვემდებარებულ და მის მიერ დაფინანსებულ კლინიკებში; მუნიციპალურ სამკურნალო დაწესებულებებსა თუ რეაბილიტაციისა და სოციალური დახმარების ცენტრებში, რომლებსაც ზედამხედველობს შრომის, სოციალური დაცვისა და სოციალური თანადგომის სამინისტრო;
- ასეთ ჯგუფებს ფარმაცევტული მომსახურება (წამლების მიწოდება) გაეწევათ სამედიცინო მომსახურებათა ეროვნულ სააგენტოსთან (ყოფილი E.O.Π.Y.Y., ამჟამად EFKA) ხელშეკრულებაგაფორმებულ კერძო აფთიაქებში. ძვირადღირებული წამლები (რომლებსაც მოიცავს 3816/2010 (A΄6) კანონის მე-12 მუხლის მე-2 პუნქტი), გაიცემა ექსკლუზიურად მხოლოდ საავადმყოფოებისა და სამედიცინო მომსახურებათა ეროვნული სააგენტოს აფთიაქებში.

ზემოაღწერილი მომსახურების ბენეფიციარები (მიმღებები) არიან:

- საბერძნეთის მოქალაქეები და „თანამემამულის სპეციალური პირადობის მოწმობის“ მფლობელი პირები (Ε.Δ.Τ.Ο. – Ειδικό Δελτίο Ταυτοτητας Ομογενούς), ევროკავშირის წევრი ქვეყნებისა და ე.წ. „მესამე ქვეყნის“ (მათ შორის საქართველოს) მოქალაქეები, რომლებიც ფლობენ საბერძნეთში ბინადრობის ნებართვას, ასევე, ყველა ზემოხსენებული პირის ოჯახის წევრები (მეუღლე და არასრულწლოვანი ან მეურვეობის ქვეშ მყოფი შვილები);
- ქვეყნის სადაზღვევო კომპანიებში რეგისტრირებული პირები და მათი ოჯახების წევრები (მეუღლე და არასრულწლოვანი ან მეურვეობის ქვეშ მყოფი შვილები), რომლებმაც დაკარგეს დაზღვევა სადაზღვევო დავალიანებების გამო და აღარ აქვთ სახელმწიფო ჯანდაცვის მომსახურებათა მიღების უფლება;
- ზემოთ აღწერილი მომსახურების ბენეფიციარები - <u>მიუხედავად იმისა, ფლობენ თუ არა ქვეყანაში ბინადრობის უფლებას - ასევე არიან საბერძნეთში მყოფი</u>:
  - 18 წლამდე პირები;
  - ფეხმძიმეები;
  - შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დახმარების ცენტრებში, სარეზერვო ან კერძო თავშესაფრებში, ანდა საჯარო თუ კერძო სამართლის იურიდიული პირის სტატუსის მქონე შესაბამის არაკომერციულ დაწესებულებებში განთავსებული პირები;
  - ფსიქიატრიულ დაწესებულებებში განთავსებული პირები;

- პირები, რომლებიც არიან 4139/2013 კანონით განსაზღვრულ სამკურნალო დაწესებულებებში (ნარკოტიკების მომხმარებელნი), ან ამავე ორგანიზაციების მეთვალყურეობის ქვეშ, როგორც ამბულატორიული პაციენტები;
- სამართალდამცველთა მიერ დაკავებული ან არასრულწლოვანთა პენიტენციურ დაწესებულებებსა და თავშესაფრებში განთავსებული, ასევე, ადმინისტრაციული პატიმრობის ქვეშ მყოფი პირები;
- პირები, რომლებიც, სასჯელის მოხდის ალტერნატივის სახით, ასრულებენ საზოგადოებისათვის სასარგებლო სამუშაოს;
- 67% და უფრო მაღალ პროცენტიანი ინვალიდობის მქონე პირები, ასევე მოქალაქეები, რომელთა ჯანმრთელობის მდგომარეობა მოითხოვს ჰოსპიტალიზაციას ან მუდმივ სამედიცინო მეთვალყურეობას, ანდა რეაბილიტაციას ავთვისებიანი, ქრონიკული, განუკურნებელი თუ იშვიათი დაავადების გამო. ქრონიკულ დაავადებას უნდა ადასტურებდეს სახელმწიფო სამედიცინო მომსახურების დაწესებულებების ან საუნივერსიტეტო საავადმყოფოების დასკვნები;
- საერთაშორისო დაცვის მქონე (ასევე, ვისაც შეტანილი აქვს განაცხადი ამგვარი დაცვის მიღებაზე) და მოქალაქეობის არმქონე პირები (მაგ.: ვინც საბერძნეთის მოქალაქეობის მისაღებად, უარი თქვა საქართველოს მოქალაქეობაზე) და მათი ოჯახის წევრები (მეუღლე და არასრულწლოვანი ან მეურვეობის ქვეშ მყოფი შვილები). ეს ვრცელდება იმ შემთხვევაშიც, თუ მესამე ქვეყნის მოქალაქეებს აქვთ მოქმედი ბინადრობის ნებართვა, და მაშინაც, როცა ისინი ელოდებიან გადაწყვეტილებას საერთაშორისო დაცვის მქონე პირის სტატუსის განახლებაზე, ან სასამართლოში შეტანილ აპელაციაზე;
- საბერძნეთში ე.წ. „ჰუმანური“ (პირადი ან ოჯახური) მიზეზით ან „განსაკუთრებულ გარემოებათა გამო“ ბინადრობის უფლებით მცხოვრები პირები და მათი ოჯახის წევრები (მეუღლე და არასრულწლოვანი ან მეურვეობის ქვეშ მყოფი შვილები). ეს ვრცელდება იმ შემთხვევაშიც, თუ მესამე ქვეყნის მოქალაქეებს აქვთ მოქმედი ბინადრობის ნებართვა და მაშინაც, როცა ისინი ელოდებიან გადაწყვეტილებას საერთაშორისო დაცვის მქონე პირის სტატუსის განახლებაზე, ან სასამართლოში შეტანილ აპელაციაზე;
- საერთაშორისო დაცვის მქონე პირის სტატუსის მაძიებლები და მათი ოჯახის წევრები (მეუღლე და არასრულწლოვანი ან მეურვეობის ქვეშ მყოფი შვილები), საერთაშორისო დაცვის მიღებაზე განაცხადის შეტანიდან შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებამდე;
- სისხლის სამართლის კოდექსის 323, 323A, 349, 351 და 351A მუხლებით (ტრეფიკინგი და სხვა ორგანიზებული დანაშაული) განსაზღვრულ დანაშაულთა მსხვერპლნი, რომლებზეც ვრცელდება 3875/2010 „კანონი ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ გაეროს კონვენციის რატიფიცირებისა და განხორციელების შესახებ“; ასევე, მესამე ქვეყნის მოქალაქეები, რომელთაც აქვთ წერილობითი ცნობა დეპორტაციის გადავადების გადაწყვეტილებაზე.

- ზემოაღნიშნული სამედიცინო მომსახურების ხარჯებს ფარავს საბერძნეთის სამედიცინო მომსახურების ეროვნული სააგენტო.

ბინადრობის ნებართვის კატეგორიები

მესამე ქვეყნის მოქალაქეს, რომელიც საბერძნეთის ტერიტორიაზე შემოსულია კონკრეტული კატეგორიის ვიზით, უფლება აქვს, მოითხოვოს ამ ვიზის შესაბამისი ბინადრობის ნებართვა. ბინადრობის ნებართვის კატეგორიებია:

სამსახურებრივი ან პროფესიული მიზეზით გაცემული ნებართვები:

- დაქვემდებარებული (დაქირავებული) სამუშაოს შემსრულებელი პირებისთვის;
- დარგობრივი სამუშაოს შემსრულებელი პირებისთვის (შესაბამისი დიპლომის ან კვალიფიკაციის დამადასტურებელი სარწმუნო საბუთის ფლობისას);
- პირებისთვის, რომლებიც ეწევიან საინვესტიციო საქმიანობას;
- პირებისთვის, რომლებიც ეწევიან მაღალპროფესიულ საქმიანობას.

ნებართვები სეზონური სამუშაოს შემსრულებელთათვის:

- სეზონური დასაქმება;
- მეთევზეები/თევზსაჭერ ხომალდზე დასაქმებული პირები;
- ხელოვნების მუშაკები;
- პირები, რომლებიც პროფესიულ საქმიანობას ეწევიან ევროკავშირის წევრ ქვეყნებში;
- პირები, რომლებიც სამეწარმეო (ბიზნეს) საქმიანობას ეწევიან მესამე ქვეყნებში;
- ჯგუფური ტურისტული ტურების ორგანიზატორები (და ხელმძღვანელები);
- მესამე ქვეყნის უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტები, რომლებიც შემდგომი პრაქტიკის გავლის მიზნით სტუმრობენ საბერძნეთს.

ნებართვები ე.წ. „ჰუმანური“ (პირადი ან ოჯახური) მიზეზით, ან „განსაკუთრებულ გარემოებათა გამო“:

- ჰუმანური მიზეზებით (მაგ.: ავადმყოფობა);
- განსაკუთრებული გარემოებებით;
- საჯარო ინტერესებისთვის;
- სხვა მიზნებით.

ნებართვები სწავლის, მოხალისედ (ანაზღაურების გარეშე) მუშაობის, სამეცნიერო კვლევისა და პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით:

- განათლების მიღება;
- მოხალისედ მუშაობა;
- სამეცნიერო კვლევა;
- პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლება.

ნებართვები ტრეფიკინგისა და არალეგალური მიგრაციის მსხვერპლთათვის;

- **ნებართვები ოჯახის გაერთიანების მიზნით:**
  - მესამე ქვეყნის მოქალაქის ოჯახის წევრისათვის, რომელმაც მიიღო ბინადრობის ნებართვა ოჯახის გაერთიანების მიზნით;
  - საბერძნეთის მოქალაქის, ან „თანამემამულის სპეციალური პირადობის მოწმობის“ (Ε.Δ.Τ.Ο. – Ειδικό Δελτίο Ταυτοτητας Ομογενούς) მფლობელი პირის ოჯახის წევრისათვის;
  - ინდივიდუალური ბინადრობის ნებართვა მესამე ქვეყნის მოქალაქის, ან „თანამემამულის სპეციალური პირადობის მოწმობის“ მფლობელი პირის ოჯახის წევრისათვის;
  - ინდივიდუალური ბინადრობის ნებართვა საბერძნეთის მოქალაქის ოჯახის წევრისათვის.

- **გრძელვადიანი ბინადრობის ნებართვები:**
  - ბინადრობის ნებართვა ქვეყანაში ხანგრძლივად მცხოვრებისათვის. ამგვარი ნებართვა შეიძლება მიეცეს პირს, რომელიც ფლობს ბერძნული ენის B1 სერტიფიკატს, ან ქვეყანაში ბინადრობის ნებართვას ბოლო 12 წლის განმავლობაში;
  - „მეორე თაობის“ ბინადრობის ნებართვა (მაგ.: თუ ბავშვი დაბადებულია საბერძნეთში, ან დაწყებით სკოლაში 6 კლასი ისწავლა);
  - 10-წლიანი ბინადრობის ნებართვა საბერძნეთში მომუშავე პირისათვის (რომელიც 2006 წლის 1 იანვრამდე უკვე ფლობდა ქვეყანაში ბინადრობის ნებართვას).

ზემოთ ჩამოთვლილი ყველა კატეგორიის ბინადრობის ნებართვაში მითითებულია, აქვს თუ არა მფლობელს მუშაობის უფლება. ბინადრობის ნებართვის მიზნობრიობის შეცვლა შეუძლებელია, გარდა განსაკუთრებული შემთხვევებისა. ბინადრობის ნებართვაში მითითებულია მფლობელის პროფესია ან საქმიანობა. პირველადი ბინადრობის ნებართვის ვადა 2 წელია, გარდა კანონით განსაზღვრულ გამონაკლისი შემთხვევებისა, ხოლო მისი გაგრძელება შესაძლებელია 3 წლით.

მუხლი 8. ბინადრობის ნებართვის მინიჭების ზოგადი წესები

- ზოგადად, მესამე ქვეყნის მოქალაქე, რომელსაც შეაქვს განცხადება საბერძნეთში ბინადრობის ნებართვის მისაღებად, ვალდებულია, ეს გააკეთოს საბერძნეთში შემოსასვლელი ვიზის ვადის გასვლამდე;
- ბინადრობის ნებართვის განცხადებები შედის დეცენტრალიზებული მმართველობის უცხოელთა და მიგრანტთა სამსახურში (ე.წ. „Αποκεντρωμένη Διοίκηση Διεύθυνση Αλλοδαπών και Μετανάστευσης“), განმცხადებლის საცხოვრებელი უბნის მიხედვით, ან შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალურ აპარატში (Υπουργείο Εσωτερικών Διεύθυνση Μεταναστευτικής πολιτικής) (კანონი 4018/2011 (ა 215), მუხლი N2);
- პირველად ბინადრობის ნებართვაზე განცხადება შეიძლება შეიტანოს როგორც უშუალოდ მესამე ქვეყნის მოქალაქემ, ისე მისი ნდობით აღჭურვილმა პირმა (რომელიც სრულწლოვანია), ან მეუღლემ; ასევე, აღმავალი ხაზით ნათესავმა და დაღმავალი ხაზით ნათესავმა/შთამომავალმა. იგივე წესი ვრცელდება განცხადებაზე უარყოფითი პასუხის, ან ბინადრობის ნებართვის მისაღებად ჩაბარებული დამატებითი საბუთების გამოტანის შემთხვევაში;
- დასაშვებია მოქალაქის სატელეფონო, ელექტრონული ან საფოსტო კომუნიკაცია კომპეტენტურ უწყებებთან - ისეთ საკითხებზე, როგორიცაა ბინადრობის ნებართვის გაცემა ან მისი ვადის გაგრძელება, დამატებითი საბუთების შეტანა, პროცესის მიმდინარეობის კონტროლი და სხვა;
- ბინადრობის ნებართვის განცხადებასთან ერთად, განმცხადებელმა უნდა წარადგინოს შესაბამისი მოსაკრებლის გადახდის ქვითარი (ბინადრობის ნებართვის კატეგორიის მიხედვით);

- კომპეტენტური ორგანოები, რომლებსაც ბარდება მესამე ქვეყნის მოქალაქის განცხადება ბინადრობის ნებართვისათვის საჭირო საბუთებთან ერთად, დოკუმენტაციის სრულად წარდგენის შემთხვევაში, გასცემენ შესაბამის ცნობას „საბუთების ჩაბარების თაობაზე“ (ჩაბარების ცნობა). ცნობის ხანგრძლივობა 1 წელია. განცხადებაზე უარყოფითი პასუხის შემთხვევაში, ის ავტომატურად ჩაითვლება ბათილად;
- თუ ჩაბარების ცნობის ვადის გასვლის მომენტისათვის ბინადრობის ნებართვაზე შეტანილ განცხადებაზე გადაწყვეტილება არ არის მიღებული, შესაბამისი ორგანო ვალდებულია, ხელმეორედ გასცეს ეს ცნობა და განმცხადებელს აცნობოს შესაბამისი ახსნა-განმარტების დართვით;
- ასეთივე ჩაბარების ცნობა გაიცემა, თუ ბინადრობის პირველადი ნებართვის მიღებაზე განმცხადებელს არ აქვს საბერძნეთის სახელმწიფო სოციალური დაზღვევა, მაგრამ განცხადების შეტანიდან 6 თვის ვადაში წარადგენს ამ საბუთს;
- მესამე ქვეყნის მოქალაქეს, რომელმაც შეიტანა განცხადება ბინადრობის ნებართვაზე და მიიღო მისი ჩაბარების ცნობა, შეუძლია ქვეყანაში ლეგალურად ცხოვრება ცნობის ვადის გასვლამდე. ამ პერიოდში იგი სარგებლობს იმავე უფლებებით, რომლებიც აქვს ბინადრობის ნებართვის მფლობელს;
- შესაძლოა, დეცენტრალიზებული მმართველობის სამსახურმა მესამე ქვეყნის მოქალაქე გასაუბრებაზე დაიბაროს, რომელიც გაიმართება საიმიგრაციო კომისიის თანდასწრებით, კონკრეტულ დროს და მისამართზე. მესამე ქვეყნის მოქალაქეს გასაუბრებაზე იწვევენ წერილობით. თუ პირი არ გამოცხადდა დანიშნულ დროს, მის განცხადებაზე გამოიცემა უარყოფითი გადაწყვეტილება.

მუხლი 9. ბინადრობის ნებართვის განახლების პროცედურა

- ბინადრობის ნებართვის განახლებაზე განცხადების შეტანა საჭიროა მისი ვადის გასვლამდე 2 თვით ადრე. ამ ვადების დარღვევის შემთხვევაში, საბუთების შეტანა მაინც შესაძლებელია ბინადრობის ნებართვის ვადის გასვლიდან 1 თვის განმავლობაში, თუკი პირი გადაიხდის ჯარიმას 50 (ორმოცდაათი) ევროს ოდენობით. ვადის გასვლიდან 1 თვის შემდეგ მოქალაქეს აღარ აქვს ამ საბუთის განახლებაზე განცხადების შეტანის უფლება, გარდა გამონაკლისი შემთხვევებისა (მაგ.: ჯანმრთელობის პრობლემები, რისი დასაბუთებაც შესაძლებელია სარწმუნო დოკუმენტებით);
- ბინადრობის ნებართვაზე განცხადებები წარედგინება დეცენტრალიზებული მმართველობის სამსახურს (Αποκεντρωμένη Διοίκηση), განმცხადებლის საცხოვრებელი უბნის მიხედვით, ან შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალურ აპარატს;
- კომპეტენტური ორგანოები, რომლებსაც ბარდება მესამე ქვეყნის მოქალაქის განცხადება ბინადრობის ნებართვის განახლებისათვის საჭირო საბუთებთან ერთად, დოკუმენტაციის სრულად წარდგენის შემთხვევაში, გასცემენ შესაბამის ცნობას „საბუთების ჩაბარების თაობაზე“. ცნობის ხანგრძლივობა 1 წელია;
- ასეთივე ცნობა გაიცემა მესამე ქვეყნის მოქალაქის პასპორტის ვადის გასვლის შემთხვევაშიც, თუკი მოქალაქე შესაბამისი საკონსულო სამსახურიდან წარადგენს საჭირო საბუთს, რომ შეტანილი აქვს განცხადება ახალი პასპორტის აღების მოთხოვნით. ამ შემთხვევაში მან დამატებითი საბუთი შესაბამის უწყებაში უნდა შეიტანოს 6 თვის ვადაში;
- პირს, რომელსაც აქვს ცნობა „საბუთების ჩაბარების თაობაზე“ ბინადრობის ნებართვის განახლებისათვის, შეუძლია ქვეყანაში ლეგალურად ცხოვრება ცნობის ვადის გასვლამდე და სარგებლობს იმავე უფლებებით, რომლებიც ჰქონდა წინა ბინადრობის ნებართვით. განცხადებაზე უარყოფითი პასუხის შემთხვევაში, გაცემული ცნობა ავტომატურად ჩაითვლება ბათილად.

მუხლი 10. მესამე ქვეყნის მოქალაქეზე ბინადრობის ნებართვის გაცემის პროცედურა

- შინაგან საქმეთა სამინისტროს დეცენტრალიზებული მმართველობის სამსახურის მიერ გაცემული ბინადრობის ნებართვა გადაეცემა განმცხადებელს, შესაბამის დამადასტურებელ საბუთსა და გადაწყვეტილების ასლთან ერთად. საბუთის აღებისას განმცხადებელი ვალდებულია, წარადგინოს მესამე ქვეყნის მოქალაქის პასპორტი ან სხვა სამგზავრო დოკუმენტი, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ის დასაბუთებულად ამტკიცებს პასპორტის არქონის მიზეზებს. ბინადრობის ნებართვის მისაღებად, აუცილებელი წინაპირობაა საბუთების ჩაბარების ცნობის უკან დაბრუნება;
- თუ პირი არ გამოცხადდება ბინადრობის ნებართვის მისაღებად, ეს ნებართვა, მისი ვადის გასვლის შემდეგ, კიდევ 1 თვის განმავლობაში შეინახება. ვადის ამოწურვის შემდეგ, შესაძლებელია არა ბინადრობის ნებართვის, არამედ მხოლოდ გადაწყვეტილების ზუსტი ასლის გამოთხოვა (მაგ.: უნივერსიტეტში წარსადგენად);
- შეტანილ განცხადებაზე უარყოფითი გადაწყვეტილების საბუთი გაიცემა ამ გადაწყვეტილების ასლსა და საბუთის გადაცემის ცნობასთან ერთად. გადაწყვეტილება განმცხადებელმა უნდა გამოიტანოს წერილობითი შეტყობინების მიღებიდან 60 დღის ვადაში.

მუხლი 12. მესამე ქვეყნის მოქალაქის საბერძნეთში მოწვევის პროცედურა დაქვემდებარებულ სამუშაოზე (დაქირავება) დასაქმების მიზნით

- დამსაქმებელს, რომელსაც სურვილი აქვს, დაიქირაოს მესამე ქვეყნის (მათ შორის საქართველოს) მოქალაქე, შესაბამისი განაცხადი შეაქვს დეცენტრალიზებული მმართველობის სამსახურში, თავისი საცხოვრებელი უბნის მიხედვით. განცხადებაში მითითებულ უნდა იყოს დასასაქმებელი პირების რაოდენობა, პირადი მონაცემები, ეროვნება, პროფესია/საქმიანობა და დასაქმების პერიოდი. განაცხადს უნდა ახლდეს: სულ მცირე, ერთწლიანი სამუშაო კონტრაქტი, სადაც მითითებული თანხა (ხელფასი) არ უნდა იყოს ქვეყანაში არაკვალიფიციური მუშახელის თვიურ ანაზღაურებაზე დაბალი (2017 წლის 1 იანვრიდან 684 ევრო, დღგ-ს ჩათვლით); ასევე, წლიური ქონებრივი დეკლარაციის ასლი და საბუთი, რომ მას შეუძლია გადაიხადოს ქვეყნის კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადები;
- დეცენტრალიზებული მმართველობის სამსახური გასცემს საბუთს, რომელიც ნებას რთავს მესამე ქვეყნის მოქალაქეს, შეასრულოს დამსაქმებლის მიერ შეთავაზებული სამუშაო (საბერძნეთის შრომის სამინისტრო ყოველწლიურად კონკრეტული პროფესიების მიხედვით ავრცელებს ვაკანსიების ჩამონათვალს, რომლებზეც შეიძლება დასაქმდნენ მესამე ქვეყნის მოქლაქეები). ამის შემდეგ, ეს საბუთი, ხელმოწერილ სამუშაო კონტრაქტთან ერთად, იგზავნება შესაბამის ქვეყანაში არსებულ საბერძნეთის საკონსულო სამსახურში;
- საბერძნეთის საკონსულო სამსახური იწვევს დასასაქმებელ პირებს შესაბამისი კატეგორიის ვიზის მისაღებად. ისინი პირადად უნდა გამოცხადდნენ საკონსულო სამსახურში და ხელი მოაწერონ სამუშაო კონტრაქტს.

მუხლი 13. მესამე ქვეყნის მოქალაქის საბერძნეთში მოწვევა სეზონურ სამუშაოზე დასაქმების მიზნით

- დამსაქმებელს, რომელსაც სურვილი აქვს, დაიქირაოს მესამე ქვეყნის (მათ შორის საქართველოს) მოქალაქე, განაცხადი შეაქვს დეცენტრალიზებული მმართველობის სამსახურში, თავისი საცხოვრებელი უბნის მიხედვით. განცხადებაში მითითებულ უნდა იყოს დასასაქმებელი პირების რაოდენობა, მათი პირადი მონაცემები, ეროვნება, პროფესია/საქმიანობა და დასაქმების პერიოდი. განაცხადს უნდა ახლდეს:
  - თითოეულ დასასაქმებელ პირზე 150 (ასორმოცდაათი) ევროს ოდენობის მოსაკრებლის გადახდის ქვითარი, რომელიც განმცხადებელს უკან აღარ დაუბრუნდება;
  - განცხადება, რომ დამსაქმებელი დაფარავს დასასაქმებელი პირების საყოფაცხოვრებო და სამშობლოში დასაბრუნებელ სამგზავრო ხარჯებს, თუკი მათ უარს ეტყვიან საბერძნეთში ბინადრობის უფლებაზე;
  - დამსაქმებლის მიერ ხელმოწერილი და თითოეულ დასასაქმებელთან გაფორმებული კონტრაქტი (2 ასლი), დამტკიცებული შრომის ინსპექციის სამსახურის მიერ. კონტრაქტში უნდა მიეთითოს დასაქმების სახე, ხანგრძლივობა და ანაზღაურება, რომელიც არ უნდა იყოს ქვეყანაში არაკვალიფიციური მუშახელის თვიურ ანაზღაურებაზე დაბალი;
  - დამსაქმებლის ქონებრივი დეკლარაციის ასლი;
  - განცხადება, რომ დამსაქმებელი უზრუნველყოფს დასასაქმებელი პირის სათანადო საცხოვრებელ პირობებს.

- თუ დამსაქმებელს სურს, დაასაქმოს მესამე ქვეყნის მოქალაქე სოფლის მეურნეობის სექტორში, უნდა წარადგინოს კანონით გათვალისწინებული გადასახადების გადახდის დამადასტურებელი საბუთი - 2 თვეში ერთხელ დასაქმების მთელ პერიოდში;
- თუ რაიმე მიზეზის გამო მესამე ქვეყნის მოქალაქეს არ მიეცემა საბერძნეთის ტერიტორიაზე შემოსვლის უფლება და შესაბამისი ვიზა, ან იგი თვითონ განაცხადებს უარს საკუთარი ქვეყნის დატოვებაზე, დამსაქმებელს გადახდილი თანხები უკან უბრუნდება შესაბამისი განაცხადის საფუძველზე;
- დასაქმებული პირის დეპორტაციის შემთხვევაში, სადაზღვევო შენატანები, რომლებიც უკავშირდება კონტრაქტით განსაზღვრულ პერიოდს, ასევე უბრუნდება დამსაქმებელს;
- განაცხადს განიხილავს დეცენტრალიზებული მმართველობის სამსახური. თუ მესამე ქვეყნის მოქალაქე უნდა დასაქმდეს ისეთ სექტორში, როგორიცაა სოფლის მეურნეობა, ეს სამსახური ვალდებულია, აღნიშნული გადაწყვეტილება აცნობოს ყველა რეგიონულ კომპეტენტურ უწყებას.

მუხლი 14. მესამე ქვეყნის მოქალაქის საბერძნეთში მოწვევა სანაოსნო/თევზსაჭერ სამუშაოზე დასაქმების მიზნით

- დამსაქმებელს, რომელსაც სურვილი აქვს, დაიქირაოს მესამე ქვეყნის (მათ შორის საქართველოს) მოქალაქე, უნდა შეიტანოს განაცხადი დეცენტრალიზებული მმართველობის სამსახურში, მისი საწარმოს ან ნავსადგურის განთავსების ადგილის მიხედვით. განცხადებაში მითითებული უნდა იყოს დასასაქმებელი პირების რაოდენობა, პირადი მონაცემები, ეროვნება, პროფესია/საქმიანობა და დასაქმების პერიოდი. განაცხადს უნდა ახლდეს:
  - თითოეულ დასასაქმებელ პირზე 150 (ასორმოცდაათი) ევროს ოდენობის მოსაკრებლის გადახდის ქვითარი, რომელიც განმცხადებელს უკან აღარ დაუბრუნდება;

- მესამე ქვეყნის დასასაქმებელ მოქალაქეთა სია, სადაც მითითებული უნდა იყოს ეროვნება, სახელი, გვარი, მამის სახელი, დაბადების თარიღი და პასპორტის ნომერი;
- განცხადება, რომ დამსაქმებელი დაფარავს დასასაქმებელ პირთა საყოფაცხოვრებო და სამშობლოში დასაბრუნებელ სამგზავრო ხარჯებს, თუკი მათ უარს ეტყვიან საბერძნეთში ბინადრობის უფლებაზე;
- თითოეულ დასასაქმებელ პირთან გაფორმებული კონტრაქტი (2 ასლი), ხელმოწერილი დამსაქმებლის და დამტკიცებული შრომის ინსპექციის სამსახურის მიერ. კონტრაქტში მითითებული უნდა იყოს დასაქმების სახე, ხანგრძლივობა და ანაზღაურება;
- შესაბამისი საპორტო სამსახურის ცნობა, რომელშიც მითითებულია ნავსადგურის ადგილმდებარეობა, ნავის/გემის ტევადობა და დასტურდება, რომ ნავი/გემი გამართულია საექსპლოატაციოდ;
- განაცხადის განხილვაზე პასუხისმგებელია დეცენტრალიზებული მმართველობის სამსახური, რომელმაც თავისი გადაწყვეტილება უნდა მიაწოდოს საბერძნეთის შესაბამის საკონსულო დაწესებულებას და, ასევე, ყველა რეგიონულ კომპეტენტურ უწყებას.

- დასაქმების მთელ პერიოდში, 2 თვეში ერთხელ, დამსაქმებელმა უნდა წარადგინოს კანონით გათვალისწინებული გადასახადების გადახდის დამადასტურებელი საბუთი;
- თუ რაიმე მიზეზის გამო მესამე ქვეყნის მოქალაქეს არ მიეცემა საბერძნეთის ტერიტორიაზე შემოსვლის უფლება და შესაბამისი ვიზა, ან თვითონ განაცხადებს უარს საკუთარი ქვეყნის დატოვებაზე, ანდა წარმოიშვება იმგვარი პრობლემები, როგორიცაა ნავის/გემის გაუმართაობა და დასაქმებულის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება, დამსაქმებელს გადახდილი თანხები უკან უბრუნდება შესაბამისი განაცხადის საფუძველზე;
- დასაქმებული პირის დეპორტაციის შემთხვევაში, სადაზღვევო შენატანები, რომლებიც უკავშირდება კონტრაქტით განსაზღვრულ პერიოდს, ასევე უბრუნდება დამსაქმებელს.

მუხლი 15. ბინადრობის ნებართვის მინიჭება და განახლება დარგობრივ სამუშაოზე (შესაბამისი დიპლომის ან კვალიფიკაციის დამადასტურებელი სარწმუნო საბუთის ფლობის შემთხვევაში) დასაქმებული პირისათვის

- მესამე ქვეყნის მოქალაქეზე, რომელსაც აქვს შესაბამისი კატეგორიის ვიზა საბერძნეთში კონკრეტული სამუშაოს შესასრულებლად, სამუშაო კონტრაქტისა და სხვა საჭირო დოკუმენტაციის წარდგენის შემდეგ შეიძლება გაიცეს ბინადრობის ნებართვა. კონტრაქტში მითითებული თანხა (ხელფასი) არ უნდა იყოს ქვეყანაში არაკვალიფიციური მუშახელის თვიურ ანაზღაურებაზე დაბალი;
- ამ კატეგორიის ბინადრობის ნებართვის განახლებისათვის, მესამე ქვეყნის მოქალაქემ უნდა გააკეთოს განაცხადი და წარადგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:
  - წლიური ქონებრივი დეკლარაციის ასლი;
  - სახელმწიფო სოციალური დაზღვევის საბუთი;
  - სადაზღვევო სამსახურის ცნობა, რომ აკმაყოფილებს მინიმალური სამუშაო დღეების (2017 წლის მონაცემით - წელიწადში 50) მოთხოვნას.

- ბინადრობის ნებართვის გაცემისა თუ განახლების განაცხადის განხილვაზე პასუხისმგებელია დეცენტრალიზებული მმართველობის სამსახური. მესამე ქვეყნის მოქალაქეს, ბინადრობის ნებართვის ვადის გასვლამდე, უფლება აქვს, ხელშეკრულება გააფორმოს სხვა დამსაქმებელთან, ოღონდ იმ პირობით, რომ არ შეიცვლება იმ

სამუშაოს სახე, რისთვისაც მიენიჭა ქვეყანაში პირველადი ბინადრობის ნებართვა, ასევე სადაზღვევო სამსახური, რომელიც აზღვევს აღნიშნულ პირს;

- ბინადრობის ნებართვის მფლობელს საბერძნეთის სხვა რეგიონში სამუშაოდ გადასვლა და სამუშაოს სახის შეცვლა შეუძლია ბინადრობის ნებართვის გაცემიდან 1 წლის შემდეგ.

მუხლი 16. ბინადრობის ნებართვის მინიჭება და განახლება იმ პირებისათვის, რომლებიც საბერძნეთში ეწევიან საინვესტიციო საქმიანობას

- მესამე ქვეყნის მოქალაქეებს აქვთ საბერძნეთში შემოსვლისა და ყოფნის უფლება საბერძნეთის ეკონომიკისათვის სასარგებლო საინვესტიციო საქმიანობაში ჩასართავად. მათი საქმიანობა შეიძლება იყოს როგორც საინვესტიციო, ისე საექსპერტო და საშუამავლო სახის. ეს პირები შეიძლება იყვნენ კვალიფიციური სპეციალისტები ან ტექნიკური მუშაკები, რომლებიც დასაქმდებიან საინვესტიციო მიზნებისთვის მოქმედ საწარმოში;
- ზემოაღნიშნული კატეგორიების მესამე ქვეყნის მოქალაქეებზე საბერძნეთში შემოსვლისა და ცხოვრების ნებართვის გასაცემად, საჭიროა საბერძნეთის ეკონომიკისა და განვითარების სამინისტროს შიდა და პირდაპირი ინვესტიციების დეპარტამენტის შესაბამისი რეკომენდაცია;
- განაცხადი და საჭირო დოკუმენტაცია უნდა შეიტანონ საბერძნეთის შესაბამის საკონსულო სამსახურში, რომელიც საბუთებს ქვეყნის ეკონომიკისა და განვითარების სამინისტროში გადაგზავნის. დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში, ეკონომიკისა და განვითარების სამინისტროს შიდა და პირდაპირი ინვესტიციების დეპარტამენტი საკონსულო სამსახურს გადაუგზავნის რეკომენდაციას შესაბამისი კატეგორიის ვიზის გასაცემად;
- მესამე ქვეყნის მოქალაქეს, რომელსაც აქვს საბერძნეთის ვიზა საინვესტიციო საქმიანობისათვის, შეიძლება მიენიჭოს ბინადრობის ნებართვა. მისი ხანგრძლივობა 5 (ხუთი) წელია და შეიძლება კიდევ 5 (ხუთი) წლით განახლდეს, თუკი ზემოხსენებული საინვესტიციო საქმიანობა გაგრძელდება;
- ამ კატეგორიის მესამე ქვეყნის მოქალაქეებს შეუძლიათ, თან იყოლიონ ოჯახის წევრები, რომლებზეც გაიცემა ბინადრობის ნებართვა ოჯახის გაერთიანების მიზნით. მათი ნებართვის მოქმედების ვადა იწურება მესამე ქვეყნის მოქალაქის ბინადრობის ნებართვის ვადის გასვლასთან ერთად;
- შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური აპარატი პასუხისმგებელია ამ სახის განცხადების შესწავლაზე, ასევე, საინვესტიციო საქმიანობის მიზნით ბინადრობის ნებართვის გაცემისა ან განახლების გადაწყვეტილების მიღებაზე;
- ზემოაღნიშნული დებულებები ვრცელდება (მესამე ქვეყნის მოქალაქეთა როგორც საბერძნეთში შემოსვლაზე, ისე ბინადრობაზე) ასევე ევროკავშირის ქვეყნებში მოქმედი საწარმოების წარმომადგენლებზე. მესამე ქვეყნის ამ კატეგორიის მოქალაქეთა ბინადრობის ნებართვაში მითითებულია: „ბინადრობის ნებართვა საინვესტიციო საქმიანობისათვის“ და გრაფაში „შენიშვნები“ დაკონკრეტებულია მფლობელის პროფესიული საქმიანობა;
- სტრატეგიული ინვესტიციების კომიტეტის გადაწყვეტილებით (საბერძნეთის უწყებათაშორისი ორგანო, რომლის საქმიანობასაც 3894/2010 კანონი არეგულირებს), საბერძნეთში შესასვლელად, D კატეგორიის ვიზის მიღება შეუძლია მესამე ქვეყნის 10 (ათ) მოქალაქეს - თითო საინვესტიციო საქმიანობისთვის. ამ კატეგორიის ვიზა გაიცემა საკონსულო მოსაკრებლის გარეშე;
- შინაგან საქმეთა მინისტრის გადაწყვეტილების შესაბამისად, თუ საინვესტიციო პროექტი სტრატეგიულად შეფასდა, გაიცემა 10-წლიანი ბინადრობის ნებართვა, რომლის განახლება შესაძლებელია კიდევ 10 წლის ვადით;
- ამ კატეგორიის ბინადრობის ნებართვა გაიცემა განცხადების შეტანიდან 5 (ხუთი) დღის ვადაში;

- ამ კატეგორიის მესამე ქვეყნის მოქალაქეებს შეუძლიათ, თან იყოლიონ ოჯახის წევრები, რომელთა სახელზეც გაიცემა ბინადრობის ნებართვა ოჯახის გაერთიანების მიზნით; ასევე, დამხმარე პერსონალი, თუკი მოქალაქე შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირია; ეკონომიკისა და განვითარების სამინისტროს ცენტრალური აპარატი წერილობით ან ელექტრონულად ატყობინებს საინვესტიციო საქმიანობაში ნებისმიერი ცვლილების შესახებ.

მუხლი 17. მესამე ქვეყნის მოქალაქეებზე საბერძნეთში ბინადრობის ნებართვის გაცემა საგანგებო შემთხვევებში

- მესამე ქვეყნის მოქალაქეებს, რომლებიც საბერძნეთში შესასვლელად ფლობენ შესაბამისი კატეგორიის ვიზას, შესაძლებლობა აქვთ, იცხოვრონ და იმუშაონ საბერძნეთში, საბერძნეთსა და მესამე ქვეყანას შორის გაფორმებული ორმხრივი შეთანხმებების საფუძველზე კულტურის, სპორტისა და ეკონომიკის სფეროებში. ეს კატეგორია მოიცავს მესამე ქვეყნის შემდეგ მოქალაქეებს:
  - კომპანიების აღმასრულებელი საბჭოს წევრები, აქციონერები, მენეჯერები, იურიდიული წარმომადგენლები და მთავარი აღმასრულებელი პირები, ასევე, კომპანიების, მათი შვილობილი კომპანიებისა და ფილიალების წარმომადგენლები. ასეთმა პირებმა საბერძნეთის შესაბამის საკონსულო სამსახურში უნდა წარადგინონ მათი კომპანიის წესდების ასლი და კომპეტენტური სამსახურის ცნობა თავიანთ საქმიანობაზე;
  - კომპანიების თანამშრომლები, რომლებიც ქვეყანათაშორისი შეთანხმებისა ან კომპეტენტური ბერძნული უწყებების რეკომენდაციის საფუძველზე, საბერძნეთის საკონსულო სამსახურებში წარადგენენ შესაბამის შეთანხმებას ან კომპეტენტური უწყებების მიმართვას კონკრეტულ კომპანიასთან კონტრაქტის გაფორმების შესახებ;
  - კომპანიების მენეჯერები, ბიზნეს და ტექნიკური აღმასრულებლები, რომლებიც აწარმოებენ საზღვაო კვლევებს ან ნახშირწყალბადის (სასარგებლო წიაღისეულის) მოპოვებით სამუშაოებს; ასევე, ტექნიკური პერსონალი, დასაქმებული მაღაროებში;
  - კომპანიების წარმომადგენლები, რომლებსაც სამუშაო კონტრაქტის ფარგლებში ნაკისირი აქვთ პროექტის შესრულების ვალდებულება. სამსახურის მოთხოვნებიდან გამომდინარე, შესაძლოა საჭირო გახდეს შესაბამისი სერტიფიკატის წარდგენა, რომელიც ადასტურებს კონკრეტულ სექტორში მუშაობის 2-წლიან გამოცდილებას. შესაბამისი კვალიფიკაციის დამადასტურებელი განათლების სერტიფიკატის ან 2-წლიანი მუშაობის გამოცდილებაზე ცნობის წარდგენისგან პირი თავისუფლდება, თუკი კომპანია ასაქმებს საბერძნეთის 50 მოქალაქეს მაინც;
  - მწვრთნელები და სპორტსმენები, რომლებიც შესაბამისი სამუშაო კონტრაქტის საფუძველზე, შეარჩიეს სათანადო ბერძნულმა უწყებებმა;
  - მწერლები, რეჟისორები, მხატვრები, მოქანდაკეები, მსახიობები, მუსიკოსები, მომღერლები, ქორეოგრაფები და სცენარისტები, მას შემდეგ, რაც შესაბამის საკონსულო სამსახურს წარუდგენენ 3 თვეზე ხანგრძლივ კონტრაქტს რომელიმე ბერძნულ კულტურულ ორგანიზაციასა ან უწყებასთან;
  - აღმსარებლები, რომლებიც მისდევენ სასულიერო საქმეს. ამის დასადასტურებლად, სავალდებულოა საკონსულოში ცნობის წარდგენა შესაბამისი რელიგიური დაწესებულებიდან ან განათლებისა და რელიგიური საკითხების სამინისტროდან;
  - მესამე ქვეყნის მოქალაქე პრესკორესპონდენტები, რომლებიც აკრედიტებულნი არიან საბერძნეთის საინფორმაციო და საკომუნიკაციო სამსახურის გენერალური სამდივნოს მიერ (ან გადიან ამ აკრედიტაციას), მას შემდეგ, რაც შესაბამის ცნობას წარადგენენ საბერძნეთის საკონსულო სამსახურში;

- მესამე ქვეყნის არქეოლოგიური სკოლების წარმომადგენლები, რომლებიც სამუშაოებს აწარმოებენ საბერძნეთის კულტურის სამინისტროს მეთვალყურეობის ქვეშ;
- საბერძნეთში მოქმედი უცხო ქვეყნების სკოლების პედაგოგები, რომლებიც საქმიანობას გაწევენ საბერძნეთის განათლებისა და რელიგიური საკითხების სამინისტროს შესაბამისი ნებართვის საფუძველზე.

- მესამე ქვეყნის ზემოაღნიშნული კატეგორიების მოქალაქეებს ენიჭებათ 2-წლიანი ბინადრობის ნებართვა, 3 წლით გაგრძელების შესაძლებლობით, თუკი განმცხადებელი განაგრძობს იმავე სტატუსით მუშაობას. მათ უფლება აქვთ, საბერძნეთში თან იყოლიონ ოჯახის წევრები, რომელთა სახელზეც გაიცემა ბინადრობის ნებართვა ოჯახის გაერთიანების მიზნით;
- მესამე ქვეყნების მოქალაქეების ბინადრობის ნებართვაში მითითებულია: „ბინადრობის ნებართვა განსაკუთრებულ გარემოებათა გამო“ და გრაფაში „შენიშვნები“ დაკონკრეტებულია მფლობელის საქმიანობა;
- საწარმოები, ორგანიზაციები და საჯარო ან კერძო სექტორის იურიდიული პირები, სადაც საქმდებიან მესამე ქვეყნის მოქალაქეები, ვალდებულნი არიან, ნებისმიერი ცვლილება თავიანთ სამუშაოში აცნობონ შინაგან საქმეთა სამინისტროს კომპეტენტურ სამსახურს, ან დეცენტრალიზებული მმართველობის სამსახურს.

მუხლი 19. ბინადრობის ნებართვის მინიჭება ე.წ. „განსაკუთრებულ გარემოებათა გამო“ (ამ დებულებებში 2017 წლის ცირკულარი № 13-ით შესული ცვილებების ჩათვლით)

- 2017 წლის 3 აპრილიდან ბინადრობის ნებართვის „განსაკუთრებულ გარემოებათა გამო“ გაცემის უფლებამოსილება შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური აპარატიდან გადაეცა დეცენტრალიზებული მმართველობის უცხოელთა და საემიგრაციო სამსახურს;
- უფლებამოსილება გადაეცემა იმ მიზნით, რომ ე.წ. „მესამე ქვეყნის“ - მათ შორის, საქართველოს - მოქალაქეები შესაბამისი განცხადების შესატანად არ იყვნენ იძულებულნი, ჩავიდნენ ათენში; ასევე, ბინადრობის მიღებაზე განცხადებები რეგიონების მიხედვით გადანაწილდეს დეცენტრალიზებული მმართველობის სამსახურებზე, რაც დააჩქარებს შეტანილი განცხადებების განხილვას;
- დეცენტრალიზებული მმართველობის შესაბამისი სამსახურები განიხილავენ და გასცემენ ბინადრობის უფლებებს მესამე ქვეყნის (მათ შორის საქართველოს) იმ მოქალაქეებზე, რომლებიც:
  - უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში ფლობდნენ ბინადრობის ერთ ან მეტ ნებართვას;
  - არასოდეს ჰქონიათ ბინადრობის მოწმობა, თუმცა შეუძლიათ საბერძნეთში მრავალწლიანი ბინადრობის დადასტურება და ამ ქვეყანასთან ისეთი მჭიდრო კავშირების დამტკიცება, რომლებიც აუცილებელს ხდის მათ დარჩენას საბერძნეთის რესპუბლიკაში.

- შინაგან საქმეთა და ადმინისტრაციული რეკონსტრუქციის მინისტრს ან დეცენტრალიზებული მმართველობის სამსახურს შეუძლია, გამონაკლისის სახით გასცეს ან განაახლოს ბინადრობის ნებართვა 2-წლიანი ვადით მესამე ქვეყნის (მათ შორის საქართველოს) მოქალაქეებზე, რომლებიც ბინადრობენ საბერძნეთში და ადასტურებენ თავიანთ მჭიდრო კავშირებს ამ ქვეყანასთან. ბინადრობის ნებართვა შესაძლოა განახლდეს, თუ მესამე ქვეყნის მოქალაქე წარადგენს რომელიმეს ქვემოთ მოცემული დოკუმენტებიდან:
  - (ა) ქვეყანაში შემოსვლის ვიზა, გაცემული საბერძნეთის საკონსულო სამსახურის მიერ განცხადების შემოტანამდე, სულ მცირე, 3 წლით ადრე;

- (ბ) ბინადრობის ნებართვა, რომლის ვადაც ამოიწურა ახალი განცხადების შეტანამდე 10 წლის განმავლობაში;
- (გ) დოკუმენტებს, რომლებიც ადასტურებენ განმცხადებლის განსაკუთრებულად მჭიდრო კავშირებს საბერძნეთთან, რაც აუცილებელს ხდის მის დარჩენას საბერძნეთის რესპუბლიკაში.

- გამონაკლისის დაშვების მიზეზად მიიჩნევა მესამე ქვეყნის მოქალაქის მიერ სარწმუნო დოკუმენტის მეშვეობით დადასტურება, რომ ნამდვილად ცხოვრობდა საბერძნეთში უწყვეტად 7 წლის განმავლობაში (ასეთ შემთხვევაში, მას არ მოეთხოვება „ა“ ან „ბ“ პუნქტებით მოთხოვნილი დოკუმენტების წარდგენა);
- თუ პირი ფლობდა საბერძნეთში ბინადრობის ნებართვას შესაბამისი განცხადების წარდგენამდე, სულ მცირე, 5 წლის განმავლობაში უკანასკნელი 10 წლის მანძილზე, არ არის აუცილებელი „გ“ პუნქტში მითითებული საბუთების წარდგენა (იურიდიული პრაქტიკა გვაჩვენებს, რომ აღნიშნულ შემთხვევაში შესაბამისმა სამსახურმა შეიძლება მაინც მოითხოვოს საბერძნეთთან მჭიდრო კავშირების დამდადასტურებელი დოკუმენტის წარდგენა განმცხადებლის მიერ);
- შინაგან საქმეთა და ადმინისტრაციული რეკონსტრუქციის მინისტრი განსაზღვრავს იმ საბუთების ჩამონათვალს, რომლებიც ადასტურებს განმცხადებლის უწყვეტ 7-წლიან ბინადრობას საბერძნეთში;
- ბინადრობის ნებართვაზე განცხადების შეტანისას, შესაბამისი სამსახური შეამოწმებს ჩაბარებული საბუთების შესაბამისობას სავალდებულო მოთხოვნებთან. თუ ეს მოთხოვნები დაცული არ არის, მხოლოდ განცხადების შეტანა არ ნიშნავს, რომ განმცხადებელს ენიჭება საბერძნეთში დარჩენის უფლება მის განცხადებაზე ოფიციალური პასუხის მიღებამდე;
- განმცხადებელის მიერ დოკუმენტაციის დადგენილი წესით წარდგენის შემთხვევაში, ამ კატეგორიის განცხადებების მიღებისას გაიცემა ცნობა „საბუთების ჩაბარების თაობაზე“, რომელიც განმცხადებელს ანიჭებს საბრძნეთში ყოფნის უფლებას მის განცხადებაზე ოფიციალური პასუხის მიღებამდე;
- ასეთ შემთხვევაში, მესამე ქვეყნის მოქალაქის მიერ განცხადების დადგენილი წესით ჩაბარებისათვის საჭიროა:
  - პასპორტის ფლობა - თუნდაც გასული ჰქონდეს მოქმედების ვადა. ბინადრობის ნებართვა იმ შემთხვევაშიც გაიცემა, თუ არსებობს პასპორტის წარდგენის შეუძლებლობის ობიექტური მტკიცებულება;
  - მოსაკრებელი თანხის შეტანა 300 (სამასი) ევროს ოდენობით, ასევე, ჯანმრთელობის დაზღვევა იმ პირებისთვის, რომელთაც წარსულში ჰქონდათ ბინადრობის ნებართვა და სურთ ამ საბუთის აღდგენა.

(საბერძნეთის სახელმწიფო დაზღვევის მისაღებად აუცილებელია, პირს 1 წლის განმავლობაში ლეგალურად ჰქონდეს ნამუშევარი 50 დღე მაინც. სხვა შემთხვევაში, მას ეძლევა შესაძლებლობა, მიმართოს საბერძნეთის სახელმწიფო სოციალური დაზღვევის ფონდს (2017 წლიდან საბერძნეთის ყველა სახელმწიფო სოციალური დაზღვევა გაერთიანდა ΕΦΚΑ-ში) და გადაიხადოს აღნიშნული 50 დღის საფასური 350 ევრო).

- წინამდებარე მუხლით გათვალისწინებული ბინადრობის ნებართვები მესამე ქვეყნის (მათ შორის საქართველოს) მოქალაქეებს აძლევს სამუშაოზე დაქირავების უფლებას. დამოუკიდებელი ეკონომიკური საქმიანობის ნებართვა გაიცემა მხოლოდ მაშინ, თუ დაინტერესებული პირი უკვე ფლობდა ისეთ ბინადრობის ნებართვას, რომელიც აძლევდა ამგვარი საქმიანობის უფლებას და ამ საქმეს იგი კვლავ აგრძელებს;
- წინამდებარე მუხლით გათვალისწინებული ბინადრობის ნებართვები გაიცემა მოქალაქეებზე, რომლებიც ცხოვრობენ ქვეყანაში შესაბამისად დადგენილი მინიმალური დროის განმავლობაში (თუ კანონიერად ანუ საბერძნეთის ვიზით შემოვიდნენ ქვეყანაში - 3 წელი, თუ არალეგალურად - 7 წელი) და აკმაყოფილებენ მოთხოვნას საბერძნეთთან მჭიდრო კავშირების დადასტურების შესახებ;
- საბერძნეთში ბინადრობის ნებართვის მიღებაზე განცხადების შეტანის უფლება აქვთ მესამე ქვეყნის (მათ შორის საქართველოს) იმ მოქალაქეებს, რომლებიც წარსულში

ფლობდნენ ბინადრობის ნებართვას, გაცემულს დეცენტრალიზებული მმართველობის სამსახურის, შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური აპარატის, საბერძნეთის პოლიციის ან თავშესაფრის სამსახურის მიერ, და ვადა გაუვიდა (მაგ.: თანამემულის სპეციალური პირადობის მოწმობა (E.Δ.T.O.), ბინადრობის ნებართვა, საერთაშორისო დაცვის მქონე პირის ბინადრობის ნებართვა);

- განცხადება განიხილება, თუ მოქალაქე, გარდა (ა) პასპორტისა ან იმ დოკუმენტებისა, რომელთა მეშვეობითაც დასტურდება პასპორტის წარმოდგენის შეუძლებლობა, ასევე, (ბ) შესაბამისი მოსაკრებლის (300 ევრო) გადახდის ქვითრისა, წარმოადგენს შემდეგ საბუთებს:
  - ✔ ბინადრობის ნებართვის ასლი, რომელსაც ვადა გაუვიდა და რომელიც მოქმედი იყო შესაბამისი განცხადების წარდგენამდე 10-წლის განმავლობაში; საბუთები, რომლებიც ადასტურებენ განმცხადებლის მჭიდრო კავშირებს საბერძნეთთან;
  - ✔ წარსულში მოქმედი ბინადრობის ნებართვების ქსეროასლები, რომელთა მოქმედების ჯამური ვადა უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში შეადგენს 5 წელს;
  - ✔ პირადი ან საოჯახო სახელმწიფო სოციალური დაზღვევა.

- თუ განმცხადებელი დოკუმენტაციას, სათანადო განცხადებასთან ერთად, სრულად ჩააბარებს, მას ეძლევა ჩაბარების დოკუმენტი - „ლურჯი მოწმობა“, რომელიც მფლობელს ანიჭებს სამშობლოში გამგზავრების, ასევე, საბერძნეთში ლეგალურად დაბრუნებისა და მუშაობის უფლებას.

ბინადრობის ნებართვა საბერძნეთში ხანგრძლივად (სულ მცირე, 7 წელი) მცხოვრები პირებისათვის

- საბერძნეთში პირის ხანგრძლივი (სულ მცირე, 7 წელი) ცხოვრების შემთხვევაში, მასზე შეიძლება გაიცეს ბინადრობის ნებართვა, თუკი უკვე არ ფლობს ასეთ ცნობას, რომლის მოქმედების ვადა განცხადების შეტანამდე 10 წლის განმავლობაში ამოიწურა, მაგრამ აქვს საბუთი, დამადასტურებელი მჭიდრო კავშირებისა საბერძნეთთან;
- შესაბამისი განცხადება განიხილება, თუ დაინტერესებული მოქალაქე, გარდა (ა) პასპორტის ან იმ დოკუმენტებისა, რომელთა მეშვეობითაც დასტურდება პასპორტის წარდგენის შეუძლებლობა და (ბ) შესაბამისი მოსაკრებლის გადახდის ქვითრისა, წარმოადგენს შემდეგ საბუთებს:
  - ✔ საბერძნეთში შემოსვლის ვიზა, გაცემული შესაბამისი საკონსულო სამსახურის მიერ, განცხადების შეტანამდე, სულ მცირე, 3 წლით ადრე, ან სარწმუნო დოკუმენტები, რომლებიც ადასტურებენ: უწყვეტ 7-წლიან ბინადრობას საბერძნეთში; და
  - ✔ განსაკუთრებულ კავშირებს ამ ქვეყანასთან, რის გამოც აუცილებელია მისი დარჩენა საბერძნეთის რესპუბლიკაში.

- სარწმუნო დოკუმენტები, რომლებიც ადასტურებენ უწყვეტ 7-წლიან ბინადრობას საბერძნეთში, შეიძლება იყოს:
  - ✔ საბერძნეთის საგანმანათლებლო დაწესებულებაში განმცხადებლის ან მისი შვილების სწავლის დამადასტურებელი დოკუმენტები;
  - ✔ განცხადება დროებითი ან მუდმივი ბინადრობის ნებართვის, ან საერთაშორისო დაცვის ქვეშ მყოფი პირის სტატუსის მოთხოვნაზე;
  - ✔ განცხადება ბინადრობის ნებართვის მოთხოვნაზე, ანდა ძველი ნებართვის გაგრძელებაზე, და შესაბამისი ორგანოდან მიღებული უარყოფითი პასუხების ასლები;
  - ✔ წინა (წარსულში მოქმედი) დროებითი ბინადრობის ნებართვები;

- საგადასახადო დეკლარაციების ასლები;
- გადასახადის გადამხდელის საიდენტიფიკაციო ნომრის მინიჭების საბუთი; (A.Φ.M)
- საბერძნეთის სახელმწიფო დაზღვევის საბუთი;
- ჯანდაცვის წიგნაკი (აღარ მოქმედებს 2016 წლიდან);
- განმცხადებლის სახელზე გამოწერილი ელექტროენერგიის (ΔΕΗ), ტელეკომუნიკაციის (OTE), წყლისა და დასუფთავების (ΕΥΔΑΠ), ასევე მობილური ტელეფონის გადასახადთა გადახდის ქვითრები;
- საბანკო დაწესებულებებში გახსნილი ანგარიშების ამონაწერი;
- წარმოშობის ქვეყნებში ფულადი გზავნილების დამადასტურებელი საბუთები, გაცემული საკრედიტო ორგანიზაციების ან იმ საშუამავლო ფირმების მიერ, რომელთა ზედამხედველობას, 3862/2010 კანონის თანახმად, ახორციელებს საბერძნეთის ეროვნული ბანკი;
- ბერძნული ენის კურსებზე დასწრების დამადასტურებელი მოწმობები;
- სასამართლო დადგენილებები, მათ შორის, დეპორტაციის ან სამშობლოში დაბრუნების შესახებ, რომლებიც არ აღსრულდა;
- ძველი პასპორტის (ყველა გვერდის) ასლი;
- სამოქალაქო რეესტრის აქტების ჩანაწერები, გამოცემული საბერძნეთში;
- სახელმწიფო სამედიცინო დაწესებულებებში მკურნალობის დამადასტურებელი საბუთები;
- ნოტარიულად დამოწმებული დოკუმენტები, შედგენილი განმცხადებლის თანდასწრებით;
- საპოლიციო განყოფილებაში დაცული ჩანაწერების ამონარიდი დანაშაულებისა და ინციდენტების შესახებ;
- სამსახურებრივი ოფიციალური ჩანაწერები ქვეყნიდან გამგზავრების განკარგულების თაობაზე;
- პირადი ხასიათის დოკუმენტები, კერძო პირთა განცხადებები და მსგავსი საბუთები, რომლებიც არ არის სარწმუნო, ვერ ჩაითვლება საბერძნეთში უწყვეტი ბინადრობის დამადასტურებლ საბუთებად.

საბერძნეთთან მჭიდრო კავშირების დამადასტურებელი დოკუმენტები

ასეთი დოკუმენტები შეიძლება იყოს:

- ბერძნული ენის კურსებზე დასწრების დამადასტურებელი მოწმობა;
- საბერძნეთის პირველი ან მეორე საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში სწავლის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- წინა (წარსულში მოქმედი) ბინადრობის ნებართვა;
- საგადასახადო დეკლარაციების ასლები;
- საბერძნეთის სახელმწიფო დაზღვევის დამადასტურებელი საბუთი;
- საბერძნეთის მოქალაქესა ან „თანამემამულის სპეციალური პირადობის მოწმობის“ მფლობელ პირთან ნათესაური კავშირების დამადასტურებელი საბუთი;
- ქვეყნის საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის დამადასტურებელი საბუთები;
- საბანკო გადარიცხვების დამადასტურებელი დოკუმენტები;
- განმცხადებლის თანდასწრებით შედგენილი ნოტარიულად დამოწმებული დოკუმენტები.

- საბერძნეთთან კავშირების დამადასტურებელ დოკუმენტებად არ ჩაითვლება: გამამტყუნებელი სასამართლო გადაწყვეტილებები; სამედიცინო გამოკვლევების შედეგები; საპოლიციო სამსახურის ოფიციალური შეტყობინება რაიმე დარღვევის შესახებ; ფიზიკური პირების მიერ გაცემული ცნობები ანდა ფიზიკურ პირთა განცხადებები; უცხო ქვეყნების საკონსულო სამსახურების მიერ გაცემული ცნობები, რომლებიც ახასიათებს მოქალაქეს უარყოფითად; და დოკუმენტები, რომელთა ნამდვილობის დადასტურება შეუძლებელია;
- თუ მესამე ქვეყნის მოქალაქე წარმოადგენს თითო-თითო დოკუმენტს მაინც, რომლებიც ადასტურებენ ქვეყანაში მის 7-წლიან ბინადრობას და მჭიდრო კავშირებს საბერძნეთთან, კომპეტენტური ორგანო გასცემს განცხადების ე.წ. „ჩაბარების ცნობას“, რომელიც იცავს დეპორტაციისაგან (იურიდიული პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ 7-წლიანი ბინადრობის დასამტკიცებლად, აუცილებელია დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენა თითოეულ წელზე);
- თუ მესამე ქვეყნის მოქალაქე ვერ წარადგენს ზემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტებიდან რომელიმეს, კომპეტენტური ორგანო გასცემს განცხადების ე.წ. „მიღების ცნობას“. ამ ცნობის მიხედვით, „ბინადრობის მოწმობის ასაღებად განცხადების შეტანა თავისთავად არ გულისხმობს განმცხადებლისათვის ბინადრობის უფლების მინიჭებას წარდგენილი საბუთების შესწავლამდე“. განცხადების მიღებაზე გაცემული ამგვარი ცნობა არ იძლევა მუშაობის უფლებას, არ გახლავთ განცხადებაზე დადებითი გადაწყვეტილების გამოტანის წინაპირობა და არ იცავს დეპორტაციისაგან;
- 2017 წლიდან მესამე ქვეყნის მოქალაქეებმა, ბინადრობის ნებართვის მიღებაზე განცხადებასთან ერთად, უნდა წარადგინონ თავიანთი ბიომეტრიული მონაცემები (ციფრული ფოტო, თითების ანაბეჭდები, ხელმოწერის ნიმუში) და გადაიხადონ მოსაკრებელი 16 ევროს ოდენობით, რათა მიიღონ ბინადრობის ელექტრონული ნებართვა. ასეთ ნებართვას აქვს 2-წლიანი ვადა და მისი მოქმედება აითვლება შესაბამისი განცხადების ჩაბარების თარიღიდან.

ბინადრობის ნებართვა სეზონური სამუშაოსათვის

- თუ განმცხადებელი წარსულში ფლობდა ბინადრობის ნებართვას სეზონური სამუშაოსთვის როგორც მეთევზე ან თევზსაჭერ გემზე დასაქმებული პირი, ამ ნებართვას უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში გაუვიდა ვადა და მას შემდეგ განმცხადებელი ბინადრობს საბერძნეთში, მას შეუძლია განცხადება შეიტანოს, როგორც ქვეყანაში ბინადრობის ნებართვის მქონე პირმა;
- თუ განმცხადებელი წარსულში ქვეყანაში შემოვიდა სეზონური სამუშაოსთვის გაცემული ვიზის საფუძველზე, როგორც მეთევზე ან თევზსაჭერ გემზე დასაქმებული პირი, და მას შემდეგ ცხოვრობს საბერძნეთში, ეს შემოსვლა ჩაითვლება ქვეყანაში კანონიერად შემოსვლის 3-წლიანი პერიოდის დასაწყისად.

საბერძნეთში უცხო ქვეყნის საკონსულო სამსახურის მიერ გაცემული პასპორტი, როგორც საბერძნეთში ბინადრობის დამადასტურებელი დოკუმენტი

- საბერძნეთში უცხო ქვეყნის საკონსულო სამსახურის მიერ გაცემული ან ვადაგაგრძელებული პასპორტი ჩაითვლება სარწმუნო დოკუმენტად, რომელიც ადასტურებს დაინტერესებული პირის საბერძნეთში ბინადრობას. ასეთი სამსახურის მიერ გაცემული ცნობა, რომ პირი მართლაც ცხოვრობდა საბერძნეთში გარკვეული ხნის განმავლობაში, ვერ მიიჩნევა დოკუმენტად, რომელიც ადასტურებს მესამე ქვეყნის მოქალაქის ცხოვრებას ქვეყანაში ან მჭიდრო კავშირებს საბერძნეთთან.

საბერძნეთის საზღვრის მულტივიზებითა და სხვა კანონიერი გზებით გადაკვეთის შემთხვევები

- საბერძნეთში კანონიერად შესვლისას (ვიზით, შენგენის ქვეყნების კანონმდებლობაზე დაყრდნობით, ან შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე), ქვეყანაში 3-წლიანი ბინადრობის დაწყების ვადად განისაზღვრება რიგით პირველი შემოსვლის თარიღი;
- მესამე ქვეყნის მოქალაქეებისათვის, რომლებიც საბერძნეთში სამუშაო ვიზით შემოდიან, ქვეყანაში 3-წლიანი ბინადრობის დაწყების ვადად განისაზღვრება ბოლო შესვლის თარიღი;
- საბერძნეთში 7-წლიანი ბინადრობის დამტკიცებისას, ქვეყანაში ბინადრობის დაწყების ვადა აითვლება იმ თარიღიდან, რომლითაც დასტურდება მისი ყოფნა ქვეყანაში. საბერძნეთში არყოფნის დრო, რომელიც 7 წლის გამავლობაში, ჯამურად, 2 (ორ) წელს არ აღემატება, არ არღვევს ქვეყანაში ყოფნის მოთხოვნილი ვადის ჯამურ ანათვალს. თუ წარმოდგენილი პასპორტით ან სხვა დოკუმენტებით ირკვევა, რომ ეს პირი 7 წლის განმავლობაში სხვადასხვა დროს, ჯამურად, 2 (ორ) წელზე მეტხანს იყო გასული ქვეყნიდან, შესაბამისი მოთხოვნა დარღვეულად მიიჩნევა;
- განცხადების განხილვისას საბერძნეთთან მჭიდრო კავშირების დადასტურებას და ქვეყანაში ბინადრობის ფაქტის უტყუარობას უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭება, ვიდრე ქვეყანაში შემოსვლის ან ქვეყნიდან გასვლის კანონიერებას. შესაძლოა, არ ხერხდებოდეს პირის ქვეყანაში შემოსვლისა და ქვეყნიდან გასვლის ფაქტების (თარიღების) დადგენა მის მიერ წარმოდგენილი პასპორტების მიხედვით. თუმცა დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს განმცხადებლის ქვეყანაში ბინადრობის ფაქტს განცხადების შემოტანამდე 7 წლით ადრე, ან კანონიერად შემოსვლას განცხადების შემოტანამდე 3 წლით ადრე, ჩაითვლება ბინადრობის უფლების გაცემის საფუძვლად.

საბერძნეთთან მჭიდრო კავშირების დადასტურების მოთხოვნა

- ბინადრობის ნებართვა შეიძლება გაიცეს მათზე, ვისაც საბერძნეთთან მჭიდრო კავშირები აქვს, იმის მიუხედავად, როდის ჩამოყალიბდა ისინი;
- არ არის საჭირო საბერძნეთში ბინადრობის თითოეული წლის დამდასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენა, თუ დგინდება, რომ განმცხადებელს 2 წელზე მეტხანს არ დაუტოვებია ქვეყანა (პრაქტიკაში, დოკუმენტების წარდგენისას, ითხოვენ ბინადრობის ყოველი წლის დამადასტურებელ დოკუმენტს).
- ბინადრობის ნებართვის მოთხოვნაზე განცხადების ჩაბარებისას, შესაძლებელი უნდა იყოს საბერძნეთში ყოფნის 7-წლიანი ვადის დამდასტურებელი სარწმუნო დოკუმენტების წარდგენა.

ე.წ. „სპეციალური“ ბინადრობის ნებართვის მფლობელები

- სპეციალური ბინადრობის ნებართვის მფლობელები, რომლებიც სასამართლოს დროებითი დაცვის პირობებში იმყოფებიან, ვერ წარადგენენ განცხადებას ე.წ. „განსაკუთრებულ გარემოებათა გამო“ ბინადრობის ნებართვის ასაღებად, ვინაიდან სპეციალური ბინადრობის ნებართვა დროებითია. ჩვეულებრივი ბინადრობის ნებართვის ასაღებად, პირმა უარი უნდა განაცხადოს მის ხელთ არსებულ სპეციალურ ნებართვაზე.

მესამე ქვეყნის მოქალაქე, რომელიც ითხოვს საერთაშორისო დაცვის ქვეშ მყოფი პირის სტატუსს

- საერთაშორისო დაცვის ქვეშ მყოფი პირის სტატუსის მსურველები არ განეკუთვნებიან „განსაკუთრებულ გარემოებათა გამო“ ბინადრობის ნებართვის მიმღებთა კატეგორიას, ვინაიდან 4251/2014 კანონი არ ვრცელდება საერთაშორისო დაცვის მქონე პირებსა და საერთაშორისო დაცვის მაძიებლებზე, რომელთა სტატუსს განსაზღვრავს 1951 წლის ჟენევის კონვენცია და საბერძნეთის ეროვნული კანონმდებლობა. „განსაკუთრებულ გარემოებათა გამო“ ბინადრობის ნებართვის მისაღებად, ამ პირმა უარი უნდა თქვას საერთაშორისო დაცვის მოპოვების განაცხადზე.

ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის, ან მისი მოქმედების შეჩერების გადაწყვეტილება საზოგადოებრივი წესრიგისათვის შესაძლო რისკების შექმნის მიზეზით

- საზოგადოებრივი წესრიგისათვის შესაძლო რისკების შექმნის მიზეზით (მათ შორის, თუ დაინტერესებულმა პირებმა განაცხადის გაკეთებისას გაყალბებული დოკუმენტები გამოიყენეს) ბინადრობის ნებართვაზე უარის, ან მისი მოქმედების შეჩერების შემთხვევაში, თუ არ იკვეთება სისხლის სამართლებრივი დევნა და რეალური საფრთხეები საზოგადოებრივი წესრიგისათვის, პოლიციის ორგანოების შესაბამისი განმარტების შემდეგ, კომპეტენტური სამსახურები მესამე ქვეყნის მოქალაქის განცხადებას ხელახლა განიხილავენ.

ბინადრობის ნებართვის გაცემის შესაძლებლობა, თუ პირის მიმართ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე, ან იგი წარსულში ნასამართლევია

- მესამე ქვეყნის მოქალაქეზე ბინადრობის ნებართვის გაცემის ერთ-ერთი წინაპირობაა, ეს პირი “არ მიიჩნეოდეს საფრთხედ საზოგადოებრივი წესრიგის, შიდა უსაფრთხოების, ან საერთაშორისო ურთიერთობებისათვის და არ იყოს რეგისტრირებული ეროვნულ მონაცემთა ბაზაში (EKANA), როგორც არასასურველი პირი”. ასეთებად ითვლებიან ის პირებიც, რომელთაც თავისუფლების აღკვეთა მიესაჯათ 1 (ერთი) ან მეტი წლით;

ამ საკითხს ეხება შემდეგი დაზუსტება:

- ✔ პირის მიმართ აღძრული სისხლის სამართლის საქმე ან გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენი, რომელზეც შეტანილია სააპელაციო განაცხადი, ვერ იქნება ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის ან მისი გაუქმების მიზეზი, თუმცა, დანაშაულის სიმძიმის ან სხვა მტკიცებულების გათვალისწინებით, შესაბამისმა სამსახურმა შეიძლება მაინც მიიღოს ამგვარი გადაწყვეტილება;
- ✔ თუ გამამტყუნებელი განაჩენი 1 (ერთ) წელზე მეტი ხნით თავისუფლების აღკვეთის შესახებ შეჩერებულია და გასულია შეჩერების ვადა, ეს გარემოება ვერ იქნება ნებართვის გაცემაზე უარის თქმის ან მისი გაუქმების საფუძველი;
- ✔ განცხადებაზე უარყოფითი დასკვნა ან ბინადრობის ნებართვის გაუქმების გადაწყვეტილება დამოკიდებული იქნება განმცხადებლის მიერ ჩადენილი დანაშაულების სიმძიმეზე, სიხშირეზე, დაკისრებული ჯარიმის ოდენობაზე და ა.შ. კერძოდ, შეფასდება, ქმნის თუ არა ეს ქმედებები რისკებს საზოგადოებრივი

წესრიგისა და უსაფრთხოებისათვის;

- ✔ არასასურველ უცხოელთა ეროვნულ ნუსხაში (EKANA) შეტანა ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის ან მისი გაუქმების საფუძველია.

- ბინადრობის ნებართვის გაცემის შემთხვევაში, არასასურველი პირების ნუსხიდან ვერ ამოიღებენ მესამე ქვეყნის იმ მოქალაქეებს, რომლებიც ამ სიაში შეიტანეს საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების დარღვევის გამო, თუმცა შესაძლებელია იმ პირების ამორიცხვა, რომლებიც ნუსხაში აღმოჩნდნენ საბერძნეთში არაკანონიერი ბინადრობის მიზეზით;
- თუ განცხადებელი შეძლებს საბერძნეთთან მჭიდრო კავშირების დამტკიცებას, მისი ყოფნა არასასურველ უცხოელთა ნუსხაში ქვეყანაში არალეგალურად შემოსვლისა ან ცხოვრების გამო, არ შეუშლის ხელს ბინადრობის ნებართვის მიღებაში.

საბერძნეთში ლეგალურად ბინადრობის შესაძლებლობა მესამე ქვეყნის მოქალაქეებისათვის, რომლებიც დასაქმებულნი არიან ოჯახებში დამხმარე პერსონალად ან ხანდაზმულთა და არასრულწლოვანთა მომვლელებად

- მესამე ქვეყნის მოქალაქეებს, რომელთა უმრავლესობაც წარმოშობით კონკრეტული ქვეყნიდანაა (საქართველო, ფილიპინები და სხვა), როგორც ოჯახში მცხოვრებ შიდა დამხმარე პერსონალს, ამ სამუშაოს თავისებურებიდან გამომდინარე, უჭირთ საბერძნეთთან არსებული კავშირების დამადასტურებელი საბუთების წარმოდგენა;
- ასეთ შემთხვევებში გასათვალისწინებელია 4251/2014 კანონის პრეამბულა: „ეს რეგულაცია მიზნად ისახავს, აარიდოს ქვეყანაში კანონიერად ბინადრობის მოსაპოვებლად დროის კარგვა მესამე ქვეყნის მოქალაქეებს, რომლებსაც ქვეყანაში ცხოვრებისა და სამუშაო ბაზარზე წვდომის მრავალწლიანი გამოცდილება აქვთ. შესაბამისად, მისი ამოცანაა დასაქმების არაფორმალურ სახეებთან ბრძოლა“;
- ზემოაღნიშნულის გამო, ემიგრანტების ფულად გზავნილებს წარმოშობის ქვეყნებში ევროკავშირი მიიჩნევს მიგრანტთა არალეგალური შემოდინების აღკვეთის ერთ-ერთ გზად. ფულადი გზავნილები წარმოშობის ქვეყანაში შეიძლება განხილული იქნას დოკუმენტებად, რომლებიც ადასტურებს საბერძნეთთან კავშირებს. გზავნილების დამადასტურებელი ქვითრები ხშირად ერთადერთი საბუთია ზემოხსენებულ მოქალაქეთა საბერძნეთში ბინადრობის დასადასტურებლად. საბერძნეთში მესამე ქვეყნის იმ მოქალაქეთა ბინადრობის ლეგალიზაციისათვის, რომლებმაც დაკარგეს ბინადრობის უფლება, უკანონოდ შემოვიდნენ საბერძნეთში, ან არალეგალურად ცხოვრობენ და მუშაობენ ქვეყანაში, მიზანშეწონილია ბინადრობის მოწმობების გაცემა, თუკი დასტურდება ამ ფულადი გზავნილების რეგულარულობა;
- ლეგალური ბინადრობა საჭიროა ისეთ ძირითად სოციალურ სერვისებზე ხელმისაწვდომობისათვის, როგორიცაა განათლება და ჯანდაცვა - აუცილებელი პირობები თითოეული ადამიანის პიროვნული განვითარების, ასევე, ადგილობრივ სოციალურ ცხოვრებაში მონაწილეობის, ლეგალურად დასაქმებისა და წარმოშობის ქვეყნის კანონიერად მონახულებისათვის. ეს ხელს უწყობს იმ კრიმინალურ ჯგუფებთან ბრძოლასაც, რომლებიც უკანონო გზით, მათ შორის, ყალბი დოკუმენტებით ცდილობენ ემიგრანტთა დახმარებას;
- განსაკუთრებით საყურადღებოა ფულადი გზავნილების ქვითრების დეტალური შემოწმება, რათა არ გაყალბდეს წარმოშობის ქვეყანაში ფულის გაგზავნის დამადასტურებელი დოკუმენტები;
- საბერძნეთის ბანკის № 25/31/03/2016 დოკუმენტში მოცემულია იმ საბანკო დაწესებულებათა ჩამონათვალი, რომელთაც ფულად გზავნილებთან დაკავშირებული მომსახურების უფლება აქვთ.

ბინადრობის ნებართვა „განსაკუთრებულ გარემოებათა გამო“ მესამე ქვეყნის მოქალაქეებისათვის, რომლებიც დაკავებულნი არიან სამართალდამცველთა მიერ

- ბინადრობის ნებართვის განცხადებისა და შესაბამისი დოკუმენტაციის წარდგენა, ასევე, განცხადებაზე უარყოფითი პასუხის ან სხვა შესაბამისი დოკუმენტების მიღება, შეუძლია განმცხადებელს ან მისი ნდობით აღჭურვილ წარმომადგენელს, ადვოკატს, მეუღლეს, აღმავალი ხაზის ნათესავსა და დაღმავალი ხაზის სრულწლოვან ნათესავს/შთამომავალს. მინდობილობა დამოწმებული უნდა იყოს ნებისმიერი საჯარო სამსახურის მიერ, მიმნდობი პირის ხელმოწერის ნამდვილობის დადასტურებით;
- საჯარო სამსახურები, საჯარო სამართლის იურიდიული პირები, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები, კომუნალური მომსახურებისა და სოციალური უსაფრთხოების ორგანიზაციები ვალდებულნი არიან, არ მოემსახურონ მესამე ქვეყნის იმ მოქალაქეებს, რომელთაც არ აქვთ პასპორტი ან საერთაშორისოდ აღიარებული სხვა სამოგზაურო დოკუმენტი, ვიზა ან ბინადრობის ნებართვა, ანუ, ზოგადად, ვერ ადასტურებენ კანონიერად შესვლასა და ცხოვრებას საბერძნეთში;
- სანოტარო აქტების შედგენისას, მესამე ქვეყნის მოქალაქეები პირადად უნდა წარდგნენ ნოტარიუსთან. ნოტარიუსები ვალდებულნი არიან, დარწმუნდნენ, რომ მესამე ქვეყნის მოქალაქეებს აქვთ ვიზა ან ბინადრობის ნებართვა. გამონაკლისია მინდობილობის მინიჭება დაკავებულ უცხოელთა ადვოკატებისთვის, რათა შესაძლებელი გახდეს ამ პირთა წარდგენა სასამართლოს წინაშე;
- ასევე გამონაკლისია: მინდობილობები ადვოკატებისათვის, რომლებმაც უნდა წარმოადგინონ მესამე ქვეყნის მოქალაქეები სასამართლო და სახელისუფლებო ორგანოების წინაშე; და სანოტარო აქტები ქორწინების გარეშე გაჩენილი შვილის აღიარებასთან დაკავშირებით, რომელსაც ჯერ არ შესრულებია 3 წელი - იმ შემთხვევაში, თუ ერთ-ერთი მშობელი ბერძენია ან ევროკავშირის სხვა წევრი ქვეყნის მოქალაქე, ანდა მესამე ქვეყნის მოქალაქე, რომელიც ლეგალურად ცხოვრობს საბერძნეთში;
- მესამე ქვეყნის მოქალაქის მიერ „განსაკუთრებულ გარემოებათა გამო“ ბინადრობის ნებართვაზე განაცხადის შეტანა ნდობით აღჭურვილი ადვოკატის მეშვეობით შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი ამ მოქალაქეს წარმოადგენს ნოტარიული მინდობილობის საფუძველზე.

„განსაკუთრებულ გარემოებათა გამო“ ბინადრობის ნებართვის მისაღებად საემიგრაციო კომისიისათვის მიმართვის შესაძლებლობა

- ამგვარი ბინადრობის ნებართვის გაცემის შემთხვევაში, მესამე ქვეყნის მოქალაქეს შეუძლია მიმართოს საიმიგრაციო კომისიას (დეცენტრალიზებული მმართველობის სამსახურის ფარგლებში), თუკი არსებობს:
  - ✔ მესამე ქვეყნის მოქალაქის ეკონომიკური, პირადი ან ოჯახური ცხოვრებისაგან ჩამოშორების საფრთხე;
  - ✔ განსაკუთრებული გარემოებები, რომ დაინტერესებულ პირს ან მის მეუღლეს/პარტნიორსა და შვილებს შეექმნათ საფრთხე მათი წარმოშობის ქვეყანაში;
  - ✔ არ დასტურდება მესამე ქვეყნის მოქალაქის მჭიდრო კავშირები წარმოშობის ქვეყანასთან (პირი დაიბადა ან ადრეული ასაკიდან ცხოვრობდა საბერძნეთში).

ზემოთ ჩამოთვლილი კატეგორიის შემთხვევათა განხილვისას, კომიტეტი გაითვალისწინებს ამ პირსა და მისი ოჯახის წევრებთან დაკავშირებულ განსაკუთრებულ გარემოებებს (სამუშაო, განათლება, ჯანმრთელობის მდგომარეობა, პირისა და მისი ოჯახის წევრების საბერძნეთში ცხოვრების ხანგრძლივობა და სხვა), ამასთანავე, ბერძნულ საზოგადოებაში ინტეგრირებისა და ქვეყნის სოციალურ ცხოვრებაში ჩართულობის ხარისხს.

მესამე ქვეყნის მოქალაქეებს, რომლებსაც შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალურ აპარატში აქვთ შეტანილი განცხადება ბინადრობის ნებართვის ასაღებად, შეუძლიათ ითხოვონ, ის არ განიხილოს სამინისტრომ და ხელმეორედ შემოიტანონ განაცხადი დეცენტრალიზებული მმართველობის სამსახურში, საცხოვრებელი უბნის მიხედვით. ამის გარდა, შესაძლებელია გაკეთდეს მოთხოვნა მოქალაქის განცხადების გადატანაზე შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური აპარატიდან დეცენტრალიზებული მმართველობის სამსახურში. ახალი განცხადების შესატანად არ არის სავალდებულო 300 ევროს ოდენობის მოსაკრებლის ხელახლა გადახდა. ასეთ შემთხვევაში გადასახადი 16 ევროა. ასევე სავალდებულოა ბიომეტრიული მონაცემების ჩაბარება განმცხადებლის მიერ;

- იმისათვის, რომ ბინადრობის ნებართვის მიღებაზე ხელახალი განცხადება ადვოკატმა ან ნდობით აღჭურვილმა პირმა შეიტანოს, არ არის სავალდებულო ახალი ნოტარიული მინდობილობის წარდგენა - ძალაში რჩება უკვე არსებული მინდობილობა;
- განსაკუთრებულ შემთხვევებში, როდესაც მესამე ქვეყნის მოქალაქეები საკუთარი სიცოცხლის ფასად ეწევიან ჰუმანიტარულ ან მსგავსი ტიპის საქმიანობას საბერძნეთში, შესაძლოა მათი საკითხი განხილული იქნას ბინადრობის მინიჭების პერსპექტივით;
- ამ კატეგორიის ბინადრობის ნებართვის განახლებისათვის, საჭიროა განცხადების შეტანა სხვა კატეგორიის, კერძოდ, „სხვადასხვა სამუშაოს“ შემსრულებელი პირის ბინადრობის ნებართვაზე.

მუხლი 20. ბინადრობის ნებართვის მიღების სხვა სპეციფიკური მიზეზები

ბინადრობის ნებართვა ფინანსურად უზრუნველყოფილი პირებისათვის

დეცენტრალიზებული მმართველობის სამსახურის გადაწყვეტილებით, მესამე ქვეყნის მოქალაქეს ეძლევა ქვეყანაში ბინადრობის ნებართვა, თუ ის მატერიალურად უზრუნველყოფილია და შესაძლებლობა აქვს, თავისი წლიური შემოსავლით დაფაროს საკუთარი საცხოვრებელი ხარჯები. ამგვარი ბინადრობის ნებართვა 2-წლიანია და შეიძლება კიდევ 3 წლით განახლდეს. ის იძლევა საბერძნეთში ლეგალურად მუშაობის უფლებასაც. ასეთ შემთხვევაში, შემოსავლების საკმარისი რაოდენობა განისაზღვრება საბერძნეთის შინაგან საქმეთა მინისტრის შესაბამისი გადაწყვეტილებით.

მესამე ქვეყნის ამ მოქალაქეს ეძლევა უფლება, საბერძნეთში თან იყოლიოს საკუთარი ოჯახის წევრები, რომლებზეც, შესაბამისი განაცხადის გაკეთების შემდეგ, გაიცემა ბინადრობის ნებართვები. ასეთი ნებართვები ძალაშია აღნიშნული პირის ბინადრობის ნებართვის ვადის ამოწურვამდე. ამასთან, მისი შემოსავლები უნდა შეესაბამებოდეს ოჯახის წევრთა რაოდენობას.

ბინადრობის ნებართვა საბერძნეთში უძრავი ქონების მფლობელთათვის

- დეცენტრალიზებული მმართველობის სამსახურის გადაწყვეტილებით, მესამე ქვეყნის მოქალაქეს ეძლევა ქვეყანაში 5-წლიანი ბინადრობის ნებართვა, თუკი:
  - ✔ საბერძნეთში შემოსულია ლეგალურად, ანუ ვიზით, და ქვეყანაში მის პირად საკუთრებაშია უძრავი ქონება; ასევე, თვითონ ან მისი მეუღლე 250,000 ევროს ღირებულების ქონების თანამესაკუთრეა;
  - ✔ მის სრულ საკუთრებაშია საბერძნეთში არსებული უძრავი ქონება და ეს მტკიცდება დოკუმენტურად - მაგალითად, სასტუმრო კომპლექსი, ან მსგავსი ტიპის ტურისტული დაწესებულება გაცემული აქვს სულ მცირე, 10-წლიანი იჯარის ხელშეკრულებით. უძრავი ქონების, ისევე, როგორც ტურისტული თუ სასტუმრო კომპლექსების იჯარის ღირებულება არ უნდა იყოს 250,000 ევროზე ნაკლები, და ამ თანხის ერთიანად გადახდა უნდა დასტურდებოდეს სპეციალური საბანკო ქვითრით.

- მესამე ქვეყნის მოქალაქეებს, რომლებიც საბერძნეთში ფლობენ უძრავ ქონებას, აქვთ მათი გაქირავების უფლება; ასევე, შეუძლიათ თან იყოლიონ საკუთარი ოჯახის წევრები, რომლებზეც, შესაბამისი განცხადების გაკეთების შემდეგ, გაიცემა ბინადრობის ნებართვები. ასეთი ნებართვა ძალაშია ამ პირის ბინადრობის ნებართვის ვადის ამოწურვამდე. ოჯახის წევრებად ითვლებიან: მეუღლე და პირდაპირი შთამომავალი (21 წლამდე). ამ კატეგორიის მესამე ქვეყნის მოქალაქეებს ავტომატურად არ ენიჭებათ საბერძნეთში მუშაობის უფლება და მათი საბერძნეთში ცხოვრების პერიოდი არ მიიჩნევა მუდმივი ბინადრობის ნებართვისა და მოქალაქეობის მინიჭების წინაპირობად;
- მესამე ქვეყნის ამ კატეგორიის მოქალაქის ბინადრობის ნებართვა შეიძლება განახლდეს, თუ მის კანონიერ მფლობელობაში რჩება უძრავი ქონება, ან კვლავ ძალაშია ზემოაღნიშნული იჯარა. ბინადრობის ნებართვის განახლებაზე გავლენას არ ახდენს ქვეყნის ტერიტორიის დროებით დატოვება;
- ბინადრობის ნებართვის მოქმედების პერიოდში, უძრავი ქონების მიყიდვა მესამე ქვეყნის სხვა მოქალაქისთვის ახალ მესაკუთრეს ავტომატურად არ აძლევს ბინადრობის ნებართვის აღების უფლებას, თუმცა უფლებას ანიჭებს, მიიღოს ასეთი ნებართვა გამყიდველის ბინადრობის უფლების შეწყვეტის პარალელურად;
- შესაბამისი ბინადრობის ნებართვა გაიცემა უძრავ ქონებაზე უფლებამოსილების დამადასტურებელი ყველა დოკუმენტაციის კომპეტენტურ ორგანოში შეტანიდან 2 თვის ვადაში.

ბინადრობის ნებართვა ათონის მთაზე განათლების მიღების მსურველთათვის

- დეცენტრალიზებული მმართველობის სამსახურის გადაწყვეტილებით, ბინადრობის ნებართვა გაიცემა ათონის მთაზე განათლების მიღებით ან სამონასტრო ცხოვრებით დაინტერესებულ პირებზე, თუკი მსურველი გააკეთებს განაცხადს მთაზე მოქმედი ოცი მონასტრიდან ერთ-ერთის სახელზე და მიიღებს ამ მონასტრის მმართველობითი ორგანოს წერილობით თანხმობას. ასეთ შემთხვევაში, მესამე ქვეყნის მოქალაქემ უნდა წარადგინოს:
  - მასპინძელი მონასტრის დასტური, რომ დაინტერესებულ პირს უზრუნველყოფს საცხოვრებლით, საკვებითა და სხვა ხარჯებით, ისევე, როგორც სტაციონარული მკურნალობითა და სამედიცინო მომსახურებით;
  - მასპინძელი მონასტრის სამონასტრო საძმოს მიმართვა.
- ამ შემთხვევაში, ბინადრობის ნებართვა ძალაშია 1 წლის განმავლობაში. შესაძლებელია მისი ყოველწლიურად განახლება, მაგრამ, ჯამურად, საბერძნეთში ბინადრობის პერიოდი არ უნდა აღემატებოდეს 5 წელიწადს. ბინადრობის ნებართვის განცხადებას უნდა ახლდეს შესაბამისი დაზღვევის დამადასტურებელი საბუთი.

მუხლი 21. საბერძნეთში ლეგალურად მცხოვრები მესამე ქვეყნის მოქალაქეების ზოგადი უფლებები

- მესამე ქვეყნის მოქალაქეებს, რომლებიც ლეგალურად ცხოვრობენ საბერძნეთში, აქვთ მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე გადაადგილების უფლება, რაც განსაკუთრებულ შემთხვევებში შეიძლება შეიზღუდოს პრეზიდენტის ბრძანებულებით, საბერძნეთის ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე;
- მესამე ქვეყნის მოქალაქეები, რომლებიც ლეგალურად ცხოვრობენ საბერძნეთში, დაზღვეულნი არიან იმავე წესით, რომლითაც საბერძნეთის მოქალაქეები. შესაბამისად, მათზე ვრცელდება სოციალური დაზღვევის ისეთივე პირობები, როგორიც საბერძნეთის მოქალაქეებზე;
- მესამე ქვეყნის მოქალაქეს, დაკავების შემთხვევაში, მისთვის გასაგებ ენაზე უნდა

მიეწოდოს ინფორმაცია საკუთარი უფლებების შესახებ. მას შეუძლია მოითხოვოს თავისი ქვეყნის დიპლომატიურ წარმომადგენლებსა (საელჩო და მისი საკონსულო სამსახური) და პირად ადვოკატებთან დაკავშირება;

- საბერძნეთში ბინადრობის ნებართვა ძალაში რჩება მესამე ქვეყნის მოქალაქის მიერ საბერძნეთის მოკლე ვადით (6 თვემდე) ან უფრო მეტი ხნით დატოვების შემთხვევაშიც, თუკი ეს მოქალაქე ვალდებულია, საკუთარ ქვეყანაში მოიხადოს სავალდებულო სამხედრო სამსახური (12 თვე), ასევე, ორსულობის, მშობიარობისა და მძიმე ავადმყოფობის დროს, ანდა სხვა ქვეყანაში - იქნება ეს მესამე ქვეყანა თუ ევროკავშირის წევრი სახელმწიფო - სწავლისა თუ პროფესიული კვალიფიკაციის ასამაღლებლად გამგზავრებისას;
- მესამე ქვეყნის არასრულწლოვანი მოქალაქეები, რომლებიც ცხოვრობენ საბერძნეთის ტერიტორიაზე, საბერძნეთის მოქალაქეების მსგავსად, ვალდებულნი არიან, მიიღონ დაწყებითი განათლება. მათ აქვთ წვდომა განათლების ნებისმიერ საფეხურზე;
- მესამე ქვეყნის არასრულწლოვანი მოქალაქეების საბერძნეთის საჯარო სკოლებში რეგისტრაციისთვის საჭიროა იგივე საბუთები, რაც საბერძნეთის მოქალაქე მოსწავლეების შემთხვევაში. გამონაკლისის სახით, მესამე ქვეყნის მოქალაქეები საჭირო დოკუმენტების არასრულად წარდგენის შემთხვევაშიც დაიშვებიან სკოლაში, თუკი:
  - მათ იცავს საბერძნეთის სახელმწიფო, როგორც საერთაშორისო დაცვის ქვეშ მყოფ პირებს, ან შეტანილი აქვთ განაცხადი საერთაშორისო დაცვის მიღებაზე და ელოდებიან პასუხს;
  - საბერძნეთში ჩამოვიდნენ ე.წ. ცხელი რეგიონიდან (სამხედრო მოქმედებების კერებიდან ან სხვა ტერიტორიებიდან, სადაც არ არის დაცული უსაფრთხოება);
  - არიან მესამე ქვეყნის მოქალაქეები, რომლებიც ცხოვრობენ საბერძნეთში, მაგრამ ჯერ არ მიუღიათ პასუხი ლეგალურად ბინადრობის ნებართვის ასაღებად შეტანილ განცხადებაზე.

- მესამე ქვეყნის არასრულწლოვან მოქალაქეებს შეუძლიათ საბერძნეთის საჯარო სკოლაში სწავლის დაწყება, თუკი მათი სასკოლო დოკუმენტაცია იქნება ქვეყნის განათლებისა და რელიგიური საკითხების სამინისტროს მიერ დადგენილი წესით აღიარებული და საბერძნეთის საჯარო სკოლების მოთხოვნათა შესაბამისი. მესამე ქვეყნის არასრულწლოვან მოსწავლეს ნებაყოფლობით შეუძლია აირჩიოს მშობლიური ენის შესწავლა საბერძნეთის საჯარო სკოლაში, თუ იქ მის მშობლიურ ენაზე მოსაუბრე საკმარისი რაოდენობის მოსწავლეები არიან. ასევე უნდა შეირჩეს კვალიფიციური პედაგოგები, რომლებიც მესამე ქვეყნის არასრულწლოვან მოქალაქეებს მშობლიურ ენასა და ლიტერატურას შეასწავლიან;
- მესამე ქვეყნის მოქალაქეებს, რომლებმაც საშუალო განათლება საბერძნეთის სკოლებში მიიღეს, უფლება აქვთ, საბერძნეთის მოქალაქეთა მსგავსად, ამ ქვეყანაში დაეუფლონ უმაღლეს განათლებას.

მუხლი 22. საბერძნეთში ლეგალურად მცხოვრები მესამე ქვეყნის მოქალაქეების მოვალეობები

- მესამე ქვეყნის მოქალაქე საბერძნეთში ცხოვრების პერიოდში ვალდებულია, დეცენტრალიზებული მმართველობის სამსახურში ან ქვეყნის შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალურ აპარატში განაცხადოს ისეთ საკითხებზე, როგორიცაა:
  - საცხოვრებელი მისამართის ნებისმიერი ცვლილება;
  - ცვლილება პასპორტისა თუ პირადი მონაცემების ან ოჯახური მდგომარეობის კუთხით, ასევე, მოქალაქეობის შესაძლო შეცვლა;
  - პასპორტის, სამგზავრო დოკუმენტის, ბინადრობის ან მუდმივი ცხოვრების ნებართვის დაკარგვა, ანდა მონაცემთა შეცვლა.

- ბინადრობის ნებართვის მფლობელმა, თუკი არ აქვს შეტანილი განცხადება მის განახლებაზე და არ მიუღია შესაბამისი ჩაბარების ცნობა, კომპეტენტური ორგანოსათვის ყოველგვარი შეტყობინების გარეშე უნდა დატოვოს ქვეყანა ამ ნებართვის ვადის ამოწურვამდე;
- საჯარო დოკუმენტაცია, გაცემული საზღვარგარეთის უწყებათა მიერ, პირველ რიგში, ლეგალიზებული უნდა იყოს ჰააგის კონვენციის შესაბამისად, ანდა ჰქონდეს საბერძნეთის საკონსულოს ან საგარეო საქმეთა სამინისტროს ბეჭედი: „ასლი დედანთან სწორია“;
- (2015 წლის 15 დეკემბერს საბერძნეთმა საქართველოს მიმართ აამოქმედა ე.წ. „აპოსტილის კონვენცია“ საქართველოს მიერ გაცემული დოკუმენტების აღიარების შესახებ. შედეგად, 2016 წლის დასაწყისიდან, საბერძნეთში მყოფმა საქართველოს მოქალაქეებმა რეალურად იგრძნეს ბიუროკრატიული და ფინანსური შვება დოკუმენტების ლეგალიზაციასთან დაკავშირებით. მათ აღარ უწევთ საქართველოდან გამოთხოვილი დოკუმენტების ჯერ საქართველოში არსებულ საბერძნეთის საკონსულოში გადამოწმება, შემდეგ კი მათი თარგმნა და შესაბამის მოსაკრებელთა გადახდა);
- ამ პირებმა ზემოთ ჩამოთვლილ ცვლილებებზე განცხადება უნდა შეიტანონ ცვლილებიდან არაუგვიანეს 2 თვის განმავლობაში. მესამე ქვეყნის მოქალაქეები, რომლებიც დაარღვევენ ამ ვადას, ვალდებულნი იქნებიან, გადაიხადონ ჯარიმა 50 (ორმოცდაათი) ევროს, ხოლო დარღვევის განმეორებისას - 100 (ასი) ევროს ოდენობით;
- მესამე ქვეყნის მოქალაქე, რომელიც გადააცილებს ქვეყანაში ლეგალურად ყოფნის ვადას 30 (ოცდაათ) დღემდე, ვალდებულია, ქვეყნიდან გამგზავრებისას გადაიხადოს ერთწლიანი ბინადრობის ნებართვის ღირებულების ოთხმაგი ოდენობის თანხა (600 ევრო). თუ არალეგალურად ყოფნის პერიოდი გადააჭარბებს 30 დღეს, მას ეკისრება ჯარიმა ერთწლიანი ბინადრობის ნებართვის ღირებულების რვამაგი ოდენობით (1200 ევრო);
- ჯარიმის გადახდისგან თავისუფლდებიან: არასრულწლოვნები; ბერძნული წარმოშობის პირები; ისინი, ვისაც აქვს წარმოშობით ბერძენის, ევროკავშირის მოქალაქის მეუღლისა ან მშობლის სტატუსი; ქვეყანაში ნებაყოფლობით დაბრუნების პროცესში მყოფი მოქალაქეები; პირები, რომლებიც საბერძნეთის ტერიტორიას ბინადრობის ნებართვის ვადის გასვლიდან 50 დღის ფარგლებში ტოვებენ საგანგებო ვითარების გამო, როგორიცაა, მაგალითად, ჯანმრთელობის მძიმე მდგომარეობა.

მუხლი 32. ზოგადი დებულებები ბინადრობის ნებართვის მისაღებად მესამე ქვეყნის მოქალაქეების საბერძნეთში სწავლის, მოხალისედ მუშაობისა და სხვა მიზნებისთვის

- ქვემოთ მოყვანილი წესები არ ვრცელდება მესამე ქვეყნის მოქალაქეებზე:
  - ✔ რომლებიც ცხოვრობენ საბერძნეთში საერთაშორისო დაცვის მოთხოვნით, ან არიან შესაბამისი სტატუსის მიღების პროცესში;
  - ✔ რომელთა ექსტრადიცია ან სამშობლოში დაბრუნება გადაიდო;
  - ✔ არიან ევროკავშირის მოქალაქეთა ოჯახის წევრები და სარგებლობენ მის ტერიტორიაზე თავისუფალი გადაადგილების უფლებით;
  - ✔ მიღებული აქვთ ხანგრძლივი ბინადრობის უფლება ევროკავშირის წევრ სახელმწიფოში და ითხოვენ საბერძნეთში ბინადრობის ნებართვას;
  - ✔ ფლობენ საბერძნეთში ბინადრობის ნებართვას მუშაობის ან ეკონომიკური საქმიანობის მიზნით.

- ზემოაღნიშნული რეგულირდება შემდეგი კანონმდებლობით:
  - ✔ ორმხრივი ან მრავალმხრივი შეთანხმებები ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს ან ევროკავშირის წევრ სახელმწიფოსა და მესამე ქვეყანას შორის;

- ორმხრივი ან მრავალმხრივი შეთანხმებები საბერძნეთის რესპუბლიკას, ევროკავშირის წევრ სხვა სახელმწიფოსა და მესამე ქვეყანას შორის.

- მესამე ქვეყნის მოქალაქეებს ეძლევათ ქვეყანაში შესვლისა და ბინადრობის ნებართვა საბერძნეთში სწავლის ან მოხალისედ მუშაობის მიზნით, თუკი:
  - ფლობენ პასპორტს ან საბერძნეთის მიერ აღიარებულ სხვა სამგზავრო დოკუმენტს, რომელიც ძალაშია ვიზის ვადის გასვლიდან, სულ მცირე, 3 თვის განმავლობაში; ასევე, აქვთ საბერძნეთის შესაბამისი კატეგორიის ვიზა ქვეყანაში სწავლისა თუ მოხალისედ მუშაობისათვის;
  - წარადგენენ მშობლის ან მეურვის თანხმობას, როცა მოქალაქე არასრულწლოვანია;
  - აქვთ ჯანმრთელობის სრული დაზღვევა, როგორც განსაზღვრულია საბერძნეთის მოქალაქეებისთვის;
  - არ ქმნიან რისკებს ეროვნული უსაფრთხოებისა და ჯანდაცვისათვის;
  - გადახდილი აქვთ შესაბამისი მოსაკრებელი.

- ამ სახის ბინადრობის ნებართვა შეიძლება მიეცეთ მესამე ქვეყნის მოქალაქეებს, რომლებიც მონაწილეობენ ევროპულ სასწავლო პროგრამებში და საბერძნეთის ტერიტორიაზე შესვლა და ბინადრობა სურთ აღნიშნული პროგრამების ფარგლებში.

მუხლი 33. ბინადრობის ნებართვის მიღება განათლების მიზნით

- მესამე ქვეყნის მოქალაქე, რომელსაც საბერძნეთში სწავლისათვის აქვს შესაბამისი ვიზა, ბინადრობის ნებართვის მისაღებად:
  - დარეგისტრირებული უნდა იყოს სტუდენტად საბერძნეთის რომელიმე უმაღლეს სასწავლებელში (ბერძნული ენისა და ბერძნული კულტურის სასწავლო კურსების ჩათვლით);
  - ჰქონდეს საკმარისი თანხა საყოფაცხოვრებო ხარჯების დასაფარავად საბერძნეთში ცხოვრების პერიოდში;
  - გადახდილი ჰქონდეს სტუდენტად რეგისტრაციის შესაბამისი მოსაკრებელი.

- თუ საგანმანათლებლო პროგრამა მოითხოვს ბერძნული ენის ცოდნას, ენის კურსების გავლის შემდეგ მესამე ქვეყნის მოქალაქე მიიღებს შესაბამის ცნობას, რომელიც უნდა წარადგინოს საბერძნეთის საკონსულო სამსახურში.

მუხლი 34. განათლების მიზნით მიღებული ბინადრობის ნებართვის ხანგრძლივობა და მისი განახლების პროცედურა

- განათლების მიღების მიზნით გაცემული ბინადრობის ნებართვის ხანგრძლივობა 1 წელია და მისი განახლება შესაძლებელია ამავე ვადით. თუ საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობა წელიწადზე ნაკლებია, მაშინ ბინადრობის ნებართვის ვადაც ანალოგიურად განისაზღვრება;

- მესამე ქვეყნის მოქალაქეს საშუალება ეძლევა, განცხადება განათლების მიზნით ბინადრობის ნებართვის მიღებაზე შეიტანოს სასწავლო პროგრამის ხანგრძლივობის შესაბამისად. ამის დასადასტურებლად, განცხადებასთან ერთად, სტუდენტმა უნდა წარადგინოს ცნობა სასწავლებლიდან პროგრამის ხანგრძლივობის შესახებ;

- ბინადრობის ზემოხსენებული ნებართვის მისაღებად, განმცხადებელი იხდის

მოსაკრებელს 150 (ასორმოცდაათი) ევროს ოდენობით. ეს თანხა უნდა დაიფაროს თითოეულ აკადემიურ წელს;

- სტუდენტი, რომელიც ფლობს სწავლის პროგრამის ხანგრძლივობის მიხედვით გაცემულ ბინადრობის ნებართვას, ვალდებულია, ყოველ 2 წელიწადში ერთხელ თავისი საცხოვრებელი უბნის შესაბამის დეცენტრალიზებული მმართველობის სამსახურში წარადგინოს ყოველწლიური გამოცდების ჩაბარების საბუთი და ნიშნების ფურცელი, სამაგისტრო ან სადოქტორო პროგრამის გავლის შემთხვევაში კი შესაბამისი აკადემიური მოსწრების დამადასტურებელი დოკუმენტი. თუ ბინადრობის ნებართვის მიღებიდან 2 წლის შემდეგ აღმოჩნდება, რომ სტუდენტს აკადემიური მოსწრების დამადასტურებელი დოკუმენტი სათანადო წესით არ აქვს ჩაბარებული, იგი ვალდებულია, დატოვოს საბერძნეთის ტერიტორია;
- ბინადრობის ნებართვის საერთო ხანგრძლივობა განისაზღვრება საგანმანათლებლო დაწესებულების მინიმალური პროგრამის ხანგრძლივობისა და, დამატებით, 2 წლის ჯამით, იქნება ეს ბაკალავრიატი, მაგისტრატურა თუ დოქტორანტურა. ამ პერიოდს, თუკი საგანმანათლებლო დაწესებულება ასე მოითხოვს, შეიძლება დაემატოს ბერძნული ენის შესასწავლად განსაზღვრული 1 წელი;
- მესამე ქვეყნის მოქალაქეთა შვილები, რომლებიც დაიბადებიან საბერძნეთში და რომელთა მშობლებიც ფლობენ განათლების მიზნით გაცემულ ბინადრობის ნებართვას, ასევე იღებენ ბინადრობის ნებართვას ოჯახის გაერთიანების საფუძვლით და იმავე ვადით, რაც განსაზღვრულია მათი მშობლებისთვის;
- სამუშაო ან პროფესიული მიზნით გაცემულ ბინადრობის ნებართვას ვერ ჩაანაცვლებს განათლების მიღების მიზნით გაცემული ბინადრობის ნებართვა.

მუხლი 35. ევროკავშირის წევრი სხვა ქვეყნიდან საბერძნეთში სტუდენტის გადმოყვანის პროცედურა სწავლის გასაგრძელებლად

- მესამე ქვეყნის მოქალაქეს, რომელიც უკვე რეგისტრირებულია სტუდენტად ევროკავშირის წევრი ქვეყნის რომელიმე სასწავლებელში და გააკეთებს განაცხადს საბერძნეთში სწავლის გაგრძელების ან კონკრეტულ ფაკულტეტზე დროებით გადმოყვანის შესახებ, უნდა ჰქონდეს:
  - ✔ ევროკავშირის შესაბამისი ქვეყნის სათანადო კატეგორიის ვიზა;
  - ✔ ცნობა გავლილი სასწავლო პროგრამის შესახებ, რომელშიც მკაფიოდ არის მითითებული არჩეული საგანი და მისი კავშირი საბერძნეთის საგანმანათლებლო დაწესებულების შესაბამის ფაკულტეტთან;
  - ✔ და ცნობა, რომ იგი მონაწილეობს ორმხრივ გაცვლით პროგრამაში (თუ ამგვარი გარემოება არსებობს), ანდა შერჩეულია ევროკავშირის წევრი სხვა სახელმწიფოს სასწავლო დაწესებულების მიერ, სულ მცირე, 2-წლიან პროგრამაში მონაწილეობისათვის (ეს პუნქტი არ არის სავალდებულო, თუ სტუდენტი, ევროკავშირის წევრი ქვეყნის საგანმანათლებლო დაწესებულების სასწავლო პროგრამის დებულებით, ვალდებულია, დაესწროს ამ პროგრამის იმ ნაწილს, რომელიც საბერძნეთში ტარდება. ასეთ შემთხვევაში საჭიროა შესაბამისი ცნობა ევროკავშირის წევრი ქვეყნის სასწავლებლიდან).

- სტუდენტმა ბინადრობის ნებართვის მისაღებად უნდა წარადგინოს შემდეგი დამატებითი დოკუმენტაცია:
  - ✔ განათლების მიღების მიზნით, ევროკავშირის წევრ რომელიმე ქვეყანაში მიღებული ბინადრობის ნებართვის ასლი;
  - ✔ ცნობა ევროკავშირის წევრი ქვეყნის სასწავლო დაწესებულებიდან -სტუდენტის მიერ გავლილი სასწავლო პროგრამის შესახებ, საიდანაც ჩანს არჩეული საგანი და მისი კავშირი საბერძნეთის სასწავლებლის შესაბამის ფაკულტეტთან.
- თუ მესამე ქვეყნის მოქალაქე ფლობს ბინადრობის ნებართვას საბერძნეთში და განაცხადს აკეთებს ევროკავშირის წევრ სხვა ქვეყანაში, შესაბამისი ქვეყნის კომპეტენტური უწყების

მოთხოვნის საფუძველზე, ბერძნული უწყებები დაინტერესებულ მხარეს გადასცემენ ყველა საჭირო დოკუმენტს;

- მესამე ქვეყნის მოქალაქეებს, რომლებიც ფლობენ ბინადრობის ნებართვას განათლების მიზნით, მისი გაცემის წესის შესაბამისად, მხოლოდ ნახევარ განაკვეთზე (დღეში 4 საათი) მუშაობის უფლება აქვთ. ამასთან, სამუშაო საათების რაოდენობა არ უნდა იყოს კვირაში 10 საათზე ნაკლები.

მუხლი 37. ბინადრობის ნებართვის მინიჭების დაჩქარებული პროცედურა მაგისტრატურის სტუდენტებისათვის

- საბერძნეთის უმაღლესი განათლების დაწესებულებებს, რომლებსაც აქვთ სამაგისტრო პროგრამები, დაინტერესების შემთხვევაში, შეუძლიათ მიმართონ საბერძნეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს მესამე ქვეყნის მაგისტრანტი მოქალაქეებისათვის ბინადრობის ნებართვის დაჩქარებული წესით გაცემაზე, თუკი:
  - ✔ სამაგისტრო პროგრამის ხანგრძლივობა 3 თვეზე მეტია;
  - ✔ კმაყოფილდება განათლების მიზნით ბინადრობის ნებართვის მიღების მოთხოვნები. ასეთი სახის შეთანხმებაში მითითებული უნდა იყოს სამაგისტრო პროგრამის ზუსტი სახელწოდება და ის კონკრეტული მიზეზები, რომელთა გამოც საჭიროა ხელშეკრულების გაფორმება, ასევე, პროგრამის ხანგრძლივობა, მისი განახლების შესაძლებლობა და მხარეთა ურთიერთვალდებულებები.

- ასეთი სახის ბინადრობის ნებართვის მისაღებად, საჭიროა განცხადების შეტანა შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალურ აპარატში. ამ კატეგორიის ბინადრობის ნებართვები განცხადების შეტანიდან 20 დღეში გაიცემა;
- ინფორმაციას ზემოაღნიშნული მიმართვის გაგზავნის შესახებ უმაღლესი სასწავლო დაწესებულება ოფიციალურად აწვდის განმცხადებლის ქვეყანაში არსებულ საბერძნეთის საკონსულო სამსახურს.

მუხლი 38-39. ბინადრობის ნებართვის მინიჭება მოხალისედ (ანაზღაურების გარეშე) მუშაობის შემთხვევაში; ამ კატეგორიის ბინადრობის ნებართვის ხანგრძლივობა და მისი განახლების პროცედურა

- მესამე ქვეყნის მოქალაქეს, რომელსაც საბერძნეთში 3 თვეზე მეტი ხნით უწევს მოხალისედ მუშაობა, შეუძლია საბერძნეთში ბინადრობის ნებართვის მიღება, თუკი ფლობს შესაბამისი კატეგორიის ვიზას;
- ბინადრობის ნებართვის მისაღებად, მესამე ქვეყნის მოქალაქემ უნდა გააკეთოს შესაბამისი განაცხადი. იგი თავისუფლდება მოსაკრებლის გადახდისგან, თუ სრულწლოვანია და ხელმოწერილი აქვს კონტრაქტი მოხალისედ მუშაობის შესახებ, რომლის მეორე, ბერძნული მხარე საკუთარ თავზე იღებს მგზავრობის, ცხოვრების, სტაციონარული მკურნალობის, სამედიცინო მომსახურებისა და განათლების ხარჯებს, ყველა სხვა ხარჯთან ერთად, რომელთა გაწევაც შეიძლება საჭირო გახდეს მოქალაქის საბერძნეთში ყოფნის პერიოდში. კონტრაქტში განსაზღვრული უნდა იყოს მოქალაქის საქმიანობა, ფუნქცია-მოვალეობები და სამუშაო განრიგი. ამ კატეგორიის ნებართვა გაიცემა განცხადების შეტანიდან 15 დღეში;
- მოხალისედ მუშაობის მიზნით მიღებული ბინადრობის ნებართვის ხანგრძლივობა 1 წელია. გამონაკლის შემთხვევებში, ასევე, თუ მოხალისეთა კონკრეტული პროგრამის ხანგრძლივობა აღემატება 1 წელს, ის განახლდება პროგრამის დასრულებამდე. ბინადრობის ნებართვის ვადის გასვლის შემდეგ, მოხალისე ვალდებულია, დატოვოს საბერძნეთის ტერიტორია.

მუხლი 44. საბერძნეთში ბინადრობის ნებართვის მიღების პროცედურა პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით

- ამგვარ მიზანში იგულისხმება საბერძნეთის პროფესიული კვალიფიკაციის ასამაღლებელ ინსტიტუტებში სწავლა, რაც ქვეყანაში საშუალო განათლების შემდგომი ეტაპია და შეიძლება არსებობდეს საგანმანათლებლო ცენტრების ან კოლეჯების სახით, რომლებსაც აქვთ შესაბამისი აკრედიტაცია;
- პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, მესამე ქვეყნის მოქალაქის შესვლა საბერძნეთში შესაძლებელია ზემოხსენებულ სასწავლო დაწესებულებაში ჩარიცხვის შემთხვევაში, საბერძნეთის განათლებისა და რელიგიური საკითხების სამინისტროს გადაწყვეტილების საფუძველზე. იგივე სამინისტრო იღებს გადაწყვეტილებას, რამდენად აუცილებელია, მესამე ქვეყნის მოქალაქე ფლობდეს ბერძნული ენის ცოდნის დამადასტურებელ სერტიფიკატს. ზემოხსენებული ტიპის დაწესებულებაში სწავლა უნდა იყოს დასწრებითი და არ მიმდინარეობდეს დისტანციურად. სასწავლო დაწესებულებას უნდა ჰქონდეს აკრედიტაცია, რისი დადასტურებაც შესაძლებელია ამონარიდით მთავრობის გაზეთის („მაცნეს“) შესაბამისი ჩანაწერიდან.

მუხლი 45. ბინადრობის ნებართვა სპეციალურ საგანმანათლებლო პროგრამებში მონაწილეთათვის

- მესამე ქვეყნის მოქალაქეებმა, რომლებიც მონაწილეობენ მთავრობათაშორისი შეთანხმებების ფარგლებში ევროკავშირის მიერ დაფინანსებულ გაცვლით პროგრამებში, ასევე, სამინისტროებისა და საქველმოქმედო ორგანიზაციების სტიპენდიანტებმა, შეიძლება მიიღონ საბერძნეთში ბინადრობის ნებართვა, თუ მათ სახელზე გაცემულია D კატეგორიის ვიზა. ასეთი ვიზა გაიცემა მას შემდეგ, რაც შესაბამის საკონსულო სამსახურს წარედგინება ცნობა კონკრეტული პროგრამის ფუნქციონირებასა და სტიპენდიის მიღებაზე;
- ბინადრობის ნებართვა მოქმედია პროგრამის დასრულებამდე. ამ სახის სტიპენდიანტები თავისუფლდებიან ბინადრობის ნებართვის მოსაკრებლისგან;
- მესამე ქვეყნის მოქალაქეები, რომლებსაც აქვთ ზემოაღნიშნული D კატეგორიის ვიზა და ჩაირიცხნენ სამხედრო სასწავლებელსა ან საზღვაო აკადემიაში, შეუძლიათ მიიღონ საბერძნეთში ბინადრობის ნებართვა სწავლის დასრულებამდე. ამ სახის სასწავლებელთა სტიპენდიანტები თავისუფლდებიან ბინადრობის ნებართვის მოსაკრებლისაგან.

მუხლი 47. ბინადრობის ნებართვა საბერძნეთში სამედიცინო კვალიფიკაციის მისაღებად

- იმისათვის, რომ მესამე ქვეყნის მოქალაქეზე გაიცეს ბინადრობის ნებართვა საბერძნეთში ექიმის კვალიფიკაციის მისაღებად, აუცილებელია D კატეგორიის ვიზა. ბინადრობის ნებართვის ხანგრძლივობა 1 წელია და ყოველ ჯერზე განახლდება 2 წლით, ექიმის კვალიფიკაციის მიღებამდე. ასეთი ნებართვისთვის საჭიროა შესაბამისი ცნობის წარდგენა სამედიცინო დაწესებულებიდან;
- აღნიშნული კატეგორიის მესამე ქვეყნის მოქალაქეს აქვს უფლება, თან იყოლიოს ოჯახის წევრები, რომელთა სახელზეც გაიცემა ბინადრობის ნებართვა. იგი ძალაშია ამ მოქალაქის ბინადრობის ნებართვის ვადის გასვლამდე.

მუხლი 48. ბინადრობის ნებართვის მიღება ათონის მთის საეკლესიო აკადემიაში სწავლის მიზნით

- მესამე ქვეყნის ქრისტიანული აღმსარებლობის მქონე მოქალაქეს შეუძლია ისწავლოს ათონის მთის საეკლესიო აკადემიაში, თუკი აქვს D კატეგორიის ვიზა;
- მესამე ქვეყნის მოქალაქე ვალდებულია, ვიზის ვადის გასვლამდე 2 თვით ადრე ათონის მთის მმართველ საბჭოს წარუდგინოს განცხადება ბინადრობის ნებართვის მოთხოვნაზე; ასევე:
  - პასპორტის ან სხვა სამგზავრო დოკუმენტისა და შესაბამისი ვიზის ასლი;
  - ათონის საეკლესიო აკადემიაში ჩარიცხვის ცნობა;
  - მონასტრის ცნობა, რომ დაფარავს მოქალაქის სწავლისა და ათონის მთაზე ცხოვრების ხარჯებს;
  - ათონის მთის მმართველი საბჭოს ან მონასტრის ცნობა, რომ დაფარავს მოქალაქის სტაციონარულ მკურნალობასა და სამედიცინო მომსახურებას;
  - ჯანმრთელობის ცნობა წარმოშობის ქვეყნის სამედიცინო დაწესებულებიდან, რომელიც ადასტურებს, რომ განმცხადებელს არ აქვს ჯანდაცვის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ განსაზღვრული ისეთი დაავადება, რომელიც შეიძლება საფრთხეს უქმნიდეს საზოგადოებრივ ჯანდაცვას;
- ამ სახის ბინადრობის ნებართვა გაიცემა პირის მიერ სწავლის დასრულებამდე და მისი განახლება შესაძლებელია დამატებით 1 წლით.

მუხლი 50. ბინადრობის ნებართვა ტრეფიკინგისა და არალეგალური მიგრაციის მსხვერპლთათვის

- მესამე ქვეყნის მოქალაქეებს, რომლებიც მიეკუთვნებიან ტრეფიკინგისა და არალეგალური მიგრაციის მსხვერპლთა კატეგორიას (ასეთი სტატუსი პირს შეიძლება მიენიჭოს განცხადების წარდგენის საფუძველზე, შესაბამისი პროკურორის გადაწყვეტილებით), საბერძნეთის პროკურატურა აძლევს 3-თვიან ვადას, რათა თავი დააღწიონ მოძალადეთა ზეგავლენას, გაიარონ ფსიქოლოგიური რეაბილიტაცია და ყოველგვარი ზეწოლის გარეშე შეძლონ გადაწყვეტილების მიღება სამართალდამცველ უწყებებთან თანამშრომლობაზე;
- არასრულწლოვან მსხვერპლთა შემთხვევაში, პროკურატურის გადაწყვეტილებით, ზემოაღნიშნული 3-თვიანი პერიოდი შეიძლება კიდევ 2 თვით გახანგრძლივდეს;
- ამ 3-თვიან პერიოდში ზემოხსენებული კატეგორიის პირები არ არიან ვალდებულნი, დატოვონ საბერძნეთი. თუკი მათ ქვეყანაში მიღებულია რეადმისიის გადაწყვეტილება, იგი გაუქმდება;
- პროკურატურის გადაწყვეტილებით, 3-თვიანი ვადა შეიძლება მის ამოწურვამდე დასრულდეს, თუკი:
  - ეს უწყება დაადგენს, რომ ე.წ. მსხვერპლი, შეგნებულად, გაცნობიერებულად და ნებაყოფლობით თანამშრომლობდა ტრეფიკინგსა და არალეგალური მიგრაციის ორგანიზებაში დადანაშაულებულ პირებთან და უსაფუძვლოა მისი შეფასება „ტრეფიკინგისა და არალეგალური მიგრაციის მსხვერპლად“.
  - არსებობს ამ პირის მხრიდან საჯარო წესრიგისა და უსაფრთხოების ზომების დარღვევის შემთხვევები.
- შესაბამისი პროკურორი, ასევე, პოლიციის ან სოციალური დახმარების სამსახური მესამე ქვეყნის მოქალაქეს, რომელიც მიიჩნევა ტრეფიკინგის ან არალეგალური მიგრაციის

მსხვერპლად, აცნობენ საკუთარ უფლებებს, რათა მან შეძლოს განცხადების შეტანა საბერძნეთში ბინადრობის ნებართვის მიღებაზე;

- ტრეფიკინგის ან არალეგალური მიგრაციის მსხვერპლ არასრულწლოვანზე ზრუნავს პროკურატურის შესაბამისი სამსახური, რომელიც ადგენს მის პირად მონაცემებს, ეროვნებას და ფაქტს, რომ არ ჰყავს თანმხლები პირი; ეს უწყება ცდილობს, მაქსიმალურად მჭიდრო ვადებში მოიძიოს მისი ოჯახის წევრები და, საჭიროების შემთხვევაში, არასრულწლოვანი უზრუნველყოს იურიდიული წარმომადგენლით; თუკი ვერ მიაკვლევს მის ოჯახს, ან მიიჩნევს, რომ მიზანშეუწონელია მისი სამშობლოში დაბრუნება, სასამართლოს მიერ შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებამდე იგი ზრუნავს არასრულწლოვნის უსაფრთხოებაზე;
- ზემოხსენებულ 3-თვიან პერიოდში ტრეფიკინგის ან არალეგალური მიგრაციის მსხვერპლს აქვს ჯანდაცვისა და ფსიქოლოგიური დახმარების მიღების უფლება შესაბამის სპეციალიზებულ ცენტრებში;
- თუ აღნიშნული კატეგორიის მესამე ქვეყნის მოქალაქეს არ აქვს თავისი საყოფაცხოვრებო ხარჯების დაფარვის შესაძლებლობა, მას უზრუნველყოფენ საჭირო პირობებით;
- პროკურატურა, ასევე, სასამართლო და პოლიციის სამსახურები, კომპეტენციის შესაბამისად ზრუნავენ არალეგალური მიგრაციის მსხვერპლის უსაფრთხოებაზე. ბერძნული ენის არცოდნის შემთხვევაში, მას უნდა მოემსახუროს თარჯიმანი; ასევე, უნდა გააცნონ თავისი ძირითადი უფლებები.

მუხლი 52. ტრეფიკინგისა და არალეგალური მიგრაციის მსხვერპლზე გაცემული ბინადრობის ნებართვის განახლება

- მესამე ქვეყნის მოქალაქეს, რომელიც ტრეფიკინგის ან არალეგალური მიგრაციის მსხვერპლია, შესაბამისი განაცხადის გაკეთების შემთხვევაში, შეუძლია მიიღოს საბერძნეთში ბინადრობის უფლება. ამ განაცხადის გაკეთება მას შეუძლია როგორც პირადად, ისე ნდობით აღჭურვილი პირის მეშვეობით, ბინადრობის ნებართვის მოსაკრებლის გადახდის გარეშე;
- ზემოხსენებული 3-თვიანი ვადის გასვლამდე, შესაბამისი პროკურორი შეაფასებს და მოამზადებს რეკომენდაციას ბინადრობის ნებართვის გაცემაზე, თუკი:
  - ✔ მიზანშეწონილად მიიჩნევა პირის საბერძნეთის ტერიტორიაზე დარჩენა გამოძიების პროცესის ან სისხლის სამართლის საქმისწარმოების ხელშეწყობის მიზნით;
  - ✔ იგი ცხადად გამოხატავს სამართალდამცველ უწყებებთან თანამშრომლობის სურვილს;
  - ✔ მას გაწყვეტილი აქვს ურთიერთობა ტრეფიკინგსა და არალეგალური მიგრაციის ორგანიზებაში დადანაშაულებულ პირებთან.
- ბინადრობის ნებართვა ენიჭება შინაგან საქმეთა მინისტრის შესაბამისი გადაწყვეტილებით. ის გაიცემა 12-თვით და, თუ შესაძლებელია, ამავე ვადით განახლდება.

მუხლი 54. ტრეფიკინგისა და არალეგალური მიგრაციის მსხვერპლთა უფლებები

- ზემოაღნიშნული წესით გაცემული ბინადრობის ნებართვა არის გარანტია, რომ მესამე ქვეყნის ამ კატეგორიის მოქალაქეს აქვს:
  - ✔ მუშაობის უფლება, ბინადრობის უფლების საბუთის ვადის ამოწურვამდე;

- ჯანდაცვისა და ფსიქოლოგიური დახმარების მიღების უფლება;
- პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლების ან სწავლის უფლება.

მუხლი 55. ტრეფიკინგისა და არალეგალური მიგრაციის მსხვერპლთათვის ბინადრობის ნებართვის გაცემასა ან განახლებაზე უარის მიზეზები

- ამ კატეგორიის პირებისათვის ბინადრობის ნებართვის გაცემასა ან განახლებზე უარყოფითი პასუხი მიიღება, თუკი:
  - მსხვერპლი განაახლებს ურთიერთობას და კავშირებს მის მიერ დამნაშავედ წოდებულ პიროვნებებთან;
  - კომპეტენტური ორგანო მიიჩნევს, რომ ე.წ. მსხვერპლის საჩივარი არ შეესაბამება სიმართლეს, ბოროტად გამოიყენება, ანდა ირღვევა სამოქალაქო წესრიგისა და უსაფრთხოების ნორმები;
  - როდესაც სისხლის სამართლის საქმისწარმოება დასრულებულია, ან გამოტანილია გადაწყვეტილება (და იგი არ ექვემდებარება გასაჩივრებას), რომლითაც სასამართლო საქმე დასრულებულად ცხადდება.

- სასამართლოს მიერ ზემოხსენებული გადაწყვეტილების მიღებიდან (რომელიც არ ექვემდებარება გასაჩივრებას) 1 თვის ვადაში, ბინადრობის ნებართვის მფლობელზე, რომელსაც აქვს ტრეფიკინგის ან არალეგალური მიგრაციის მსხვერპლის სტატუსი, შეიძლება გაიცეს საბერძნეთში ბინადრობის ნებართვა. ამ ნებართვის მინიჭებისას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ფაქტს, ფლობდა თუ არა მოქალაქე წარსულში ბინადრობის ნებართვას ასეთივე სტატუსით.

მუხლი 59. მესამე ქვეყნის მოქალაქეების საბერძნეთში ყოფნა სამეცნიერო კვლევის მიზნით

- მესამე ქვეყნის მოქალაქეებს, შესაბამისი განცხადების წარდგენის გზით, შეუძლიათ მოითხოვენ საბერძნეთის ტერიტორიაზე შემოსვლა და ბინადრობის ნებართვა სამეცნიერო კვლევის ჩასატარებლად. ეს არ ვრცელდება პირებზე:
  - რომლებიც განაცხადს აკეთებენ როგორც მოსწავლეები/სტუდენტები, ასევე, გაცვლით სასწავლო პროგრამებში მონაწილეობის, ანაზღაურების გარეშე პრაქტიკის გავლისა და მოხალისედ მუშაობის (ანაზღაურების გარეშე) მსურველები, რომლებსაც პარალელურად უნდათ სამეცნიერო კვლევების ჩატარებაც;
  - ვისი საბერძნეთიდან გაძევების პროცესიც გადაიდო;
  - ვინც, როგორც მკვლევარი, საბერძნეთის რომელიმე სამეცნიერო ორგანიზაციაში მივლენილია ევროკავშირის წევრი ქვეყნის სამეცნიერო დაწესებულების მიერ.

- ასეთ შემთხვევებში, ბინადრობის ნებართვის მიღების ხელშემწყობი გარემოებაა ორმხრივი ან მრავალმხრივი ხელშეკრულებები ევროკავშირის წევრ ქვეყნებს, ან ევროკავშირის წევრ ქვეყანასა და მესამე ქვეყანას/ქვეყნებს შორის; ასევე, ხელშეკრულებები საბერძნეთის რესპუბლიკასა და მესამე ქვეყანას/ქვეყნებს შორის.

სამეცნიერო ორგანიზაციის მიერ მესამე ქვეყნის მეცნიერის/მკვლევარის საბერძნეთში მოწვევის პროცედურა

- სამეცნიერო ორგანიზაცია, რომელიც მოიწვევს მესამე ქვეყნის მკვლევარს სამეცნიერო მუშაობის მიზნით, უნდა აკმაყოფილებდეს შესაბამისი კანონით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. ასევე, მან უნდა შეასრულოს ფორმალობები მკვლევარისათვის შესაბამისი ვიზისა და ბინადრობის ნებართვის მინიჭების პროცედურებთან დაკავშირებით;
- სამეცნიერო ორგანიზაციას მესამე ქვეყნის მკვლევარის მოწვევაზე თანხმობა უნდა მისცეს განათლებისა და რელიგიური საკითხების სამინისტრომ;
- მიმწვევი ორგანიზაცია შეიძლება იყოს: სახელმწიფო ან საჯარო სამეცნიერო დაწესებულება; კვლევითი ცენტრი, რომლიც ფუნქციონირებს საჯარო უწყებების ზედამხედველობის ქვეშ; აკრედიტებული უმაღლესი სასწავლო დაწესებულება; უნივერსიტეტი; და ტექნიკური სასწავლებელი.
- კერძო სამეცნიერო დაწესებულებებმა, შესაბამისი ნებართვის მისაღებად, უნდა წარადგინონ:
  - ✔ წესდება, რომელიც ამტკიცებს, რომ დაწესებულებაში ფუნქციონირებს კვლევის ფაკულტეტი;
  - ✔ სამეცნიერო კვლევების, ასევე, ამ მიზნით გაწეული ხარჯების დამადასტურებელი დოკუმენტები (ქვითრები);
  - ✔ დეტალური არგუმენტაცია, რომ სამეცნიერო კვლევის ჩასატარებლად აუცილებელია მესამე ქვეყნის მკვლევარის დასაქმება.

- ეს დოკუმენტაცია წარედგინება განათლებისა და რელიგიური საკითხების სამინისტროს. დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში, გაიცემა 5-წლიანი ნებართვა, რომლითაც საგანმანათლებლო ინსტიტუტს შეუძლია მოიწვიოს მესამე ქვეყნის მოქალაქე მკვლევარი;
- სამეცნიერო დაწესებულება ვალდებულია, განათლებისა და რელიგიური საკითხების სამინისტროში წარადგინოს ცნობა, რომ თუ მკვლევარი არალეგალურად დარჩება საბერძნეთში ამ დაწესებულებასთან გაფორმებული კონტრაქტის დასრულების შემდეგ, იგი აიღებს აღნიშნული პირის ბინადრობის, საბერძნეთიდან გამგზავრებისა და სხვა ხარჯების დაფარვის ვალდებულებას. თავის მხრივ, განათლებისა და რელიგიური საკითხების სამინისტროს კვლევისა და ტექნოლოგიების გენერალური სამდივნო ვალდებულია, ეს ცნობა წარადგინოს საბერძნეთის პოლიციის მიგრაციის განყოფილებაში, კონტრაქტის დასრულებიდან 6 თვის განმავლობაში;
- სამეცნიერო ორგანიზაციები პასუხისმგებლობას იღებენ მესამე ქვეყნის მოქალაქეთა ბიოგრაფიული მონაცემებისა და კვალიფიკაციის გადამოწმებაზე;
- ამ ორგანიზაციებმა კვლევისა და ტექნოლოგიების გენერალურ სამდივნოს უნდა მიაწოდონ მესამე ქვეყნის მკვლევართან ხელმოწერილი კონტრაქტის ასლი;
- თუ კონტრაქტის ხელმოწერის შემდეგ აღმოჩნდება, რომ მესამე ქვეყნის მოქალაქემ ყალბი ინფორმაცია წარადგინა, ბინადრობის ნებართვა მის სახელზე არ გაიცემა;
- მკვლევარს უნდა ჰქონდეს: საკმარისი სახსრები, თვიურად არანაკლებ 900 ევროს ოდენობით, რათა შეძლოს საკუთარი საყოფაცხოვრებო ხარჯების დაფარვა; ასევე, შესაბამისი სამედიცინო დაზღვევა. მესამე ქვეყნის მოქალაქე მკვლევარს შეუძლია, საბერძნეთში თან იყოლიოს საკუთარი ოჯახის წევრები;
- მკვლევარის ბინადრობის ნებართვის ვადა განისაზღვრება მისი კონტრაქტის ხანგრძლივობის მიხედვით. თუ მოქმედი კონტრაქტი განახლდება, იმავე ვადით გაგრძელდება ბინადრობის ნებართვაც;
- მკვლევარის ოჯახის წევრებს, შესაბამისი განაცხადის გაკეთების შემდეგ, ეძლევათ ბინადრობის ნებართვები, რომლებიც ძალაშია მისი ბინადრობის ნებართვის ვადის გასვლამდე.

საბერძნეთში ბინადრობის ნებართვის მინიჭება მესამე ქვეყნის მეცნიერის/ მკვლევარისათვის, რომელიც ფლობს ევროკავშირის წევრი სხვა ქვეყნის მიერ გაცემულ ბინადრობის ნებართვას

- მესამე ქვეყნის მოქალაქეს, რომელიც მკვლევარის სტატუსით ფლობს ევროკავშირის სხვა წევრი სახელმწიფოს მოქმედ ბინადრობის ნებართვას, უფლება აქვს, თავისი კვლევითი სამუშაოების ნაწილი განახორციელოს საბერძნეთში;
- თუ მკვლევარი საბერძნეთში 3 თვეზე მეტხანს დაჰყოფს, ადგილობრივ სამეცნიერო დაწესებულებასთან უნდა გააფორმოს შესაბამისი კონტრაქტი და დადგენილი წესით მიიღოს ბინადრობის ნებართვა;
- ბინადრობის ნებართვის მისაღებად განაცხადი უნდა გაკეთდეს არაუგვიანეს 3 თვის ვადაში ქვეყანაში შემოსვლიდან. ნებართვა გაიცემა მკვლევარის კონტრაქტის ვადის ბოლომდე.
- მკვლევარს შეუძლია, საბერძნეთში თან იყოლიოს საკუთარი ოჯახის წევრები;
- ამ კატეგორიის ბინადრობის ნებართვით, საბერძნეთში მცხოვრებ მკვლევარს აქვს პედაგოგიური საქმიანობის უფლებაც;
- მკვლევარი, რომელიც ფლობს ბინადრობის ნებართვას, საბერძნეთის მოქალაქის თანასწორი უფლებებით სარგებლობს შემდეგ საკითხებში:
  - დიპლომის, სერტიფიკატის, სხვა სასწავლო თუ პროფესიული დოკუმენტის აღიარება;
  - სამუშაო პირობები, იქნება ეს ანაზღაურება თუ სამსახურიდან დათხოვნა;
  - ჯანმრთელობის დაზღვევა;
  - საგადასახადო შეღავათები;
  - საჯარო სერვისებზე (სოციალურ მომსახურებაზე) წვდომა.

მუხლი 69. მესამე ქვეყნის მოქალაქეთა საბერძნეთის ტერიტორიაზე შესვლა ოჯახის გაერთიანების მიზნით

- წინამდებარე დებულებები ეხება საბერძნეთის 2-წლიანი ან უფრო ხანგრძლივი ვადით გაცემული ბინადრობის ნებართვის (რომლის საშუალებითაც მფლობელს აქვს ამ ქვეყანაში მუდმივი ბინადრობის ნებართვის მიღების უფლება) მქონე პირებს - მათი სტატუსის მიუხედავად - რომელთა ოჯახის წევრებიც მესამე ქვეყნის მოქალაქეები არიან;
- 69-77 მუხლები არ მოქმედებს, თუ განმცხადებელმა:
  - განცხადება შეიტანა საერთაშორისო დაცვის მისაღებად, რაზეც ქვეყნის კომპეტენტურ ორგანოებს გადაწყვეტილება ჯერ არ მიუღიათ;
  - ბინადრობის ნებართვა მიიღო როგორც საერთაშორისო დაცვის მაძიებელმა პირმა, ან ითხოვს მას და ელოდება საბერძნეთის კომპეტენტური ორგანოების გადაწყვეტილებას;
  - საბერძნეთში ბინადრობის ნებართვას ფლობს ჰუმანიტარული დაცვის ქვეშ მყოფი პირის სტატუსით, ან შეტანილი აქვს განცხადება ამ კატეგორიის ბინადრობის ნებართვის მიღებაზე და ელოდება ქვეყნის კომპეტენტური ორგანოების გადაწყვეტილებას.
- 69-77 მუხლები არ ვრცელდება ევროკავშირის ქვეყნის მოქალაქის ოჯახის წევრებზე.

მუხლი 70. ოჯახის გაერთიანების მიზნით ბინადრობის ნებართვის გაცემის მოთხოვნები

- მესამე ქვეყნის მოქალაქეს, რომელიც 2 წლის განმავლობაში ლეგალურად ცხოვრობს საბერძნეთში, შეუძლია მოითხოვოს საკუთარი ოჯახის წევრების შემოსვლა საბერძნეთში და მათზე ბინადრობის ნებართვის გაცემა. შესაბამისი განცხადების განხილვა დაიწყება, თუ მესამე ქვეყნის მოქალაქის ოჯახის წევრები მუდმივად საბერძნეთის გარეთ ცხოვრობდნენ. განცხადების შეტანამდე, ოჯახის წევრების დროებითი ცხოვრება საბერძნეთის ტეროტორიაზე არ გახლავთ ბინადრობის ნებართვის გაცემის დამაბრკოლებელი გარემოება;
- განმცხადებელმა უნდა დაამტკიცოს ოჯახის წევრებთან ნათესაური კავშირი, ასევე, სრულად დააკმაყოფილოს ქვემოთ მოცემული წინაპირობები:
  - საბერძნეთში ჰქონდეს მუდმივი საცხოვრებელი ფართი, რომელიც აკმაყოფილებს ამ პირისა და მისი ოჯახის წევრების მოთხოვნებს; ასევე:
  - საკუთარი თავისა და ოჯახის წევრებისათვის სამყოფი სტაბილური შემოსავალი და არ საჭიროებდეს საბერძნეთის სახელმწიფო სოციალური დახმარებას. მისი შემოსავალი არ უნდა იყოს საბერძნეთის ტერიტორიაზე ლეგალურად დასაქმებული პირის მინიმალურ ხელფასზე დაბალი (საბაზოდ - მეუღლის შემთხვევაში, მინიმალურ ხელფასს უნდა აღემატებოდეს 20%-ით, თითოეულ ბავშვზე კი - 15-15%-ით. თუ ორივე მეუღლე ლეგალურად იმყოფება საბერძნეთში, 15%-იანი დანამატის მოთხოვნა ბავშვებზე ძალაში აღარ არის);
  - ჯანმრთელობის დაზღვევის სრული პაკეტი, რომელიც იძლევა ამ მოქალაქისა და მისი ოჯახის წევრების ჯანმრთელობის ხარჯების დაფარვის საშუალებას;
  - განმცხადებელს, რომელსაც ერთზე მეტი მეუღლე ჰყავს და საბერძნეთში ერთ-ერთ მეუღლესთან ერთად ცხოვრობს, აღარ აქვს სხვა მეუღლის მოწვევის უფლება ოჯახის გაერთიანების მიზნით;
  - ასევე დაუშვებელია ოჯახური გაერთიანება სხვა მეუღლესთან (რომელიც არ ცხოვრობს საბერძნეთში) შეძენილ არასრულწლოვან შვილებთან, გარდა იმ შემთხვევისა, თუ პირს მინიჭებული აქვს მათზე მეურვეობა;
  - საბერძნეთის კომპეტენტურმა ორგანომ შესაძლოა გასაუბრების ან სხვა სახით გადაამოწმოს განმცხადებლის ოჯახური კავშირები.

მუხლი 71. განცხადების ჩაბარების წესები ოჯახის გაერთიანების მიზნით ბინადრობის ნებართვის მიღებაზე და მისი განხილვის პროცედურა

- განცხადებას ოჯახის გაერთიანების მიზნით ბინადრობის ნებართვის მიღებაზე უნდა დაერთოს ამავე კანონის მე-8 მუხლით გათვალისწინებული დოკუმენტაცია;
- დეცენტრალიზებული მმართველობის სამსახური ვალდებულია, პოლიციის შესაბამისი განყოფილებიდან გამოითხოვოს განმცხადებელთან დაკავშირებული ინფორმაცია, რომელიც შეიძლება ეხებოდეს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასა და ქვეყნის უსაფრთხოებას. ოჯახური კავშირების დასადგენად, საჭიროა შესაბამისი ინფორმაციის გამოთხოვა საბერძნეთის შესაბამისი საკონსულო სამსახურიდან და ოჯახის წევრებს შორის ნათესაური კავშირის გადამოწმება პირადი გასაუბრების გზით. ამ სამსახურმა უნდა შეამოწმოს ისიც, ქმნიან თუ არა ზემოხსენებული პირები საფრთხეს საზოგადოებრივი ჯანმრთელობისათვის;
- თუ განმცხადებლის ოჯახის წევრები არ გამოცხადდებიან გასაუბრებაზე შესაბამის საკონსულო სამსახურში, განაცხადი გაუქმდება. ის განიხილება შეტანიდან 3 თვის ვადაში. გამონაკლის შემთხვევებში, ეს ვადა შეიძლება გაიზარდოს კიდევ 30 დღით. საბერძნეთის დეცენტრალიზებული მმართველობის სამსახური განმცხადებლის დოკუმენტაციას ფოსტით მიაწოდებს ქვეყნის შესაბამის საკონსულო სამსახურს. ეს

დოკუმენტაცია შეიძლება გაიგზავნოს კურიერის მეშვეობითაც, თუკი განმცხადებელი თვითონ დაფარავს გაგზავნის ხარჯებს;

- განცხადებაზე დადებითი პასუხის მიღებას შეიძლება ხელი შეუწყოს არასრულწლოვანი შვილების ყოლამ;
- კომპეტენტური ორგანო დადებით გადაწყვეტილებას ოჯახის გაერთიანების შესახებ გადასცემს საბერძნეთის საკონსულო სამსახურს, რომელიც ოჯახის წევრებზე გასცემს შესაბამის ვიზას.

მუხლი 72. ოჯახის გაერთიანების მიზნით ბინადრობის ნებართვის გაცემის პროცედურა

- საბერძნეთის ტერიტორიაზე შემოსვლის შემდეგ, მესამე ქვეყნის მოქალაქის ოჯახის თითოეულმა წევრმა, ვიზის ამოწურვამდე, კომპეტენტურ ორგანოში უნდა შეიტანოს განცხადება ბინადრობის ნებართვის მისაღებად. მას უნდა დაერთოს შესაბამისი დოკუმენტაცია (მე-8 მუხლის დებულებების თანახმად). არასრულწლოვან შვილებზე განცხადება შეაქვს მეურვეს და მათ ეძლევათ ბინადრობის ნებართვა. ასეთი ნებართვა გაიცემა დეცენტრალიზებული მმართველობის გენერალური მდივნის ან, გარკვეულ შემთხვევებში, შინაგან საქმეთა მინისტრის გადაწყვეტილებით;
- გადაწყვეტილება ოჯახის გაერთიანების განცხადებაზე მიიღება მისი შეტანიდან არაუგვიანეს 9 თვეში. განსაკუთრებული მიზეზების დროს, ზემოთ მოცემული ვადა შეიძლება გაიზარდოს 3 თვით.

მუხლი 73. ოჯახის გაერთიანების მიზნით გაცემული ბინადრობის ნებართვის ხანგრძლივობა და განახლების პროცედურა

- მესამე ქვეყნის მოქალაქის ოჯახის წევრებზე პირველადი ბინადრობის ნებართვა გაიცემა და განახლდება მისი ბინადრობის ნებართვის ვადის შესაბამისად;
- თუ განმცხადებელი მიიღებს ბინადრობის გრძელვადიან ნებართვას (5 და მეტი წლით), მისი ოჯახის წევრების ბინადრობის ნებართვა განახლდება 3 წლით;
- თუ განმცხადებელს მიღებული აქვს ბინადრობის გრძელვადიანი ნებართვა, მისი ოჯახის წევრებზე, ოჯახის გაერთიანების მიზნით, პირველადი ბინადრობის ნებართვა გაიცემა 2 წლის ვადით და განახლდება 3 წლით;
- ბინადრობის ნებართვის განახლებისათვის, განმცხადებელმა უნდა დაამტკიცოს: უწყვეტი კავშირი ოჯახის წევრებთან; ასევე, ყველა სადაზღვევო და საგადასახადო ვალდებულების შესრულება;
- მესამე ქვეყნის მოქალაქის ოჯახის წევრი, რომელსაც სურს ბინადრობის ნებართვის განახლება ოჯახის გაერთიანების მიზნით, ვალდებულია, შესაბამისი განცხადება წარადგინოს ბინადრობის ნებართვის ვადის ამოწურვამდე.

მუხლი 74. ოჯახის გაერთიანების მიზნით ბინადრობის ნებართვის გაცემასა ან განახლებაზე უარის და მისი გაუქმების მიზეზები

- ოჯახის გაერთიანების მიზნით ბინადრობის ნებართვის გაცემასა ან განახლებაზე უარის, ანდა მისი გაუქმების გადაწყვეტილება შეიძლება მიიღონ მაშინ, თუკი:
  - ✔ ოჯახის წევრი რისკებს უქმნის საზოგადოებრივ წესრიგსა და სახელმწიფო უსაფრთხოებას. ამგვარი საფრთხის არარსებობა უმთავრესი მოთხოვნაა, რომლის დაკმაყოფილებაც აუცილებელია ბინადრობის ნებართვის გასაცემად ოჯახის გაერთიანების მიზნით;
  - ✔ ოჯახის წევრი ქმნის საფრთხეს საზოგადოებრივი ჯანმრთელობისათვის;
  - ✔ მესამე ქვეყნის მოქალაქე და მისი ოჯახის წევრები გაწყვეტენ ოჯახურ კავშირს;
  - ✔ საბერძნეთის შესაბამისი ორგანოს ოფიციალური დოკუმენტით ან სასამართლოს გადაწყვეტილებით გამოვლინდება, რომ განმცხადებლის მიერ გამოყენებულია ყალბი ან არასწორი ინფორმაცია, ფალსიფიცირებული დოკუმენტები, ან ნებისმიერი სახის უკანონობა;
  - ✔ დადასტურდება, რომ ოჯახური კავშირი, ქორწინება, შვილად აყვანა ან აღიარება მიზნად ისახავდა ქვეყანაში კანონის გვერდის ავლით შესვლასა ან ცხოვრებას.

- განმცხადებლის ოჯახის წევრის ბინადრობის ნებართვის გაუქმება ან მის განახლებაზე უარი შეიძლება გამოწვეული იყოს რისკების შექმნით საზოგადოებრივი წესრიგის, სახელმწიფო უსაფრთხოების ან ჯანდაცვისათვის. ასეთ დროს შეფასდება განმცხადებლის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმე. შეფასება შესაბამისმა სამსახურებმა შეიძლება ჩაატარონ საეჭვო ინფორმაციის მიღებისას;
- ბინადრობის ნებართვის გაცემასა ან განახლებაზე უარის, ანდა მისი გაუქმების შემთხვევაში, განმცხადებლისა თუ მისი ოჯახის წევრების ქვეყნიდან გაძევებაზე გადაწყვეტილების მიღებისას, გასათვალისწინებელია ოჯახური კავშირების სიმტკიცე, ოჯახის საბერძნეთში ყოფნის ხანგრძლივობა, ასევე, მისი კავშირები წარმოშობის ქვეყანასთან.

მუხლი 75. მესამე ქვეყნის მოქალაქის ოჯახის წევრთა უფლებები და ვალდებულებები, რომლებიც ფლობენ ბინადრობის ნებართვას ოჯახის გაერთიანების მიზნით

- მესამე ქვეყნის მოქალაქის ოჯახის წევრებს, რომლებიც ფლობენ ოჯახის გაერთიანების მიზნით გაცემულ ბინადრობის ნებართვას, უფლება აქვთ:
  - ✔ განათლება მიიღონ საბერძნეთის საგანმანათლებლო ინსტიტუტებში;
  - ✔ იმუშაონ დაქვემდებარებულ (დაქირავებულ) სამუშაოზე, რისი უფლებაც ენიჭებათ ბინადრობის ნებართვის განახლების შემდეგ;
  - ✔ აიმაღლონ პროფესიული კვალიფიკაცია.

- ოჯახის გაერთიანების მიზნით ბინადრობის ნებართვის მფლობელებზე ვრცელდება მესამე ქვეყნის მოქალაქეთა ზოგადი უფლებები და ვალდებულებები.

მუხლი 76. მესამე ქვეყნის მოქალაქის ოჯახის გაერთიანების მიზნით ჩამოყვანილი ოჯახის წევრების ინდივიდუალური ბინადრობის ნებართვა

- როცა მესამე ქვეყნის მოქალაქეზე გაიცემა ბინადრობის ნებართვა ოჯახის გაერთიანების მიზნით, შესაბამისი განცხადების და დოკუმენტაციის ჩაბარების შემდგომ, მას უფლება ეძლევა, მოიპოვოს ინდივიდუალური ბინადრობის ნებართვა, თუ:
  - ✔ მესამე ქვეყნის მოქალაქის მფლობელობაში არსებული პირველადი ბინადრობის ნებართვის გაცემიდან გასულია 5 წელი და ის მიეკუთვნება მხოლოდ „ოჯახის გაერთიანების მიზნით“ გაცემულ ნებართვათა კატეგორიას;
  - ✔ მესამე ქვეყნის მოქალაქის ოჯახის წევრი მიაღწევს სრულწლოვანებას.

- ინდივიდუალური ბინადრობის ნებართვა მესამე ქვეყნის მოქალაქის ოჯახის წევრებზე შეიძლება გაიცეს შემდეგ შემთხვევებში:
  - ✔ ამ მოქალაქის (მომწვევი პირის) გარდაცვალებისას, თუკი ოჯახის წევრები მის გარდაცვალებამდე ცხოვრობდნენ საბერძნეთში არანაკლებ 1 წლის განმავლობაში;
  - ✔ მესამე ქვეყნის მოქალაქესთან განქორწინების, ქორწინების გაუქმების ან თანაცხოვრების შეწყვეტისას, თუკი:
    - ☑ განქორწინებასთან დაკავშირებული სასამართლო განხილვის დაწყებამდე, ქორწინების გაუქმებამდე ან ცოლქმრული თანაცხოვრების შეწყვეტამდე, ქორწინება გრძელდებოდა არანაკლებ 3 წლის განმავლობაში და ამ წლებიდან ერთი მაინც წყვილმა საბერძნეთში გაატარა;
    - ☑ მესამე ქვეყნის მოქალაქის ოჯახის წევრი ქორწინების პერიოდში იყო ოჯახური ძალადობის მსხვერპლი.

- მესამე ქვეყნის მოქალაქის ოჯახის თითოეულ წევრს შეაქვს განცხადება ინდივიდუალური ბინადრობის ნებართვის მოსაპოვებლად, თუკი აკმაყოფილებენ ზემოთ ჩამოთვლილ წინაპირობათაგან ერთ-ერთს;
- ინდივიდუალური ბინადრობის ნებართვის მოქმედების ვადა არ აღემატება 1 წელს, განახლების პერსპექტივით, თუმცა ის ვერ განახლდება „ოჯახის გაერთიანების“ მიზეზით;
- მესამე ქვეყნის მოქალაქის ოჯახის არასრულწლოვანი წევრის ბინადრობის ნებართვა მეურვე მშობლის ბინადრობის ნებართვის შესაბამისად მოქმედებს;
- მესამე ქვეყნის მოქალაქის სრულწლოვანი შვილებისათვის, რომელთა ასაკიც არ აღემატება 21 წელს, ინდივიდუალური ბინადრობის ნებართვა 3 წლის ვადით გაიცემა. ამასთან, ხსენებული 3 წელი ზემოაღნიშნულ 21 წლამდე უნდა ამოიწუროს;
- ამ კატეგორიის ბინადრობის ნებართვა გრძელდება 3 წლის ვადით, თუ პირი არ ქმნის საფრთხეს საზოგადოებრივი წესრიგისათვის. ბინადრობის ნებართვის გაგრძელებაზე განცხადებას უნდა დაერთოს წინა ბინადრობის ნებართვა;
- თუ ინდივიდუალური ბინადრობის ნებართვა განახლდება განათლების მიღების ან პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, მესამე ქვეყნის მოქალაქეს შეუძლია, სწავლის დასრულების შემდეგ, ისევ მიიღოს ამ კატეგორიის ბინადრობის ნებართვა 1 (ერთი) წლის ვადით;
- ინდივიდუალური ბინადრობის ნებართვა მის მფლობელს აძლევს დაქვემდებარებული (დაქირავებული) სამუშაოს შესრულების, ასევე, ნებისმიერი საფეხურის განათლების მიღების უფლებას.

მუხლი 80. ბინადრობის ნებართვა მესამე ქვეყნის იმ მოქალაქეებისათვის, რომლებმაც საბერძნეთში შექმნეს ოჯახი

- თუ ქორწინდებიან საბერძნეთში ბინადრობის მოწმობის მფლობელი მესამე ქვეყნის მოქალაქეები, ერთ-ერთ მეუღლესა და ოჯახის წევრებზე, რომელთაც აქვთ ნებისმიერი კატეგორიის მოქმედი ბინადრობის ნებართვა, შეიძლება გაიცეს ბინადრობის ნებართვა ოჯახის გაერთიანების მიზნით;
- საბერძნეთში დაბადებული არასრულწლოვანი პირისათვის ქვეყანაში ლეგალურად ცხოვრების დამადასტურებელ დოკუმენტად ჩაითვლება მშობლების ბინადრობის ნებართვა, ვიდრე არ გაკეთდება შესაბამისი განაცხადი ბინადრობის ნებართვის ამ პირზე გაცემის შესახებ.

მუხლი 81. ბინადრობის ნებართვები მესამე ქვეყნის მოქალაქის ოჯახის წევრთათვის, რომელიც ფლობს „თანამემამულის სპეციალურ პირადობის მოწმობას“

- „თანამემამულის სპეციალური პირადობის მოწმობის“ მფლობელი პირის მეუღლეზე, რომელიც ასევე მესამე ქვეყნის მოქალაქეა, გაიცემა 5-წლიანი ბინადრობის ნებართვა, მუშაობის უფლებით. ამ კატეგორიის ბინადრობის ნებართვის განახლება შესაძლებელია ყოველ ჯერზე 5 წლის ვადით. ასეთი ნებართვა გაიცემა მოსაკრებლის გარეშე;
- „თანამემამულის სპეციალური პირადობის მოწმობის“ მფლობელი პირის მეუღლეს, რომელიც ასევე მესამე ქვეყნის მოქალაქეა, აქვს უფლება, მიიღოს ინდივიდუალური ბინადრობის ნებართვა, თუკი:
  - ✔ „თანამემამულის სპეციალური პირადობის მოწმობის“ მფლობელი პირი გარდაიცვლება და მისი ოჯახის წევრები მის გარდაცვალებამდე ცხოვრობდნენ საბერძნეთში არანაკლებ 1 წლის განმავლობაში;
  - ✔ განქორწინებასთან დაკავშირებული სასამართლო განხილვის დაწყებამდე, ქორწინების გაუქმებამდე ან თანაცხოვრების შეწყვეტამდე ქორწინება გრძელდებოდა არანაკლებ 3 წლის განმავლობაში და ამ წლებიდან ერთი მაინც წყვილმა საბერძნეთში გაატარა;
  - ✔ მესამე ქვეყნის მოქალაქის ოჯახის წევრი ქორწინების პერიოდში იყო ოჯახური ძალადობის მსხვერპლი.
- ინდივიდუალური ბინადრობის ნებართვა გაიცემა ერთწლიანი ვადით;
- მესამე ქვეყნის მოქალაქის ოჯახის არასრულწლოვანი წევრის ბინადრობის ნებართვა მოქმედებს მეურვე მშობლის ბინადრობის ნებართვის შესაბამისად.

მუხლი 82. ბინადრობის ნებართვა საბერძნეთის მოქალაქის ოჯახის წევრებისათვის, რომლებიც მესამე ქვეყნის მოქალაქეები არიან

- მესამე ქვეყნის მოქალაქეებზე, რომლებიც საბერძნეთის მოქალაქის ოჯახის წევრები არიან, ან საბერძნეთში მუდმივი თუ დროებითი ბინადრობის ნებართვით ცხოვრობენ, შეიძლება გაიცეს „საბერძნეთის მოქალაქის ოჯახის წევრის ბინადრობის ნებართვა“.
- ბინადრობის ეს ნებართვა გაიცემა საბერძნეთის მოქალაქის იმ ოჯახის წევრზეც, რომელიც მესამე ქვეყნის მოქალაქეა და ფლობდა „საზღვარგარეთ მცხოვრები

თანამემამულის სპეციალურ პირადობის მოწმობას“, ან აქვს საერთაშორისო დაცვის ქვეშ მყოფი პირის სტატუსი;

- ინდივიდუალური ბინადრობის ნებართვა საბერძნეთის მოქალაქის ოჯახის წევრებზე გაიცემა დეცენტრალიზებული მმართველობის სამსახურის გადაწყვეტილებით, თუკი ეს პირები არ ქმნიან რისკებს საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოებისათვის. ყველა ზომა, მიღებული საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვის მიზნით, უნდა უკავშირდებოდეს მხოლოდ კონკრეტული პირის ქმედებას. ამ პირის ნასამართლეობა ავტომატურად არ ქმნის დამაბრკოლებელ გარემოებას ბინადრობის ნებართვის გასაცემად;
- ზემოხსენებული კატეგორიის ბინადრობის მოწმობა გაიცემა მესამე ქვეყნის იმ მოქალაქეებზეც, რომელთაც ჰქონდათ თანამემამულის სპეციალური პირადობის მოწმობა, როგორც თანამემამულის არაბერძენ მეუღლეებს; ასევე: საერთაშორისო დაცვის ქვეშ მყოფ პირებზე; და თავშესაფრის მაძიებლებზე, რომლებიც უკან გამოითხოვენ თავიანთ განცხადებას და დაადასტურებენ, რომ ოჯახის შექმნამდე საბერძნეთში ცხოვრობდნენ არანაკლებ 1 წლის განმავლობაში;
- საბერძნეთის მოქალაქის ოჯახის წევრმა ბინადრობის ნებართვის მისაღებად განცხადება დეცენტრალიზებული მმართველობის სამსახურში უნდა წარადგინოს საბერძნეთში შესვლიდან 3 თვის განმავლობაში, ან საბერძნეთის მოქალაქეზე დაქორწინებიდან 2 თვის განმავლობაში. ამასთან, განცხადებას უნდა დაერთოს დოკუმენტაცია, რომლითაც დასტურდება:
  - საბერძნეთის მოქალაქესთან ოჯახური კავშირი;
  - პირობების არსებობა საბერძნეთის მოქალაქის ან მისი მეუღლის (რომელიც მესამე ქვეყნის მოქალაქეა) მიერ ოჯახის წევრის მატერიალურად უზრუნველყოფისათვის.

- კერძოდ, წარმოდგენილი უნდა იყოს მტკიცებულებები, რომ: განმცხადებელზე მატერიალურად იზრუნებს საბერძნეთის ეს მოქალაქე; ან განმცხადებელი წარმოშობის ქვეყანაში საბერძნეთის მოქალაქესთან ერთად ცხოვრობდა; ანდა არსებობს ჯანმრთელობის სერიოზული პრობლემა, რის გამოც საბერძნეთის მოქალაქე იძულებულია, პირადად იზრუნოს განმცხადებელზე;
- ბინადრობის ზემოაღნიშნული ნებართვა 5-წლის ვადით გაიცემა. ამის შემდეგ, პირს შეუძლია მუდმივი ბინადრობის ნებართვის აღება, თუკი 5 წლის განმავლობაში, ყოველწლიურად, საბერძნეთი არ დაუტოვებია ა) 6 თვეზე მეტხანს ან ბ) მხოლოდ ერთხელ დატოვა არაუმეტეს 12 თვით, სამხედრო სავალდებულო სამსახურის ან ისეთი მიზეზის გამო, როგორიცაა ფეხმძიმობა და ბავშვის დაბადება, მძიმე დაავადება, განათლების მისაღებად ან პროფესიული კვალიფიკაციის ასამაღლებლად მივლინება ევროკავშირის სახელმწიფოსა თუ სხვა ქვეყანაში.

მუხლი 83. საბერძნეთში მუდმივი ბინადრობის ნებართვა

- საბერძნეთის მოქალაქის ოჯახის წევრებს, რომლებიც ამ მოქალაქესთან ერთად ლეგალურად და უწყვეტად 5 წლის მანძილზე ცხოვრობდნენ საბერძნეთში, აქვთ მუდმივი ბინადრობის ნებართვის მიღების უფლება. თუ საბერძნეთის მოქალაქის ოჯახის წევრები 5 წლის განმავლობაში 2 წელზე მეტხანს იმყოფებოდნენ საბერძნეთს გარეთ, ვეღარ შეძლებენ მუდმივი ბინადრობის ნებართვის მიღებას;
- საბერძნეთის მოქალაქის ოჯახის წევრმა, რომელსაც სურს მუდმივი ბინადრობის ნებართვის მიღება, შესაბამისი განცხადება უნდა შეიტანოს მოქმედი ბინადრობის ნებართვის ვადის გასვლამდე 2 თვით ადრე, ან საბერძნეთში შესვლის თარიღიდან 3 თვის ვადაში. თუ ბინადრობის ნებართვის ვადის გასვლიდან 1 წლის განმავლობაში შესაბამისი განაცხადი არ გაკეთდება, ასეთ პირს განცხადების შესატანად დაეკისრება ფულადი ჯარიმა 50 (ორმოცდაათი) ევროს ოდენობით;
- მუდმივ ბინადრობის ნებართვას გასცემს დეცენტრალიზებული მმართველობის

შესაბამისი სამსახური და მისი განახლება შესაძლებელია 10 წლით. ყველა ზომა, მიღებული საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვის მიზნით, უნდა უკავშირდებოდეს მხოლოდ კონკრეტული პირის ქმედებას. ამ პირის ნასამართლეობა ავტომატურად არ ქმნის დამაბრკოლებელ გარემოებას ბინადრობის ნებართვის გასაცემად;

- მუდმივი ბინადრობის ნებართვა უქმდება მხოლოდ მაშინ, თუ მისი მფლობელი უწყვეტად 2 წელზე მეტხანს არ იმყოფება საბერძნეთში.

მუხლი 84. ბინადრობის ნებართვის შენარჩუნების პირობები საბერძნეთის მოქალაქის ოჯახის წევრთათვის, რომლებიც მესამე ქვეყნის მოქალაქეები არიან

- საბერძნეთის მოქალაქის ოჯახის წევრებს ინდივიდუალური ბინადრობის ნებართვის მიღების უფლება ეძლევათ შემდეგ შემთხვევებში:
  - ✔ საბერძნეთის მოქალაქის გარდაცვალებისას, თუ ოჯახის წევრები მის გარდაცვალებამდე ცხოვრობდნენ საბერძნეთში არანაკლებ 1 წლის განმავლობაში;
  - ✔ განქორწინებასთან დაკავშირებული სასამართლო განხილვის დაწყებამდე, ქორწინების გაუქმებამდე ან ცოლქმრული თანაცხოვრების შეწყვეტამდე ქორწინება გრძელდებოდა არანაკლებ 3 წლის განმავლობაში და ამ წლებიდან ერთი მაინც წყვილმა საბერძნეთში გაატარა; ან შვილებზე მეურვეობა დაეკისრა საბერძნეთის მოქალაქის მეუღლეს, რომელიც მესამე ქვეყნის მოქალაქეა;
  - ✔ პირის მდგომარეობა არის გაუსაძლისი, მაგალითად, მესამე ქვეყნის მოქალაქის ოჯახის წევრი ქორწინების პერიოდში ოჯახური ძალადობის მსხვერპლია. ასეთ შემთხვევაში, ინდივიდუალური ბინადრობის ნებართვა გაიცემა 5 წლის ვადით და განახლების პერსპექტივით;
  - ✔ საბერძნეთის მოქალაქის მეუღლემ, რომელიც მესამე ქვეყნის მოქალაქეა, ოფიციალურად მოიპოვა საბერძნეთის ტერიტორიაზე არასრულწლოვან შვილთან ურთიერთობის უფლება გარკვეული ვადით.

- ზემოხსენებული კატეგორიის პირთა ბინადრობის ნებართვები რჩება ძალაში, თუ ისინი წარადგენენ ხელფასის, დამოუკიდებელი ეკონომიკური საქმიანობის ან სხვა შემოსავლის დამადასტურებელ დოკუმენტს. ეს შემოსავლები საკმარისი უნდა იყოს აღნიშნული პირისა და მისი ოჯახის წევრების უზრუნველსაყოფად, რათა მათ არ დასჭირდეთ საბერძნეთის სახელმწიფო სოციალური დახმარებით სარგებლობა. გარდა ამისა, ისინი უნდა ფლობდნენ ჯანმრთელობის დაზღვევის სრულ პაკეტს. ალტერნატიულად, ამ კატეგორიის მოქალაქეებმა უნდა დაადასტურონ, რომ საბერძნეთში შექმნეს ახალი ოჯახი პირთან, რომელიც აკმაყოფილებს ზემოთ მოცემულ მოთხოვნებს;
- საბერძნეთის მოქალაქის ოჯახის წევრმა, რომელიც აკმაყოფილებს წინამდებარე მუხლის ყველა წინაპირობას და სურს ქვეყანაში ინდივიდუალური ბინადრობის ნებართვის მოპოვება, შესაბამისი განცხადება, თანდართულ დოკუმენტებთან ერთად, უნდა წარადგინოს, საბერძნეთის მოქალაქესთან დაშორებიდან 2 თვის განმავლობაში. ინდივიდუალურ ბინადრობის ნებართვას აქვს 5-წლიანი (ხუთწლიანი) ვადა და მისი განახლება შესაძლებელია 5 წლით;
- მესამე ქვეყნის მოქალაქეებს, რომლებიც ლეგალურად ცხოვრობდნენ საბერძნეთში, მესამე ქვეყნის ან საბერძნეთის მოქალაქეზე დაქორწინების შემდეგ კი შეცვალეს ბინადრობის ნებართვის კატეგორია და მიიღეს ბინადრობის ნებართვა ოჯახის გაერთიანების მიზნით ანდა საბერძნეთის მოქალაქის ოჯახის წევრის სტატუსით, შეუძლიათ, დაიბრუნონ იმ კატეგორიის ნებართვა, რომელსაც ფლობდნენ ქორწინებამდე, თუ:
  - ✔ მესამე ქვეყნის ან საბერძნეთის მოქალაქე გარდაიცვლება, მისი ოჯახის წევრი კი არ აკმაყოფილებს პირობებს ინდივიდუალური ბინადრობის ნებართვის მისაღებად;

- სასამართლო გამოსცემს საბოლოო გადაწყვეტილებას განქორწინების ან ქორწინების გაუქმების შესახებ და მესამე ქვეყნის ან საბერძნეთის მოქალაქის ოჯახის წევრი არ აკმაყოფილებს პირობებს ინდივიდუალური ბინადრობის ნებართვის მისაღებად.

მუხლი 85. ზოგადი დებულებები საბერძნეთში ბინადრობის მუდმივი და ინდივიდუალური ნებართვების შესახებ

- მუდმივი და ინდივიდუალური ბინადრობის ნებართვები გაიცემა მოსაკრებლის გადახდის გარეშე;
- საბერძნეთში ლეგალურად მყოფი პირის, ქვეყნის მოქალაქის ან „თანამემამულის სპეციალური პირადობის მოწმობის“ მფლობელის მეუღლეს (მისი მოქალაქეობის მიუხედავად), ასევე, მათი დაღმავალი შტოს უახლოეს ნათესავებს, რომლებიც ფლობენ მუდმივი ბინადრობის ნებართვას, აქვთ დაქვემდებარებული (დაქირავებული) მუშაობისა და პროფესიული (დარგობრივი დიპლომის შესაბამისი) საქმიანობის უფლება;
- ნებისმიერ პირს, რომელიც ფლობს მუდმივ ან ინდივიდუალურ ბინადრობის ნებართვას, აქვს დაქვემდებარებული (დაქირავებული) მუშაობისა და პროფესიული (დარგობრივი დიპლომის შესაბამისი) საქმიანობის უფლება;
- საბერძნეთის მოქალაქის ოჯახის წევრები, რომლებიც მესამე ქვეყნის მოქალაქეები არიან, ევროკავშირის მოქალაქეთა თანასწორი უფლებებით სარგებლობენ, თუკი აქვთ საბერძნეთში ლეგალურად ცხოვრების უფლება.

მუხლი 86. ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის ან მისი მოქმედების შეჩერების მიზეზები

- ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის, მისი მოქმედების შეჩერების, ან განახლებაზე უარის გადაწყვეტილება შეიძლება მიიღონ მაშინ, თუკი:
  - საბერძნეთის შესაბამისი ორგანოს ოფიციალური დოკუმენტით ან სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებით გამოვლინდება, რომ განმცხადებელმა გამოიყენა ყალბი ან არასწორი ინფორმაცია, ფალსიფიცირებული დოკუმენტები, ან ნებისმიერი სახის უკანონო საშუალება, მაგალითად, ფიქტიური ქორწინება;
  - საბერძნეთის მოქალაქემ და მისმა ოჯახის წევრებმა შეწყვიტეს ფაქტიური თანაცხოვრება;
  - დადასტურდება, რომ ოჯახური კავშირი, განსაკუთრებით, ქორწინება, შვილად აყვანა ან აღიარება მიზნად ისახავდა ბინადრობის ნებართვის მიღებას წინამდებარე დებულებათა ბოროტად გამოყენების გზით. ოჯახური კავშირი ფიქტიურად ჩათვლება, თუ არ დასტურდება მისი წევრების თანაცხოვრება და ურთიერთკავშირი (მაგ.: მეუღლეებმა არ იციან ერთმანეთის ცხოვრებასთან დაკავშირებული დეტალები);
- ზემოხსენებულ შემთხვევებში, მესამე ქვეყნის მოქალაქეზე გაიცემა გადაწყვეტილება წარმოშობის ქვეყანაში სავალდებულო დაბრუნების შესახებ.

მუხლი 87. ბინადრობის ნებართვის გაცემა საბერძნეთის მოქალაქეების მშობლებსა და არასრულწლოვან და-ძმაზე

- დეცენტრალიზებული მმართველობის სამსახურის გადაწყვეტილებით, ბინადრობის ნებართვა შეიძლება გაიცეს საბერძნეთის არასრულწლოვანი მოქალაქეების მშობლებზე, რომლებიც ცხოვრობენ საბერძნეთში; ასეთივე ნებართვა გაიცემა საბერძნეთის მოქალაქის არასრულწლოვან და-ძმაზეც.

მუხლი 88. მესამე ქვეყნის მოქალაქეები, რომლებიც საბერძნეთში ლეგალურად ცხოვრობენ, მათ შორის, საერთაშორისო დაცვის ქვეშ მყოფი პირები

- ქვემოთ მოყვანილი დებულებები ვრცელდება მესამე ქვეყნის მოქალაქეებზე, რომლებიც ლეგალურად ცხოვრობენ საბერძნეთის ტერიტორიაზე; მათ შორის იმ პირებზეც, რომლებიც აკმაყოფილებენ მოთხოვნებს საერთაშორისო დაცვის სტატუსის მისაღებად;
- ეს დებულებები არ ვრცელდება მესამე ქვეყნის მოქალაქეებზე, თუკი:
  - მათი ბინადრობის ნებართვა გაცემულია განათლების მიღების ან კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით;
  - ბინადრობის ნებართვა გაცემულია ჰუმანიტარული დაცვის მიზეზით, ან პირი ელოდება გადაწყვეტილებას ამგვარი დაცვის მინიჭებაზე და, შესაბამისად, ფლობს დროებით ბინადრობის ნებართვას;
  - მათ საბერძნეთში ბინადრობის ნებართვა არ მიუღიათ საერთაშორისო დაცვის სტატუსის გამო;
  - შეტანილი აქვთ განცხადება საერთაშორისო დაცვის ქვეშ მყოფი პირის სტატუსის მინიჭებაზე და ელოდებიან შესაბამის გადაწყვეტილებას;
  - ამ პირებს და მათი ოჯახის წევრებს აქვთ დროებითი ბინადრობის ნებართვა.

მუხლი 89. გრძელვადიანი ბინადრობის ნებართვის მიღების პირობები

- მესამე ქვეყნის მოქალაქეს, რომელიც საბერძნეთში 5 (ხუთი) წლის მანძილზე ლეგალურად და უწყვეტად ცხოვრობს, შეიძლება მიენიჭოს გრძელვადიანი ბინადრობის ნებართვა, თუკი:
  - აქვს შემოსავალი, რომელიც სამყოფია საკუთარი და ოჯახის წევრების საჭიროებებისათვის და მას არ იღებს საბერძნეთის სახელმწიფო სოციალური დახმარების სისტემიდან. შემოსავლის ოდენობა არ შეიძლება იყოს მინიმალური ხელფასის მქონე დაქირავებული პირის წლიურ ანაზღაურებაზე ნაკლები და ამ თანხას 10%-ით უნდა აღემატებოდეს (უმუშევრობის შესაძლო დახმარების ჩათვლით) ოჯახის ყოველ წევრზე. შემოსავლის დათვლისას გასათვალისწინებელია ოჯახის წევრთა შენატანებიც მათ საერთო ბიუჯეტში. აღნიშნული შემოსავლის სტაბილურობა უნდა დასტურდებოდეს სადაზღვევო და საგადასახადო ქვითრებით;
  - პირს აქვს როგორც თავისი, ისე ოჯახის წევრთა ჯანმრთელობის დაზღვევის სრული პაკეტი;
  - იგი შეესაბამება ბერძნულ საზოგადოებაში ინტეგრირების პირობებს, როგორც განსაზღვრულია შემდგომი 90-ე მუხლით.

- ზემოაღნიშნული 5-წლიანი პერიოდის გამოთვლისას არ ითვალისწინებენ დროს,

რომლის განმავლობაშიც მესამე ქვეყნის მოქალაქე ფლობდა დროებით ბინადრობის ნებართვას. მისი გამოთვლისას ანგარიშობენ სწავლის ან პროფესიული მომზადების პერიოდის ნახევარს (მაგ.: თუ პირი ქვეყანაში სწავლობდა 2 წლის მანძილზე, 5-წლიან ვადაში ჩაეთვლება 1 წელი).

- საერთაშორისო დაცვის ქვეშ მყოფი პირისათვის ზემოხსენებულ 5-წლიან ვადაში ანგარიშდება ნახევარი იმ ჯამური პერიოდისა, რომელსაც ითვლიან საერთაშორისო დაცვის მოთხოვნაზე განაცხადის შეტანიდან შესაბამისი ბინადრობის ნებართვის მიღების თარიღამდე და ამ თარიღიდან გრძელვადიანი ბინადრობის ნებართვაზე განცხადების შეტანამდე, თუ ეს ნახევარი აღემატება 18 (თვრამეტ) თვეს;
- საბერძნეთში ყოფნის სავალდებულო 5-წლიანი პერიოდის გამოთვლისას, ქვეყნის გარეთ პირის ყოფნის პერიოდი არ უნდა აღემატებოდეს, ყოველ ჯერზე, 6 თვეს უწყვეტად და 10 თვეს - ჯამურად;
- საბერძნეთის შინაგან საქმეთა სამინისტრომ, გრძელვადიანი ბინადრობის ნებართვის გაცემაზე პასუხისმგებელ ორგანოებთან ერთად, დაინტერესებულ პირებს უნდა გააცნოს ამ ნებართვის მიღების წინაპირობები და პროცედურები, ასევე, მათი უფლებები და ვალდებულებები. ინფორმირება შესაძლებელია საინფორმაციო ბიულეტენებით, ვებგვერდებზე მასალის განთავსებით ან სხვა საშუალებებით. საერთაშორისო დაცვის ქვეშ მყოფი პირების ინფორმირებაზე ზრუნავს თავშესაფრის შესაბამისი სამსახურიც.

მუხლი 90. გრძელვადიანი ბინადრობის ნებართვის გაცემის პროცედურა

- ბერძნულ საზოგადოებაში ინტეგრირების მოთხოვნები დაკმაყოფილებულად ჩაითვლება, თუ დაინტერესებული პირი ფლობს რომელიმეს ამ დოკუმენტთაგან:
  - დამადასტურებელი დოკუმენტები ბერძნული ენის, ასევე, საბერძნეთის ისტორიისა და კულტურის ცოდნის შესახებ;
  - მუდმივი ბინადრობის ნებართვა საბერძნეთის მოქალაქის ოჯახის წევრის სტატუსით;
  - შესაბამისი რეკომენდაცია საბერძნეთის მოქალაქეობის მიღების კომისიიდან (ექვემდებარება შინაგან საქმეთა სამინისტროს);
  - საბერძნეთში 12-წლიანი (თორმეტწლიანი) ლეგალური ცხოვრების საბუთი;
  - თანამემამულის სპეციალური პირადობის მოწმობა.

- გრძელვადიანი ბინადრობის ნებართვა უნდა გასცეს იმავე ორგანომ, რომელმაც წინა ბინადრობის ნებართვა გასცა. საერთაშორისო დაცვის ქვეშ მყოფი პირისათვის ამ კატეგორიის ბინადრობის ნებართვას გასცემს დეცენტრალიზებული მმართველობის სამსახური. აღნიშნულმა პირმა გრძელვადიანი ბინადრობის ნებართვის მისაღებად თავშესაფრის შესაბამის სამსახურს უნდა ჩააბაროს საერთაშორისო დაცვის სტატუსით მიღებული ბინადრობის ნებართვა, რომელიც მოქმედებას შეწყვეტს ჩაბარების შემდეგ;
- თუ ადგილობრივი პოლიციის განყოფილება დაადასტურებს, რომ დაინტერესებული პირი არ უქმნის რისკებს საზოგადოებრივ წესრიგსა და უსაფრთხოებას, უფლებამოსილი ორგანო გამოსცემს გადაწყვეტილებას განცხადების შეტანიდან არაუგვიანეს 6 თვეში. ეს ვადა შეიძლება 3 თვით გაიზარდოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს დასაბუთებული განსაკუთრებული მიზეზი. დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში, მესამე ქვეყნის მოქალაქეზე გაიცემა საერთო ტიპის ბინადრობის ნებართვა და შესაბამის გრაფაში კატეგორიად მიეთითება „ევროკავშირის გრძელვადიანი მცხოვრები“.
- საერთაშორისო დაცვის ქვეშ მყოფი პირების შემთხვევაში, ბინადრობის ნებართვაში აღინიშნება: „საბერძნეთის რესპუბლიკის მიერ გაცემულია საერთაშორისო დაცვა (თარიღი)“;
- გრძელვადიანი ბინადრობის ნებართვის მოქმედების ვადა 5 წელია. იგი ყოველ ჯერზე 5 წლით განახლდება. ამ კატეგორიის ბინადრობის ნებართვის განახლებისათვის, დაინტერესებულმა პირმა განცხადება უნდა წარადგინოს წინა ბინადრობის ნებართვის ვადის გასვლამდე.

მუხლი 92. გრძელვადიან ბინადრობის ნებართვაზე უარი საზოგადოებრივი წესრიგისა ან სახელმწიფო უსაფრთხოებისათვის რისკების შექმნის მიზეზით

- გრძელვადიან ბინადრობის ნებართვაზე უარი შეიძლება გამოწვეული იყოს საზოგადოებრივი წესრიგის ან სახელმწიფო უსაფრთხოების დაცვით;
- წინასწარ დადგენა, უქმნის თუ არა რისკებს მესამე ქვეყნის მოქალაქე საბერძნეთის საზოგადოებრივ წესრიგსა და სახელმწიფო უსაფრთხოებას, ერთ-ერთი წინაპირობაა ამ მოქალაქის მიერ გრძელვადიანი ბინადრობის ნებართვაზე წარდგენილი განცხადების განსახილველად;
- შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებისას მოწმდება პირის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმე (თუკი ასეთი გარემოება არსებობს) და ფასდება, რა საფრთხეს წარმოადგენს იგი ბერძნული საზოგადოებისათვის.

მუხლი 93. გრძელვადიანი ბინადრობის ნებართვის მოქმედების შეჩერების ან მისი გაუქმების მიზეზები

- გრძელვადიანი ბინადრობის ნებართვის მოქმედება შეიძლება შეჩერდეს ან გაუქმდეს, თუკი:
  - ✔ აღმოჩნდება, რომ მესამე ქვეყნის მოქალაქემ მიზანმიმართულად იცრუა, ან გააყალბა დოკუმენტები ბინადრობის ნებართვის მისაღებად;
  - ✔ მესამე ქვეყნის მოქალაქეზე გაიცა სამშობლოში სავალდებულო დაბრუნების (მაგ.: დეპორტაციის) გადაწყვეტილება;
  - ✔ მესამე ქვეყნის მოქალაქემ ევროკავშირის ტერიტორია 12 თვით ან უფრო მეტი ხნით დატოვა;
  - ✔ მესამე ქვეყნის მოქალაქე ქმნის რისკებს სახელმწიფო უსფრთხოებისათვის. ასეთ დროს შეფასდება ჩადენილი დანაშაულის სიმძიმე, თუნდაც ის არ გახდეს ამ პირის დეპორტაციის მიზეზი;
  - ✔ აღმოჩნდება, რომ მესამე ქვეყნის მოქალაქე ფლობს ევროკავშირის წევრი სხვა ქვეყნის მიერ გაცემულ გრძელვადიან ბინადრობის ნებართვას;
  - ✔ დადგინდება, რომ მესამე ქვეყნის მოქალაქე არ იმყოფებოდა საბერძნეთის ტერიტორიაზე 6 წელზე მეტხანს;
  - ✔ გაუქმდება საერთაშორისო დაცვის ქვეშ მყოფი პირის სტატუსი, ან არ დაკმაყოფილდება განცხადება ამ სტატუსის განახლებაზე.

- გრძელვადიანი ბინადრობის ნებართვის მოქმედების შეჩერება ავტომატურად არ იწვევს მესამე ქვეყნის მოქალაქის დეპორტაციას და მას შეუძლია განცხადების შეტანა ბინადრობის სხვა კატეგორიის ნებართვაზე, გარდა გრძელვადიანისა. თუ გრძელვადიანი ბინადრობის ნებართვის მოქმედება შეჩერდება და მის მფლობელს აქვს საერთაშორისო დაცვის ქვეშ მყოფი პირის სტატუსი, თავშესაფრის შესაბამისი სამსახური გასცემს წინა კატეგორიის ბინადრობის ნებართვას.

მუხლი 94. ხელახალი გრძელვადიანი ბინადრობის ნებართვის მიღების პროცედურა

- მესამე ქვეყნის მოქალაქემ შეიძლება მოითხოვოს გრძელვადიანი ბინადრობის ნებართვის ხელახლა მიღება, თუ ის გაუუქმდა იმის გამო, რომ:
  - ✔ ევროკავშირის ტერიტორიაზე არ იმყოფებოდა 12 თვის ან უფრო მეტი ხნის განმავლობაში; ან
  - ✔ ანალოგიური ბინადრობის ნებართვა მიღებული აქვს ევროკავშირის წევრ სხვა ქვეყანაში.

- ბინადრობის ხელახალი ნებართვის მისაღებად, მესამე ქვეყნის მოქალაქეს განცხადება შეაქვს იმ ორგანოში, რომელმაც გასცა პირველადი გრძელვადიანი ბინადრობის ნებართვა.

მუხლი 95. წარმოშობის ქვეყანაში დაბრუნების ვალდებულება (მათ შორის, დეპორტაციისა და რეადმისიის გზით)

- მესამე ქვეყნის მოქალაქის დაბრუნება წარმოშობის ქვეყანაში დაშვებულია ამ მოქალაქის მიერ გრძელვადიანი ბინადრობის ნებართვის ფლობის პირობებშიც, თუკი ეს პირი დასაბუთებულ რისკს წარმოადგენს საზოგადოებრივი წესრიგის ან სახელმწიფო უსაფრთხოებისათვის;
- მესამე ქვეყნის მოქალაქის წარმოშობის ქვეყანაში დაბრუნებაზე გადაწყვეტილების მიღებისას გასათვალისწინებელია:
  - ✔ ამ პირის საბერძნეთში ყოფნის ხანგრძლივობა;
  - ✔ მესამე ქვეყნის მოქალაქის წარმოშობის ქვეყანაში დაბრუნების გავლენა მასზე და მისი ოჯახის წევრებზე;
  - ✔ ამ პირის მჭიდრო კავშირი საბერძნეთთან, ან კავშირის არქონა წარმოშობის ქვეყანასთან;
  - ✔ მისი ასაკი.

- თუ წარმოშობის ქვეყანაში დაბრუნების პროცესი ეხება საერთაშორისო დაცვის ქვეშ მყოფ პირს და დადასტურდება, რომ მას მართლაც მინიჭებული აქვს თავშესაფარი ევროკავშირის სხვა წევრ სახელმწიფოში ან რომელიმე მესამე ქვეყანაში, იგი ვალდებულია, დაბრუნდეს თავშესაფრის გამცემ ქვეყანაში;
- თუ ევროკავშირის წევრ ქვეყანას სურს, საბერძნეთში დააბრუნოს მესამე ქვეყნის მოქალაქე, რომელსაც საბერძნეთში მიენიჭა საერთაშორისო დაცვის ქვეშ მყოფი პირის სტატუსი, ოჯახის ერთიანობის პრინციპის დაცვით, მესამე ქვეყნის მოქალაქეს და მისი ოჯახის წევრებს ეძლევათ საბერძნეთში დაბრუნების საშუალება.

მუხლი 96. გრძელვადიანი ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის, მისი მოქმედების შეჩერების, ან წარმოშობის ქვეყანაში დაბრუნების გადაწყვეტილების გასაჩივრება

- გრძელვადიანი ბინადრობის ნებართვის განცხადებაზე უარი, მისი მოქმედების შეჩერება, ან წარმოშობის ქვეყანაში იძულებით დაბრუნების გადაწყვეტილება უნდა იყოს დასაბუთებული. ასეთი გადაწყვეტილების შესახებ გამოცემული დოკუმენტი ითვალისწინებს განმცხადებლის უფლებებს, ასევე, გადაწყვეტილების აღსრულებისა და ადმინისტრაციულ სასამართლოში გასაჩივრების ვადებს;
- წარმოშობის ქვეყანაში იძულებით დაბრუნების გადაწყვეტილებისათვის კანონიერ საშუალებათა დასაპირისპირებლად, გრძელვადიანი ბინადრობის ნებართვის მფლობელი პირი, სასამართლო საქმისწარმოებისთვის აუცილებელი სახსრების უქონლობის შემთხვევაში, მიიღებს შესაბამის იურიდიულ დახმარებას.

მუხლი 97. გრძელვადიანი ბინადრობის ნებართვის მფლობელთა უფლებები და ვალდებულებები

- გრძელვადიანი ბინადრობის ნებართვის მფლობელი სარგებლობს იმავე უფლებებით, რომლითაც საბერძნეთის მოქალაქეები, კერძოდ, შემდეგ საკითხებთან მიმართებით:
  - ანაზღაურებადი სამუშაო, დასაქმება და სამუშაო პირობები, სამსახურიდან გათავისუფლება; თუმცა, ამ კატეგორიის პირი ვერ დაიკავებს ხელმძღვანელ თანამდებობას საბერძნეთის საჯარო სამსახურში;
  - განათლება, პროფესიული მომზადება, სასწავლო სტიპენდიების მიღება;
  - პროფესიული დიპლომების, განათლების მოწმობებისა და სხვა ატესტატების აღიარება;
  - სოციალური დაზღვევა და სოციალური დახმარება;
  - საგადასახადო შეღავათები, მათ შორის, უძრავ ქონებასთან (საცხოვრებელი სახლი) დაკავშირებით, თუკი ეს ქონება მისი პირველი შენაძენია საბერძნეთში;
  - თავშესაფრისა და პირველადი საჭიროების ნივთების მიღება;
  - კოოპერატივსა ან სხვა სახის ამხანაგობაში გაერთიანების უფლება, დასაქმებულთა ან დამსაქმებელთა ორგანიზაციებში გაწევრიანება;
  - საბერძნეთის მთელ ტერიტორიაზე თავისუფალი გადაადგილებისა და ბინადრობის უფლება.

- ზემოაღწერილი უფლებები ძალაშია, თუ გრძელვადიანი ბინადრობის ნებართვის მფლობელი ან მისი ის ოჯახის წევრები იმყოფებიან საბერძნეთის ტერიტორიაზე;
- ზემოაღწერილი უფლებები იზღუდება შემდეგ საკითხებთან მიმართებით:
  - წვდომა იმ ანაზღაურებად ან არაანაზღურებად საქმიანობაზე, რომელიც განკუთვნილია მხოლოდ საბერძნეთის, ევროკავშირის ან ევროპული ეკონომიკური ზონის მოქალაქეებისათვის;
  - წვდომა განათლებასა და პროფესიულ მომზადებაზე, რაც შეიძლება საჭიროებდეს ბერძნული ენის შესაბამის დონეზე ფლობას მესამე ქვეყნის მოქალაქის მიერ;
  - უმაღლესი განათლების დაწესებულებებში, უნივერსიტეტებსა და პროფესიულ სასწავლებლებში ჩარიცხვა, რისთვისაც მოითხოვება განათლების შესაბამისი დონე.

მუხლი 98. ევროკავშირის წევრ სხვა ქვეყანაში მიღებული გრძელვადიანი ბინადრობის ნებართვით საბერძნეთში ცხოვრების უფლება

- გრძელვადიანი ბინადრობის ნებართვის მფლობელს, რომელმაც ეს უფლება მიიღო არა საბერძნეთში, არამედ ევროკავშირის წევრ სხვა ქვეყანაში, შეუძლია გარკვეული პირობებით 3 თვეზე მეტხანს დარჩენა საბერძნეთში, თუკი არსებობს შემდეგი მიზეზები:
  - დაქვემდებარებული (დაქირავებული) სამუშაოს შესრულება. ამ შემთხვევაში პირს უნდა ჰქონდეს სამუშაო კონტრაქტი, რომლის მიხედვითაც მისი ანაზღაურება ე.წ. არაკვალიფიციური მუშის თვიურ ხელფასზე (684 ევრო) ნაკლები არ არის;
  - მოხალისედ ანუ ანაზღაურების გარეშე მუშაობა. წინამდებარე კანონის დებულებები ვრცელდება ეკონომიკურად დამოუკიდებელ პირთათვის ბინადრობის ნებართვების გაცემის პროცედურასა და მოთხოვნებზე;
  - განათლების მიღება. ამ შემთხვევაში, გრძელვადიანი ბინადრობის ნებართვის მფლობელი უნდა ირიცხებოდეს შესაბამის საგანმანათლებლო დაწესებულებაში;
  - პროფესიული მომზადება. ამისათვის, გრძელვადიანი ბინადრობის ნებართვის მფლობელი უნდა ირიცხებოდეს პროფესიულ სასწავლებელში და მის სახელზე გაცემული იყოს განათლებისა და რელიგიის სამინისტროს სათანადო ნებართვა.

- ზემოაღნიშნულ შემთხვევებში ბინადრობის ნებართვის გაცემისათვის, საჭიროა დადასტურდეს, რომ დაინტერესებულ პირს აქვს:
  - სტაბილური შემოსავალი საბერძნეთში ყოფნის ხარჯების დასაფარავად;
  - ჯანმრთელობის დაზღვევა, რომელიც შეესაბამება საბერძნეთის მოქალაქეთა დაზღვევას.

- ამ ბინადრობის ნებართვის მისაღებად, განცხადება, საჭირო დოკუმენტაციასთან ერთად, უნდა წარედგინოს საბერძნეთში შესვლიდან არაუგვიანეს 3 თვის ვადაში. ბინადრობის ნებართვის გაცემის განცხადებას შეისწავლის დეცენტრალიზებული მმართველობის სამსახური. თუ პირი არ უქმნის რისკებს საზოგადოებრივ წესრიგს, სახელმწიფო უსაფრთხოებასა და ჯანდაცვას, მასზე შეიძლება გაიცეს შესაბამისი ბინადრობის ნებართვა;
- განცხადების შემოწმების ვადა 4 თვეა. თუ მას თან ერთვის არასრული დოკუმენტაცია, ან არსებობს განსაკუთრებული მიზეზები, ეს ვადა შეიძლება კიდევ 3 თვით გაგრძელდეს;
- წინამდებარე დებულებები არ ვრცელდება იმ ორგანიზაციებში დასაქმებულ მესამე ქვეყნის მოქალაქეებზე (ევროკავშირის წევრ სხვა ქვეყანაში გაცემული გრძელვადიანი ბინადრობის ნებართვის მფლობელები), რომელთა საქმიანობაც ვრცელდება ევროკავშირის წევრი 2 ან მეტი ქვეყნის ტერიტორიაზე;
- ევროკავშირის წევრ სხვა ქვეყანაში მყოფ მესამე ქვეყნის მოქალაქეებს, რომლებიც ფლობენ გრძელვადიან ბინადრობის ნებართვას, შეუძლიათ საბერძნეთში შემოსვლა სეზონური სამუშაოს შესასრულებლად;
- მესამე ქვეყნის მოქალაქეებზე, რომლებიც ფლობენ ევროკავშირის წევრ სხვა ქვეყანაში გაცემულ გრძელვადიან ბინადრობის ნებართვას და საბერძნეთში ცხოვრობენ და სარგებლობენ ადგილობრივი სოციალური დაზღვევით, დაზღვევის სფეროში ვრცელდება ევროკავშირის კანონმდებლობა.

მუხლი 99. მესამე ქვეყნის მოქალაქის ოჯახის წევრები, რომელიც ფლობს ევროკავშირის წევრ სხვა ქვეყანაში გაცემულ გრძელვადიან ბინადრობის ნებართვას

- მესამე ქვეყნის მოქალაქეს, რომელზეც გრძელვადიანი ბინადრობის ნებართვა გაცემულია ევროკავშირის წევრ სხვა ქვეყანაში, საბერძნეთში შეიძლება ახლდნენ ოჯახის წევრები, თუ მათი გაერთიანება მოხდა ხსენებულ ევროკავშირის წევრ ქვეყანაში. ოჯახის ამ წევრებს ბინადრობის ნებართვის მოსაპოვებლად განცხადება შეაქვთ საბერძნეთში შესვლიდან არაუგვიანეს 3 თვის ვადაში;
- თუ არ არსებობს საზოგადოებრივი წესრიგის, სახელმწიფო უსაფრთხოების ან ჯანდაცვის საფრთხე, ოჯახის წევრებზე ბინადრობის ნებართვები გაიცემა მესამე ქვეყნის ამ მოქალაქის ბინადრობის ნებართვის შესაბამისად;
- განცხადების შემოწმების პროცედურა 4 თვეა. თუ მას თან ერთვის არასრული დოკუმენტაცია, ან არსებობს განსაკუთრებული მიზეზები, ვადა შეიძლება გაგრძელდეს კიდევ 3 თვით;
- თუ ოჯახი შეიქმნება მას შემდეგ, რაც მესამე ქვეყნის მოქალაქე მიიღებს საბერძნეთში ბინადრობის ნებართვას, მოქმედებს 69-77 მუხლების დებულებები.

მუხლი 100. ევროკავშირის წევრ სხვა ქვეყანაში მიღებული გრძელვადიანი ბინადრობის ნებართვის საფუძველზე საბერძნეთში ბინადრობის ნებართვაზე უარი, საზოგადოებრივი წესრიგის, სახელმწიფო უსაფრთხოების ან ჯანდაცვისათვის რისკების შექმნის მიზეზით

- საზოგადოებრივი წესრიგისა და სახელმწიფო უსაფრთხოების რისკების შესწავლა მთავარი მოთხოვნაა ამ ბინადრობის ნებართვაზე განცხადების განხილვისათვის;
- სათანადო შემოწმებისას შეფასდება განმცხადებლის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმე (თუკი ასეთი გარემოება არსებობს). შემოწმება შესაბამისმა სამსახურებმა შეიძლება ჩაატარონ საეჭვო ინფორმაციის მიღებისას;
- დაავადებათა კატეგორია, რომელთა გამოც შეიძლება უარი ითქვას საბერძნეთში შესვლასა ან ბინადრობის ნებართვაზე, განსაზღვრულია ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ. აქვე იგულისხმება ინფექციური, გადამდები ან პარაზიტული დაავადებები. თუ მესამე ქვეყნის მოქალაქე დაავადდა საბერძნეთში შესვლის შემდეგ, ეს ფაქტორი ვერ იქნება ბინადრობის ნებართვის განახლებაზე უარის ან პირის საბერძნეთიდან გაძევების მიზეზი.

მუხლი 101. ევროკავშირის წევრ სხვა ქვეყანაში მიღებული ბინადრობის გრძელვადიანი ნებართვის საფუძველზე საბერძნეთში ბინადრობის ნებართვის უფლებები და მოვალეობები

- ამ კატეგორიის პირები საბერძნეთის მოქალაქეების მსგავსი უფლებებით სარგებლობენ 97-ე მუხლით განსაზღვრულ სფეროებში;
- ამ კატეგორიის პირებს, რომლებიც საბერძნეთში ანაზღაურებად დარგობრივ სამუშაოს ასრულებენ, არა აქვთ უფლება, დასაქმების პირველი 12 თვის განმავლობაში იმუშაონ იმ დარგისგან განსხვავებულ სფეროში, რისთვისაც მიიღეს პირველადი ბინადრობის ნებართვა;
- განათლების მიზნით საბერძნეთში შემოსულ მესამე ქვეყნის მოქალაქეებს აქვთ

ნახევარგანაკვეთიანი (4 საათი) სამუშაოს შესრულების უფლება;

- ამ კატეგორიის პირთა ოჯახის წევრებს აქვთ აღნიშნული პირების მსგავსი უფლებები და ვალდებულებები, როგორც განსაზღვრულია 75-ე მუხლით.

მუხლი 103. ევროკავშირის წევრ სხვა ქვეყანაში მიღებული გრძელვადიანი ბინადრობის ნებართვის საფუძველზე, საბერძნეთში გრძელვადიანი ბინადრობის ნებართვის მიღება

მესამე ქვეყნის მოქალაქეს, რომელსაც გრძელვადიანი ბინადრობის ნებართვა მიღებული აქვს ევროკავშირის წევრ სხვა ქვეყანაში და ლეგალურად ცხოვრობს საბერძნეთში, შეუძლია განცხადების შეტანა საბერძნეთში გრძელვადიანი ბინადრობის ნებართვის მისაღებად, 98-ე მუხლის პირობებისა და დებულებების შესაბამისად.

მუხლი 105. გრძელვადიან ბინადრობის ნებართვებთან დაკავშირებული სპეციალური დებულებები

მესამე ქვეყნის მოქალაქეები, რომლებიც ფლობენ 10-წლიან ან უვადო ბინადრობის ნებართვას (ეს უკანასკნელი გაუქმებულია 2016 წლიდან და მფლობელებმა უნდა გადაცვალონ ბინადრობის 10-წლიან ნებართვაზე), ვერ სარგებლობენ იმ უფლებებით, რომლებიც აქვთ გრძელვადიანი ბინადრობის ნებართვის მფლობელებს (მაგ.: ევროკავშირის წევრ სხვა ქვეყნებში მუშაობის უფლება), ამ კანონის 88-103 მუხლების შესაბამისად.

მუხლი 107. ბერძნული ენის, ისტორიისა და კულტურის სათანადო ცოდნის აუცილებლობა გრძელვადიანი ბინადრობის ნებართვის მისაღებად

- ბერძნული ენის, ისტორიისა და კულტურის სათანადო ცოდნა უნდა დასტურდებოდეს შემდეგი დოკუმენტებით:
  - საბერძნეთში ზოგადი განათლების (გიმნასიო) ბერძნული სკოლების დასრულების ატესტატი;
  - უცხოეთში მოქმედი ბერძნული საშუალო სკოლების ატესტატი;
  - საზღვარგარეთის უნივერსიტეტებში ბერძნული ენის კურსის დასრულების დიპლომი;
  - ბერძნული ენის სერტიფიკატი, არანაკლებ B1-ის დონისა;
  - ბერძნული ენის, ისტორიისა და კულტურის სათანადო ცოდნის დამადასტურებელი სერტიფიკატი, რომელიც მიღებულია შესაბამისი გამოცდის წარმატებით ჩაბარების შედეგად და ეს გამოცდა ჩატარდა განათლებისა და რელიგიურ საკითხთა სამინისტროს ზედამხედველობით.

- ბერძნული ენის ცოდნის A დონის სერტიფიკატი, ასევე A2 დონის სერტიფიკატი ჩაითვლება ბერძნული ენის, ისტორიისა და კულტურის სათანადო ცოდნის დამადასტურებლად, თუკი მათი მფლობელები დამატებით წარადგენენ ბერძნული ისტორიისა და კულტურის ცოდნის სპეციალურ სერტიფიკატს, გაცემულს შინაგან საქმეთა, ფინანსთა და განათლებისა და რელიგიის მინისტრების შესაბამისი გადაწყვეტილებებით, რომლებიც

გამოქვეყნებულია მთავრობის გაზეთში. სერტიფიკატის ასაღებად საჭიროა შესაბამისი მოსაკრებლის გადახდა;

- ბერძნული ენის ცოდნის სასერტიფიკატო გამოცდებში მონაწილეობა შეუძლია მესამე ქვეყნის ნებისმიერ მოქალაქეს, რომელიც ლეგალურად იმყოფება საბერძნეთში;
- ამ პროცედურაში, გამონაკლისის სახით, შესაძლოა არ მონაწილეობდნენ გრძელვადიანი ბინადრობის ნებართვის მფლობელი მესამე ქვეყნის მოქალაქეები, რომლებმაც წარმატებით გაიარეს ბერძნული ენის ისტორიისა და კულტურის სპეციალიზებული კურსები, განსაკუთრებით, ბერძნულ საზოგადოებაში ინტეგრირების პროგრამების ფარგლებში.

მუხლი 108. ე.წ. „მეორე თაობის“ ბინადრობის ნებართვა

- მესამე ქვეყნის სრულწლოვან მოქალაქეებზე, რომლებიც საბერძნეთში დაიბადნენ, ან წარმატებით დაასრულეს ბერძნული საშუალო სკოლის 6 კლასი, შესაბამისი დოკუმენტების წარმოდგენის შემთხვევაში, 21 წლის შესრულებამდე გაიცემა ბინადრობის ნებართვა: 5-წლიანი - თუკი კანონიერად იმყოფებიან საბერძნეთში, და 1-წლიანი - თუ ქვეყანაში უკანონოდ არიან. ასეთ პირებს ენიჭებათ იგივე უფლებები, რაც აქვთ საბერძნეთში გრძელვადიანი ბინადრობის ნებართვის მფლობელებს;
- ამ კატეგორიის ბინადრობის ნებართვა ყოველ ჯერზე განახლდება 5-წლით, წინა ბინადრობის ნებართვის წარდგენის შემთხვევაში;
- ეს ნებართვა მისი მოქმედების პერიოდში შეიძლება ნებისმიერ დროს შეიცვალოს გრძელვადიანი ბინადრობის ნებართვით;
- ბინადრობის ამ კატეგორიის ნებართვა უქმდება ან არ განახლდება, თუკი:
  - მესამე ქვეყნის მოქალაქე მიზანმიმართულად იცრუებს ან გააყალბებს დოკუმენტებს ბინადრობის ნებართვის მისაღებად;
  - მესამე ქვეყნის მოქალაქეზე გაიცემა სამშობლოში სავალდებულო დაბრუნების (მაგ.: დეპორტაციის) გადაწყვეტილება;
  - მესამე ქვეყნის მოქალაქე ევროკავშირის ტერიტორიას დატოვებს 12 თვით ან მეტი ხნით;
  - მესამე ქვეყნის მოქალაქე ქმნის რისკებს სახელმწიფო უსფრთხოებისათვის; ასეთ დროს შეფასდება ჩადენილი დანაშაულების სიმძიმე, თუნდაც ის არ გახდეს ამ პირის დეპორტაციის მიზეზი;
  - მესამე ქვეყნის მოქალაქე ფლობს გრძელვადიან ბინადრობის ნებართვას, რომელიც გაცემულია ევროკავშირის წევრ სხვა ქვეყანაში;
  - მესამე ქვეყნის მოქალაქე არ იმყოფებოდა საბერძნეთის ტერიტორიაზე 6 წელზე მეტხანს;
  - მესამე ქვეყნის მოქალაქეს გაუუქმდება საერთაშორისო დაცვის ქვეშ მყოფი პირის სტატუსი, ან არ დაკმაყოფილდება მისი განაცხადი ამ სტატუსის განახლებაზე.

კანონი N 4251/2014-ის დამატებითი მუხლი „19ა“: ბინადრობის ნებართვის მიღება ე.წ. „ჰუმანიტარული“ მიზეზების გამო

- შინაგან საქმეთა და ადმინისტრაციული რეკონსტრუქციის მინისტრის გადაწყვეტილებით, ბინადრობის ნებართვა ე.წ. „ჰუმანიტარული მიზეზების გამო“ გაიცემა მესამე ქვეყნის მოქალაქეებზე, რომლებიც ცხოვრობენ საბერძნეთში და განეკუთვნებიან შემდეგ კატეგორიებს:
  - **ტრეფიკინგის მსხვერპლნი, რომლებზეც არ ვრცელდება N 4251/2014 კანონის 49-54 მუხლების დებულებები** - იმის გამო, რომ არ აკმაყოფილებენ ზემოხსენებულ პირობებს, პირველი ინსტანციის პროკურორის შესაბამისი რეკომენდაციის შემთხვევაში, მათ შეიძლება მიეცეთ ერთწლიანი ბინადრობის ნებართვა. ამ ნებართვის საფუძველზე, მფლობელს ეძლევა მუშაობის (დაქირავებული) უფლება. სისხლის სამართლის შესაბამისი საქმისწარმოების მიმდინარეობის შემთხვევაში ბინადრობის ნებართვის მოქმედება შეიძლება გაგრძელდეს 2 წლით, თუ საქმისწარმოება დასრულებულია - 1 წლით;
  - **დანაშაულის მსხვერპლნი და ძირითადი მოწმეები სასამართლო პროცესებზე** - როცა ჩადენილი დანაშაული მიეკუთვნება მძიმე დანაშაულთა კატეგორიას და უკავშირდება სიცოცხლის, ჯანმრთელობის ან ქონების ხელყოფას, ასევე, პირადი თავისუფლების შეზღუდვას ან სექსუალურ ძალადობას, და საქმეზე დაწყებული გამოძიება ან სისხლისსამართლებრივი დევნა არ დასრულებულა, ან სასამართლოს არ გამოუტანია საბოლოო გადაწყვეტილება. ამასთან, ამ პირების (დანაშაულის მსხვერპლისა და ძირითადი მოწმეების) კავშირს საქმესთან უნდა ამტკიცებდეს პროკურორის შესაბამისი გადაწყვეტილება, რომელიც იგზავნება შინაგან საქმეთა სამინისტროს საემიგრაციო პოლიტიკის დეპარტამენტში. თუ ხსენებული პირები საჭიროებენ მკურნალობას, ბინადრობის ნებართვა გაიცემა მკურნალობის სრული პერიოდის ვადით. პირველადი ბინადრობის ნებართვა ერთწლიანია და მფლობელს აქვს მუშაობის (დაქირავებული) უფლება. ის შეიძლება გაგრძელდეს არაუმეტეს 2 წლით ყოველ ჯერზე;
  - **ოჯახში ძალადობის მსხვერპლნი** - პირველადი ბინადრობის ნებართვა ერთწლიანია და შეიძლება გაგრძელდეს არაუმეტეს 2 წლით ყოველ ჯერზე. იმავე ვადით გაიცემა ბინადრობის ნებართვა ოჯახში ძალადობის მსხვერპლის არასრულწლოვან შვილებზე, ან ოჯახში ძალადობის არასრულწლოვანი მსხვერპლის მეურვეზე, თუ მას დანაშაული არ ჩაუდენია. ამ კატეგორიის სრულწლოვან პირებს აქვთ მუშაობის (დაქირავებული) უფლება;
  - **მესამე ქვეყნის მოქალაქეები, რომლებიც დასაქმებულნი იყვნენ სრულწლოვანების მიღწევამდე, ან განსაკუთრებულად მძიმე სამუშაოზე** - სამუშაოს ასრულებდნენ ისეთ გარემოებებში, რომლებიც არ შეესაბამება ლეგალურად მუშაობის პირობებს, აზიანებს დასაქმებული პირის ჯანმრთელობას და შეურაცხჰყოფს ადამიანის ღირსებას. ამავე კატეგორიას განეკუთვნებიან გენდერული დისკრიმინაციის მსხვერპლნიც;
  - **პირები, რომლებიც მკურნალობენ ფსიქიკურ აშლილობას,** რაც დასტურდება პროგრამის ხელმძღვანელის წერილობითი ცნობის საფუძველზე. პირველადი ბინადრობის ნებართვა გაიცემა 1 წლის ვადით და მფლობელს აქვს მუშაობის (დაქირავებული) უფლება. ის შეიძლება გაგრძელდეს არაუმეტეს 2 წლით ყოველ ჯერზე;
  - **მესამე ქვეყნის მოქალაქეები, რომელთაც, ობიექტური მიზეზებით, არ შეუძლიათ საბერძნეთის დატოვება** და სამშობლოში ან სხვა ქვეყანაში მუდმივ საცხოვრებელ ადგილზე დაბრუნება. ასეთი მიზეზები შეიძლება იყოს: საკუთარი ან ოჯახის წევრის ჯანმრთელობის მძიმე მდგომარეობა; წარმოშობის ქვეყნის საერთაშორისო ბლოკადა; ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებებისთვის შექმნილი რისკი; და წამებისა და სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის სხვა ფორმების საფრთხე, რომელთა საფუძველზეც, საერთაშორისო პრაქტიკით, ამ კატეგორიის პირს წარმოშობის ქვეყანაში არ აბრუნებენ;

- **საბერძნეთის არასრულწლოვანი მოქალაქის მშობელი, რომელიც მესამე ქვეყნის მოქალაქეა** - ამ კატეგორიის ბინადრობის ნებართვის ვადა ერთწლიანია და მფლობელს ანიჭებს მუშაობის (დაქირავებული) უფლებას. შვილსა და მშობელს შორის ნათესაური კავშირის დასადგენად, კომპენტენტურმა ორგანომ შეიძლება ჩაატაროს შესაბამისი მოკვლევა.

- თავშესაფრის მაძიებელ მესამე ქვეყნის მოქალაქეზე ბინადრობის ნებართვა გაიცემა შემდეგი კატეგორიების შემთხვევაში:
  - სრულწლოვანი პირები, რომლებიც, ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, ვერ ახერხებენ საკუთარი თავის მოვლას; ასევე, არასრულწლოვნები, რომლებიც დადასტურებულად საჭიროებენ ზრუნვას და მას იღებენ საქველმოქმედო ფონდისა ან იურიდიული პირისაგან, ხოლო მათი წარმოშობის ქვეყანაში (სამშობლოში) არ არის უსაფრთხო გარემო. პირველადი ბინადრობის ნებართვა გაიცემა 2 წლის ვადით და შეიძლება გაგრძელდეს არაუმეტეს 2 წლით ყოველ ჯერზე;
  - არასრულწლოვნები, რომლებზე მეურვეობაც საბერძნეთის სასამართლოს ან საბერძნეთის მიერ აღიარებული მესამე ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილებით, მიენიჭა საბერძნეთის მოქალაქის ან საბერძნეთში ლეგალურად მცხოვრები მესამე ქვეყნის მოქალაქის ოჯახს, ანდა პირს, რომელთან მიმართებითაც საბერძნეთის კომპეტენტურ ორგანოში დაწყებულია ამ არასრულწლოვნის შვილად აყვანის პროცედურა. პირველადი ბინადრობის ნებართვა გაიცემა 2 წლის ვადით და შეიძლება გაგრძელდეს არაუმეტეს 2 წლით ყოველ ჯერზე;
  - საწარმოო ტრავმისა და სხვა უბედური შემთხვევების მსხვერპლნი - პირებზე, რომლებსაც, ბერძნული კანონმდებლობის მიხედვით, ეკუთვნით მკურნალობის ხარჯების დაფარვა, ან შესაძლებელია შესაბამის პენსიის გაცემა, პირველადი ბინადრობის ნებართვა გაიცემა 2 წლის ვადით და მისი გაგრძელება შესაძლებელია არაუმეტეს 2 წლით ყოველ ჯერზე;
  - არასრულწლოვნები, რომლებიც ცხოვრობენ შესაბამისი სამინისტროს ზედამხედველობით მოქმედ არასრულწლოვანთა სკოლა-ინტერნატებში. ასეთ პირებზე პირველადი ბინადრობის ნებართვა გაიცემა 2 წლის ვადით და შეიძლება გაგრძელდეს არაუმეტეს 2 წლით ყოველ ჯერზე;
  - ჯანმრთელობის მძიმე პრობლემების მქონე პირები - მათ უნდა წარადგინონ ჯანმრთელობის შესაბამისი ცნობა. თუ დაავადება ინფექციურია, ბინადრობის ნებართვის გაცემაზე გადაწყვეტილების გამოსატანად, აუცილებელია ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის თანხმობა, რომ არ არსებობს საფრთხე საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვისათვის.

- ჯანმრთელობის მძიმე პრობლემების მქონე პირებზე ბინადრობის ნებართვის გასაცემად აუცილებელია, განმცხადებელი უკვე ფლობდეს ბინადრობის ნებართვას. პირველადი ბინადრობის ნებართვა გაიცემა 2 წლის ვადით და შეიძლება გაგრძელდეს არაუმეტეს 2 წლით ყოველ ჯერზე;
- ზემოაღნიშნული კატეგორიების პირებზე ბინადრობის ნებართვის გასაცემად აუცილებელია პასპორტის ფლობა, დაიშვება ვადაგასული პასპორტიც, თუკი განმცხადებელი სარწმუნო დოკუმენტს წარადგენს, ხოლო შესაბამისი ორგანო დაადგენს, რომ განმცხადებელს, ობიექტური მიზეზების გამო, არ შეუძლია მისი განახლება. ამ შემთხვევაში, განცხადების ჩასაბარებლად არ არის გათვალისწინებული რაიმე მოსაკრებლის გადახდა;
- ამ კატეგორიის ბინადრობის ნებართვის გაგრძელება შესაძლებელია იმ პირის ოჯახის წევრთათვის, რომელსაც აქვს ჯანმრთელობის მძიმე პრობლემები, თუკი ისინი ფლობენ ბინადრობის ნებართვას ოჯახის გაერთიანების მიზნით. პირის სრულად გამოჯანმრთელების შემთხვევაში, მას და მისი ოჯახის წევრებს შეუძლიათ მოითხოვონ მოქმედი ბინადრობის ნებართვის გაგრძელება ან კატეგორიის შეცვლა.

კანონი N 4332, 2015 წელი: ცვლილებები საბერძნეთის მოქალაქეობის კოდექსში

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

- მესამე ქვეყნის მოქალაქის შვილს, რომელიც დაიბადა საბერძნეთში, შეუძლია საბერძნეთის მოქალაქეობის მიღება, თუკი აკმაყოფილებს შემდეგ პირობებს:
  - საბერძნეთში სწავლას შეუდგა დაწყებითი სკოლის პირველი კლასიდან და მოქალაქეობაზე განცხადების წარდგენის დროისათვის განათლების მიღებას აგრძელებს საბერძნეთის სკოლაში;
  - ერთ-ერთი მშობელი არასრულწლოვნის დაბადებამდე არანაკლებ 5 წლის განმავლობაში უწყვეტად და ლეგალურად ცხოვრობდა საბერძნეთში.

- თუ არასრულწლოვანი დაიბადა საბერძნეთში ერთ-ერთი მშობლის ლეგალურად ცხოვრების 5-წლიანი ვადის შესრულებამდე, აქვს საბერძნეთის მოქალაქეობის მიღების უფლება, მას შემდეგ, რაც რომელიმე მშობელი 10 წლის განმავლობაში უწყვეტად და ლეგალურად იცხოვრებს საბერძნეთში;
- შესაბამისი განცხადების წარდგენისას, რომელიმე მშობელი უნდა ფლობდეს ერთ-ერთს ამ დოკუმენტებიდან:
  - გრძელვადიანი ბინადრობის ნებართვა;
  - ბინადრობის 10-წლიანი ნებართვა;
  - დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს ევროკავშირის ტერიტორიაზე განმცხადებლის ლეგალურად ცხოვრებას;
  - ლტოლვილის ან ჰუმანიტარული დაცვის ქვეშ მყოფი პირის მოწმობა, ან მოწმობა მოქალაქეობის არმქონე პირისათვის, რომელსაც ბინადრობის უფლება აქვს;
  - თანამემამულის სპეციალური პირადობის მოწმობა, რომელსაც თან ახლავს ბინადრობის ნებართვა თანამემამულის სტატუსის მქონე პირისათვის;
  - მეორე თაობის (ემიგრანტთა შვილების) ბინადრობის ნებართვა;
  - საბერძნეთის ან ევროკავშირის სხვა ქვეყნის მოქალაქის ოჯახის წევრის ბინადრობის ნებართვა.

მუხლი 2(ა). განცხადების წარდგენა საბერძნეთის მოქალაქეობის მისაღებად, იმ შემთხვევაში, თუ პირი დაიბადა საბერძნეთში და სწავლობს დაწყებით სკოლაში

- საბერძნეთის მოქალაქეობის მისაღებად, განცხადება უნდა შეავსოს არასრულწლოვანი პირის ორივე მშობელმა;
- საბერძნეთის მოქალაქეობის მიღებაზე განცხადება, შესაბამის დოკუმენტაციასთან ერთად, უნდა წარედგინოს დეცენტრალიზებული მმართველობის სამსახურის სამოქალაქო რეესტრის განყოფილებას (Αποκεντρωμένη Διοίκηση, Διεύθυνση Αστικής Κατάστασης) განმცხადებლის საცხოვრებელი უბნის მიხედვით;
- თუ არასრულწლოვნის ერთ-ერთ მშობელს არ გააჩნია ლეგალური სტატუსი, ან საერთაშორისო დაცვის ქვეშ მყოფი პირია, განცხადება უნდა წარადგინოს იმ მშობელმა, რომელიც საბერძნეთში ლეგალურად ბინადრობს და მინიჭებული აქვს მეურვეობა.

თუ არასრულწლოვანს არ ჰყავს მეურვე, განცხადებას შეიტანს არასრულწლოვნის ოფიციალურად დანიშნული წარმომადგენელი;

- დეცენტრალიზებული მმართველობის სამსახურმა განცხადების მიღებიდან 6 თვის ვადაში უნდა მიიღოს გადაწყვეტილება, რომელიც ქვეყნდება მთავრობის გაზეთში (FEK) და განმცხადებელს საბერძნეთის მოქალაქეობას ანიჭებს. შესაბამის მუნიციპალიტეტს ევალება ზემოაღნიშნული არასრულწლოვნის დარეგისტრირება საჯარო რეესტრში;
- მესამე ქვეყნის არასრულწლოვანი მოქალაქის პირადი მონაცემები, აგრეთვე, მშობლებთან ნათესაური კავშირი, მოწმდება მისი დაბადების მოწმობითა და სხვა შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტაციით;
- საბერძნეთის მოქალაქეობის მისაღებად განცხადებას უნდა ერთვოდეს 100 (ასი) ევროს ოდენობით მოსაკრებლის გადახდის ქვითარი.

მუხლი 2(ბ). განცხადების წარდგენა საბერძნეთის მოქალაქეობის მისაღებად, იმ შემთხვევაში, თუ პირმა დაასრულა საბერძნეთის საგანმანათლებლო ნებისმიერი დაწესებულების 6 წელი

მესამე ქვეყნის არასრულწლოვან მოქალაქეს, რომელიც ლეგალურად და მუდმივად ცხოვრობს საბერძნეთში და სწავლობს ბერძნულ სკოლაში, აქვს საბერძნეთის მოქალაქეობის მიღების უფლება, თუკი გაიარა განათლების 9 (ცხრა) კლასი 6-6 წლიანი დაწყებითი და საშუალო განათლების, ჯამურად, 12 წლიდან (ანუ დაწყებითი სკოლის 6 და საშუალო სკოლის 3 კლასი), ან საშუალო განათლების 6 კლასი სრულად. სკოლამდელი ანუ ბაღში სწავლის პერიოდი არ მიიღება მხედველობაში. სწავლების დასრულება დასტურდება უფლებამოსილი უწყებიდან მიღებული შესაბამისი ცნობით (იხ. განმარტება).

- დეცენტრალიზებული მმართველობის სამსახურმა განცხადების მიღებიდან 6 თვის ვადაში უნდა მიიღოს გადაწყვეტილება, რომელიც ქვეყნდება მთავრობის გაზეთში (FEK) და განმცხადებელს საბერძნეთის მოქალაქეობას ანიჭებს. შესაბამის მუნიციპალიტეტს ევალება ზემოაღნიშნული არასრულწლოვნის დარეგისტრირება საჯარო რეესტრში;
- მესამე ქვეყნის არასრულწლოვან მოქალაქეს, რომელმაც დაამთავრა საბერძნეთის საშუალო ან პროფესიული სკოლა (AEI, TEI) და ლეგალურად და მუდმივად ცხოვრობს საბერძნეთში, აქვს საბერძნეთის მოქალაქეობის მიღების უფლება, თუკი წარადგენს შესაბამისი საგანმანათლებლო დაწესებულების ატესტატს. განცხადების წარდგენა საჭიროა საგანმანათლებლო დაწესებულების დამთავრებიდან 3 წლის ვადაში;
- განცხადებას დეცენტრალიზებული მმართველობის სამსახურში აბარებს პიარადად განმცხადებელი, საცხოვრებელი უბნის მიხედვით;
- დეცენტრალიზებული მმართველობის სამსახურმა განცხადების მიღებიდან 1 წლის ვადაში უნდა მიიღოს გადაწყვეტილება, რომელიც ქვეყნდება მთავრობის გაზეთში (FEK) და განმცხადებელს საბერძნეთის მოქალაქეობას ანიჭებს. შესაბამის მუნიციპალიტეტს ევალება ზემოაღნიშნული არასრულწლოვნის დარეგისტრირება საჯარო რეესტრში;
- განცხადებაზე უარყოფითი პასუხის მიზეზი შეიძლება გახდეს განმცხადებლის მიერ ჩადენილი სისხლის სამართლის დანაშაული, ან ეროვნული უსაფრთხოებისთვის რისკების შექმნა, რაც განცხადების შეტანიდან 6 თვის ვადაში უნდა დადგინდეს;
- თუ საბერძნეთის მოქალაქეობის მისაღებად განცხადება არ წარედგინება მანამ, სანამ დაინტერესებულ პირს 21 წელი შეუსრულდება, მას შეუძლია ასეთი განცხადება პირადად წარადგინოს დეცენტრალიზებული მმართველობის სამსახურში, საცხოვრებელი უბნის მიხედვით;
- თუ მესამე ქვეყნის მოქალაქე 23 წლისაა და აგრძელებს საბერძნეთში მუდმივად და ლეგალურად ცხოვრებას, მოქალაქეობის მიღებაზე განცხადება შეუძლია პირადად წარადგინოს დეცენტრალიზებული მმართველობის სამსახურში, არაუგვიანეს 3 წლის ვადაში მას შემდეგ, რაც გაივლის საბერძნეთის სკოლაში განათლების 9 (ცხრა) კლასს 6-6-წლიანი დაწყებითი და საშუალო განათლების, ჯამურად, 12 წლიდან (ანუ დაწყებითი სკოლის 6 და საშუალო სკოლის 3 კლასს), ან საშუალო განათლების 6 კლასს სრულად;

- იმ პირის შვილი, რომელსაც ზემოხსენებული გზით მიენიჭა საბერძნეთის მოქალაქეობა, ავტომატურად ხდება საბერძნეთის მოქალაქე, თუკი არასრულწლოვანია და არ არის დაქორწინებული;
- თუ მესამე ქვეყნის სრულწლოვანი მოქალაქეები, რომლებიც დაიბადნენ საბერძნეთში ან სრულად დაამთავრეს საბერძნეთის საშუალო განათლების 6 კლასი, 23 წლის ასაკის შესრულებამდე წარადგენენ ყველა საჭირო დოკუმენტს, მიიღებენ ბინადრობის ნებართვას 5 წლის ვადით. ეს ნებართვა შეიძლება გაგრძელდეს ყოველ ჯერზე 5 წლით, რისთვისაც აუცილებელია მხოლოდ წინა ბინადრობის ნებართვის წარდგენა;
- ზემოხსენებულ შემთხვევებში, ცნობა „დოკუმენტების ჩაბარების თაობაზე" არ ანიჭებს საბერძნეთის მოქალაქის სტატუსს, თუმცა, მის მფლობელს აქვს საბერძნეთში ლეგალურად ბინადრობის უფლება მისი განცხადების განხილვის დასრულებამდე;
- მესამე ქვეყნის სრულწლოვანი ან არასრულწლოვანი მოქალაქის პირადი მონაცემები მოწმდება მისი დაბადების მოწმობით და სხვა დამადასტურებელი დოკუმენტაციით, რომელსაც გასცემს წარმოშობის ქვეყნის შესაბამისი ორგანო. თუ მესამე ქვეყნის მოქალაქე ფლობს პოლიტიკური დევნილის ან ლტოლვილის სტატუსს, ან მოქალაქეობის არმქონე პირია და, შესაბამისად, არ შეუძლია დაბადების მოწმობის წარდგენა, უფლება აქვს, წარადგინოს გადაწყვეტილება პოლიტიკური დევნილის, ლტოლვილის, ან მოქალაქეობის არმქონე პირის სტატუსის მინიჭებაზე;
- საბერძნეთის მოქალაქეობის მიღებაზე განცხადებას უნდა ერთვოდეს 100 (ასი) ევროს ოდენობით მოსაკრებლის გადახდის ქვითარი;
- განმცხადებელს, სპეციალური განცხადებით (Υπεύθυνη Δήλωση), შეუძლია მოითხოვოს თავისი სახელისა და გვარის ბერძნულით შეცვლა, ან ბერძნული დაბოლოებებით გადაკეთება.

საბერძნეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის 2007 წლის N 106 ბრძანება: ევროკავშირის წევრი ქვეყნების მოქალაქეებისა და მათი ოჯახის წევრების ბინადრობა საბერძნეთში

(ეს საკანონმდებლო დოკუმენტი საყურადღებოა იმ თვალსაზრისით, რომ საქართველოს მრავალი მოქალაქე, მათ შორის, საბერძნეთში მცხოვრები პირები, დაქორწინებულნი არიან ევროკავშირის წევრი ქვეყნების მოქალაქეებზე).

- პრეზიდენტის ეს ბრძანება ეხება ევროკავშირის მოქალაქეებს, რომლებსაც სურთ საბერძნეთში შესვლა, ან უკვე ცხოვრობენ ამ ქვეყანაში და არ აქვთ საბერძნეთის მოქალაქეობა; აგრეთვე, მათი ოჯახის წევრებს (მიუხედავად მოქალაქეობისა), რომლებიც თან ახლავს ევროკავშირის მოქალაქეს, ანდა გეგმავენ მასთან ჩასვლას საბერძნეთში;
- საბერძნეთში გამარტივებულად შესვლისა და ცხოვრების ქვემოთ ჩამოთვლილი წესები ვრცელდება შემდეგ პირებზე:
  - ✔ თუ ევროკავშირის ქვეყნის მოქალაქის ოჯახის წევრი, იმის მიუხედავად, რომელი ქვეყნის მოქალაქეა, იმყოფება ხსენებული მოქალაქის მზრუნველობის ქვეშ და ამ უკანასკნელს აქვს საბერძნეთში ბინადრობის ნებართვა; ეს პირი თავის წარმოშობის ქვეყანაში (სამშობლოში) ევროკავშირის ამ მოქალაქესთან ერთად ცხოვრობს; ან არსებობს სერიოზული მიზეზი ჯანმრთელობის კუთხით, რის გამოც პირი საჭიროებს ევროკავშირის ხსენებული მოქალაქის პირად ზრუნვას;
  - ✔ ევროკავშირის ქვეყნის მოქალაქის პარტნიორი (ვისთანაც თანაცხოვრობს), რომელთანაც მას აქვს სტაბილური კავშირი და ეს მტკიცდება შესაბამისი ფაქტებით.

მუხლი 9. საბერძნეთში ბინადრობის ნებართვის გაცემა ევროკავშირის ქვეყნის მოქალაქის ოჯახის წევრებზე, რომლებიც მესამე ქვეყნის მოქალაქეები არიან

- ევროკავშირის ქვეყნის მოქალაქის ოჯახის წევრებზე, რომლებიც მესამე ქვეყნის მოქალაქეები არიან და აქვთ საბერძნეთში ბინადრობის ნებართვა, გაიცემა „ევროკავშირის ქვეყნის მოქალაქის ოჯახის წევრის ბინადრობის ნებართვა“;
- ევროკავშირის მოქალაქის ოჯახის წევრმა, რომელიც მესამე ქვეყნის მოქალაქეა და სურს ამ კატეგორიის ბინადრობის ნებართვის მიღება, საბერძნეთში შემოსვლის თარიღიდან 3 თვის ვადაში უნდა წარადგინოს განცხადება შესაბამის ორგანოებში, თუკი:
  - ფლობს მოქმედ პასპორტს ან სხვა სამოგზაურო დოკუმენტს, აღიარებულს საბერძნეთის მიერ; ასევე, დოკუმენტურად ამტკიცებს:
  - ოჯახურ კავშირს ევროკავშირის ქვეყნის ამ მოქალაქესთან;
  - ევროკავშირის ქვეყნის ამ მოქალაქის ლეგალურად ყოფნას საბერძნეთში;
  - ევროკავშირის ამ მოქალაქის მიერ მის მატერიალურად უზრუნველყოფას;
  - საკუთარი წარმოშობის ქვეყანაში ამ მოქალაქესთან თანაცხოვრებას და მის მიერ მატერიალურად უზრუნველყოფას (წარმოშობის ქვეყანაში გაცემული შესაბამისი დოკუმენტით); ან სერიოზული მიზეზის არსებობას ჯანმრთელობის კუთხით, რის გამოც ოჯახის წევრს აუცილებლად სჭირდება ევროკავშირის ქვეყნის ამ მოქალაქის პირადი ზრუნვა.

მუხლი 10. ევროკავშირის ქვეყნის მოქალაქის ოჯახის წევრთა (რომლებიც მესამე ქვეყნის მოქალაქეები არიან) ბინადრობის ნებართვის ხანგრძლივობა

- ევროკავშირის ქვეყნის მოქალაქის ოჯახის წევრთა (რომლებიც მესამე ქვეყნის მოქალაქეები არიან) ბინადრობის ნებართვა 5-წლიანია, ან გაიცემა ევროკავშირის ქვეყნის მოქალაქის საბერძნეთში ცხოვრების მთელი პერიოდით, თუ ეს დრო 5 წელზე ნაკლებია;
- ბინადრობის ნებართვის მოქმედება არ შეჩერდება, თუ პირი საბერძნეთს 5 წლის განმავლობაში, ჯამურად, 12 თვით (ყოველ წელს არაუმეტეს 6 თვისა) დატოვებს და ეს გამოწვეულია სავალდებულო სამხედრო სამსახურით, ან სხვა სერიოზული მიზეზით, როგორიცაა ფეხმძიმობა და ბავშვის დაბადება, მძიმე დაავადება, განათლების მისაღებად ან პროფესიული კვალიფიკაციის ასამაღლებლად მივლინება, ანდა სამსახურებრივი აუცილებლობა.

მუხლი 11. ევროკავშირის ქვეყნის მოქალაქის გარდაცვალების ან საბერძნეთიდან გამგზავრების შემთხვევაში, ბინადრობის ნებართვის შენარჩუნების პროცედურა მისი ოჯახის წევრებისათვის

- ევროკავშირის ქვეყნის მოქალაქის გარდაცვალება ან საბერძნეთიდან გამგზავრება არ ზღუდავს მისი ოჯახის წევრების საბერძნეთში ცხოვრების უფლებას, თუკი ისინიც ევროკავშირის წევრი ქვეყნის მოქალაქეები არიან;
- ევროკავშირის ქვეყნის მოქალაქის გარდაცვალების შემთხვევაში, მისი ოჯახის წევრები, რომლებიც მესამე ქვეყნის მოქალაქეები არიან და მის გარდაცვალებამდე არანაკლებ 1 წლის განმავლობაში ცხოვრობდნენ საბერძნეთში, ინარჩუნებენ ამ ქვეყანაში ცხოვრების უფლებას. საბერძნეთში ბინადრობის მუდმივი ნებართვის მოპოვებამდე,

ამ პირებს უნარჩუნდებათ მოქმედი ბინადრობის ნებართვა, თუ დაამტკიცებენ, რომ აქვთ: (1) ანაზღაურებადი სამუშაო ან საკმარისი ფინანსები და საბერძნეთში ყოფნის პერიოდში არ დასჭირდებათ საბერძნეთის სახელმწიფო სოციალური დახმარება; ასევე, (2) ჯანმრთელობის შესაბამისი დაზღვევა;

- ბინადრობის ნებართვის შესანარჩუნებლად:
  - ✔ ევროკავშირის ქვეყნის მოქალაქის ოჯახის წევრებმა, რომლებიც ასევე ევროკავშირის მოქალაქეები არიან, საცხოვრებელი უბნის მიხედვით უნდა წარადგინონ სათანადო დოკუმენტები პოლიციის შესაბამის ორგანოში და გარემოების შესაბამისად დაურთონ ცნობები: ან ევროკავშირის მოქალაქის გარდაცვალების სააქტო ჩანაწერი, ან ოფიციალური განცხადება (Υπεύθυνη Δήλωση), რომ ის გაემგზავრა საბერძნეთიდან;
  - ✔ ევროკავშირის მოქალაქის ოჯახის წევრებმა, რომლებიც მესამე ქვეყნის მოქალაქეები არიან, შესაბამის ორგანოებში უნდა წარადგინონ შემდეგი დოკუმენტაცია:
    - ☑ ბინადრობის მოქმედი ნებართვის დამოწმებული ასლი;
    - ☑ საშემოსავლო დეკლარაციის ასლი, ან სათანადო შემოსავლის არსებობის სხვა დამამტკიცებელი საბუთი;
    - ☑ ცნობა, რომ დაზღვეულები არიან, რათა სრულად დაიფაროს ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ხარჯები;
    - ☑ გარემოების მიხედვით საჭირო ცნობები: ან ევროკავშირის ქვეყნის მოქალაქის გარდაცვალების სააქტო ჩანაწერი, ან მისი მეუღლის განცხადება, რომ ეს მოქალაქე გაემგზავრა საბერძნეთიდან;

- ევროკავშირის ქვეყნის მოქალაქის საბერძნეთიდან გამგზავრების ან გარდაცვალების გამო, ბინადრობის ნებართვა არ შეუჩერდებათ აღნიშნული მოქალაქის შვილებს, ან იმ მშობელს (მოქალაქეობის მიუხედავად), რომელსაც მათზე მეურვეობა ეკისრება. ასეთ შემთხვევაში, შვილები რჩებიან საბერძნეთში და რეგისტრირდებიან საბერძნეთის საგანმანათლებლო დაწესებულებაში (სწავლის დასრულებამდე). ამ ფაქტის დასამტკიცებლად, დაინტერესებულმა პირებმა უნდა წარადგინონ საგანმანათლებლო დაწესებულებაში ბავშვების რეგისტრაციის ცნობა. ეს ინფორმაცია შესაძლოა გადამოწმდეს პოლიციის სამსახურის მხრიდან.

მუხლი 12. ევროკავშირის მოქალაქესთან განქორწინების, ქორწინების გაუქმების, ან რეგისტრირებული თანაცხოვრების დასრულების შემთხვევაში, ბინადრობის ნებართვის შენარჩუნების პროცედურა მისი ოჯახის წევრებისათვის

- ევროკავშირის ქვეყნის მოქალაქესთან განქორწინების ან ქორწინების გაუქმებისას ბინადრობის ნებართვა უნარჩუნდებათ მისი ოჯახის წევრებს, რომლებიც ევროკავშირის ქვეყნის მოქალაქეები არ არიან, თუკი:
  - ✔ ქორწინება გრძელდებოდა განქორწინების ან ქორწინების გაუქმების პროცედურის დაწყებამდე, სულ მცირე, 3 წელი, რომელთაგან ერთი მაინც მეუღლეებმა საბერძნეთში გაატარეს;
  - ✔ ევროკავშირის ქვეყნის მოქალაქის შვილებზე მეურვეობა დაეკისრა მეუღლეს, რომელიც მესამე ქვეყნის მოქალაქეა;
  - ✔ ოჯახის წევრი ოჯახური ძალადობის მსხვერპლი იყო ქორწინების პერიოდში;
  - ✔ ევროკავშირის ქვეყნის მოქალაქის მეუღლეს, რომელიც მესამე ქვეყნის მოქალაქეა, მიეცა არასრულწლოვან შვილთან ურთიერთობის უფლება, იმ პირობით, რომ ეს შეხვედრები შედგება საბერძნეთში;

- საბერძნეთში მუდმივი ბინადრობის ნებართვის მიღებამდე, ზემოხსენებულმა პირებმა უნდა დაამტკიცონ, რომ აქვთ: (1) სათანადო კვალიფიკაცია დაქირავებისა ან დამოუკიდებელი ეკონომიკური საქმიანობისათვის, ან საკმარისი ფინანსური სახსრები, რათა საბერძნეთში ყოფნის პერიოდში არ დასჭირდეთ საბერძნეთის სახელმწიფო სოციალური სისტემის დახმარება; და (2) ჯანმრთელობის შესაბამისი დაზღვევა.
- თუ ევროკავშირის ქვეყნის მოქალაქის ოჯახის წევრებიც ევროკავშირის ქვეყნის მოქალაქეები არიან, მათ უნდა წარადგინონ შესაბამისი განცხადება, რომელსაც თან დაერთვება რომელიმე ეს დოკუმენტი:
  - ✔ ევროკავშირის ქვეყნის მოქალაქესთან განქორწინების გადაწყვეტილება;
  - ✔ სასამართლოს გადაწყვეტილება ქორწინების გაუქმების შესახებ;
  - ✔ ოფიციალური ბრალდების დამოწმებული ასლი, რომელიც საბერძნეთის შესაბამის ორგანოში შეტანილია ოჯახური ძალადობის ფაქტზე, ან ნებისმიერი სხვა დოკუმენტი, რომლიდანაც ირკვევა ამ პირის განსაკუთრებით რთული მდგომარეობა; ან სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილება;
  - ✔ ევროკავშირის მოქალაქის განცხადება რეგისტრირებული თანაცხოვრების დასრულებაზე.

- თუ ევროკავშირის ქვეყნის მოქალაქის ოჯახის წევრები მესამე ქვეყნის მოქალაქეები არიან, მათ უნდა წარადგინონ:
  - ✔ ბინადრობის მოქმედი ნებართვის ზუსტი ასლი;
  - ✔ საგადასახადო დეკლარაციის დამოწმებული ასლი, ან სათანადო შემოსავლის არსებობის სხვა დამამტკიცებელი საბუთი;
  - ✔ ცნობა, რომ დაზღვეულნი არიან, რათა სრულად დაიფაროს ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ხარჯები;
  - ✔ და რომელიმე ეს დოკუმენტი:
    - ☑ განქორწინების გადაწყვეტილება;
    - ☑ განქორწინების გადაწყვეტილება და სასამართლოს გადაწყვეტილება შვილებზე მეურვეობის ერთ-ერთი მეუღლისათვის დაკისრების შესახებ;
    - ☑ ბრალდების დამოწმებული ასლი, რომელიც შესაბამის ბერძნულ ორგანოში შეტანილია ოჯახური ძალადობის ფაქტზე, ან ნებისმიერი სხვა დოკუმენტი, რომლიდანაც ირკვევა ამ პირის განსაკუთრებით რთულ მდგომარეობა; ანდა სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილება;
    - ☑ მეუღლეთა წერილობითი შეთანხმება ან სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელიც არეგულირებს მეუღლეთაგან ერთ-ერთის ურთიერთობას საბერძნეთში მყოფ არასრულწლოვან შვილთან (რომელიც მესამე ქვეყნის მოქალაქეა);
    - ☑ კომპეტენტურმა ორგანოებმა შესაძლოა შეამოწმონ ზემოაღნიშნული პირობების შესრულება, რათა ევროკავშირის ქვეყნის მოქალაქის ოჯახის წევრებს შეუნარჩუნდეთ ბინადრობის ნებართვა.

მუხლი 17. საბერძნეთში მუდმივი ბინადრობის ნებართვა ევროკავშირის ქვეყნის მოქალაქის ოჯახის წევრთათვის, რომლებიც მესამე ქვეყნის მოქალაქეები არიან

- ევროკავშირის ქვეყნის მოქალაქის ოჯახის წევრებზე, რომლებიც მესამე ქვეყნის მოქალაქეები არიან და საბერძნეთში მუდმივი ბინადრობის უფლება აქვთ, გაიცემა „ევროკავშირის ქვეყნის მოქალაქის ოჯახის წევრის მუდმივი ბინადრობის ნებართვა“;
- ამ კატეგორიის ბინადრობის ნებართვის გასაცემად, მესამე ქვეყნის მოქალაქემ უნდა წარადგინოს შესაბამისი განცხადება თავისი ბინადრობის ნებართვის ვადის ამოწურვამდე და თან დაურთოს:
  - ✔ ბინადრობის მოქმედი ნებართვის ასლი;
  - ✔ ევროკავშირის მოქალაქის საბერძნეთში მუდმივ საცხოვრებელ მისამართზე რეგისტრაციის (ჩაწერის) დამოწმებული ასლი (გასცემს პოლიციის შესაბამისი განყოფილება), ან მუდმივი ბინადრობის ნებართვის ასლი;
  - ✔ ევროკავშირის ქვეყნის მოქალაქის გარდაცვალების შემთხვევაში, შესაბამისი ორგანოს მიერ გაცემული ცნობა საბერძნეთში მისი ყოფნის ხანგრძლივობაზე, ან, გარემოების მიხედვით, ცნობა, რომ მისი სიკვდილი განპირობებული იყო სამუშაოზე უბედური შემთხვევით, ანდა ჯანმრთელობის გაუარესებით პროფესიის გამო;
  - ✔ დოკუმენტი, რომლიდანაც იკვეთება ოჯახური ან ნათესაური კავშირი გარდაცვლილთან.

- განცხადება, თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად, ჩაბარებიდან 15 დღის ვადაში ეგზავნება პოლიციის მიგრანტთა დეპარტამენტის (Διεύθυνση Αλλοδαπών και Μεταναστευσής) შესაბამის განყოფილებას. ეს სამსახური შეამოწმებს განცხადებას და, თუკი არ არსებობს რისკები საზოგადოებრივი წესრიგის, სახელმწიფო უსაფრთხოებისა და ჯანდაცვისათვის, მიიღებს გადაწყვეტილებას, რომლის შესაბამისადაც ევროკავშირის ქვეყნის მოქალაქის ოჯახის წევრზე გაიცემა ბინადრობის ნებართვა, არაუგვიანეს 6 (ექვსი) თვის ვადაში;
- თუ შესაბამისი განაცხადი არ გაკეთდება 1 წლის განმავლობაში, პირს შესაძლოა დაეკისროს ფულადი ჯარიმა;
- მუდმივი ბინადრობის ნებართვა განახლდება შესაბამისი განცხადების საფუძველზე, რომელსაც თან უნდა ერთვოდეს წინა ბინადრობის ნებართვის ასლი;

თუ პირი საბერძნეთს არ დატოვებს (უწყვეტად) 2 წელიწადზე მეტხანს, მისი ბინადრობის ნებართვის მოქმედება არ შეჩერდება.

სასარგებლო ბმულები

პუბლიკაციაში გამოყენებული ბერძნული საკანონმდებლო დოკუმენტების მოძიება შესაძლებელია შემდეგ ბმულებზე:

საბერძნეთის რესპუბლიკის კონსტიტუცია

http://www.hellenicparliament.gr/Vouli-ton-Ellinon/To-Politevma/Syntagma/

კანონი № 4368/2016, დაზღვევის არმქონე და მოწყვლადი (დაუცველი) სოციალური ჯგუფების ჯანმრთელობის დაცვის შესაძლებლობებთან დაკავშირებით

http://dipe-a-athin.att.sch.gr/images/symbouloi_eid.agwg/nomos_4368-21_2_2016_arthro82.pdf

საბერძნეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს ვებ-გვერდი (პრეზიდენტის განკარგულებები, მინისტრის ბრძანებულებები, ცირკულარები, კანონები)

http://www.ypes.gr/el/Generalsecretariat_PopulationSC/general_directorate_ithageneias_migratation/diefthinsi_metanasteftikis_politikhsNEW/themataMetanastfsis/

კანონი № 4251/2014, ბინადრობის კატეგორიებთან დაკავშირებით

http://www.ypes.gr/UserFiles/24e0c302-6021-4a6b-b7e4-8259e281e5f3/nomos4251-2014.pdf

კანონი № 4332/2015, საბერძნეთის მოქალაქეობის მიღების და დასაქმების საკითხებთან დაკავშირებით

http://www.ypes.gr/UserFiles/24e0c302-6021-4a6b-b7e4-8259e281e5f3/nomos4332-090715.pdf

ცირკულარი № 13/2017 - საემიგრაციო პოლიტიკის მინისტრის გადაწყვეტილება - ბინადრობის ნებართვის გამცემი კომპეტენტური ორგანოების განსაზღვრასთან დაკავშირებით

http://www.ypes.gr/UserFiles/f0ff9297-f516-40ff-a70e-eca84e2ec9b9/egk13-280317.pdf

პრეზიდენტის ბრძანება № 106/2007, ევროკავშირის წევრი ქვეყნების მოქალაქეების და მათი ოჯახის წევრების მიერ საბერძნეთში ბინადრობის ნებართვის მიღებასთან დაკავშირებით

http://www.ypes.gr/UserFiles/f0ff9297-f516-40ff-a70e-eca84e2ec9b9/PD135-2007.pdf

მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრი
Gonzagagasse 1
A-1010 ვენა
ავსტრია
www.icmpd.org

წინამდებარე სახელმძღვანელო მომზადებულია ევროკავშირის მიერ დაფინანსებული და მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრის (ICMPD) მიერ, საქართველოს მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიასთან (SCMI) თანამშრომლობით მართული პროექტის - „მიგრაციის მართვის მდგრადობის ხელშეწყობა საქართველოში (ENIGMMA 2)“ - ფარგლებში. დოკუმენტის შინაარსი გამოხატავს მხოლოდ ავტორთა შეხედულებებს და არ უნდა აღიქმებოდეს, როგორც ევროკავშირის, მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრის, ან მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიისა და მისი წევრი უწყებების მოსაზრება.

გამომცემლობა:
ათენი, საბერძნეთი